ავტოპილოტი

N4, ზაფხული 2017



ISSN 2298-0628

ექსპერიმენტული და ციფრული ტექსტის
ბეჭდვითი ორგანო

(c) Global Darkness Publishing /
zigota.wordpress.com /
ჟურნალი “ავტოპილოტი” /
Special Thanks: Temo Machavariani /

ახალი ქართული მოთხრობის ხელშეწყობის პროექტი “8+2” იბეჭდება საქართველოში ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ მათ ავტორებს და ისინი შესაძლოა არ ასახავდნენ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

UDC (უაკ) 050.9:821.353.1

ა-346

სარჩევი

>> რა ხდება მეოთხე ნომერში - 4

>> პროექტ 8+2-ის მოწვეული ავტორები:

კახა ბარამიძე, Sanct - 6

ლევან ნუცუბიძე, ბროშკა - სულების მომთვინიერებელი - 26

>> ფბ სტატუსების მცირე ანთოლოგია - 33

>> პროექტ 8+2-ის ფინალისტები:

- ქეთი გაბინაშვილი / სად დაიკარგა ღმერთი - 62

- ვერიკო გოცირიძე / ერთხელ ბიბლიოთეკაში - 76

- თემურ ზოიძე / ახალი ბინადრები - 85

- თეონა კილაძე / ლოლო და კინკანი გაზაფხულის მთიდან - 92

- ბექა ლოხიშვილი / და მოვიდა ეშმაკი - 97

- ნუციკო მთვარელიშვილი / თავისუფალი თემა - 111

- ბოკო ჭიღლაძე / შემქმნელის შურისძიება - 115

- გურამ ხარშილაძე / ჩემი ალუბლის ხე - 138

>> ესემესები - 149



მეოთხე ნომრის შიგთავსი

“ავტოპილოტის” მე-4 ნომერში სრულდება პროექტი “რვას პლიუს ორი” (8+2), რომლის მისიასაც საინტერესო ახალი ქართველი ავტორების გამოვლენა წარმოადგენდა. “8+2” გულისხმობდა ჟურნალის ცალკე აღებულ ნომერში 8 საკონკურსო და 2 მოწვეული ავტორის დაბეჭდვას, რომლებსაც, პერიოდული პლატფორმების სიმწირის გამო, იშვიათად ეძლევათ თავიანთი ნამუშევრების გამოქვეყნების შანსი.

“ავტოპილოტის” მე-4 ნომრის მოწვეული ავტორები კახა ბარამიძე და ლევან ნუცუბიძე არიან. დაახლოებით 10 წლის წინ ორივე მათგანი ჟურნალ “ანაბეჭდთან” თანამშრომლობდა - ავტორისა და არტ-რედაქტორის ამპლუაში.

“8+2”-ის ავტორების გარდა, ციფრული ტექსტური პლატფორმების გავლით, ამავე ნომერში შეგიძლიათ ნახოთ ბოლო ერთი წლის მანძილზე ფეისბუკში “დაფიქსირებული” ყველაზე გიჟმაჟი და დასამახსოვრებელი სტატუსები.

ასევე, “ავტოპილოტი” განაგრძობს თავისი გამომცემელი ერთეულის - “გლობალ დარკნეს პაბლიშინგის” ძირძველ ტრადიციას, და ბეჭდავს რუდუნებით ნაგროვებ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, რომლებიც ჩვენს გარშემო გაცვლილი პირადი მიმოწერების მცირედი, მაგრამ საინტერესო ნიმუშია.

ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული სტატუსებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით, მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს ტექსტური პროცესინგის ახალ ფორმას, რომელშიც დღეს, ამა თუ იმ ფორმით, ადამიანების დიდი ნაწილი პირადად მონაწილეობს.

“ავტოპილოტის” ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას კი ამ ტექსტური პროცესების არქივაცია და დოკუმენტირება წარმოადგენს.





კახა ბარამიძე

Sanct

I

ხარკოვის ცენტრი არც ისე უსახური აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში იმაზე უკეთესია, ვიდრე გუგლის წყალობით წარმომედგინა (ჩემს საბჭოურ ასოციაციებსა და ყველანაირი "საკვანძო პუნქტისადმი" მოუშორებელ ამრეზილობას რომ შევეშვა).

კარგა ხანს ვისეირნე, ტარას შევჩენკოს ძეგლს კითხვა-კითხვით მივაგენი, ოდნავ მოშორებით თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექი და ადგილობრივი აპრილისთვის საკმაოდ თავდაჯერებულ მზეს მივეფიცხე. პირველი, რაც დილიდანვე დავადგინე, აქაურ მდედრთა საქრესტომათიო გაწაფულობაა სექსუალური ენერგიით გარემოს დამუხტვის

საპასუხისმგებლო საქმეში: საითაც არ გაიხედავ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ჯიქურ მობაკაბუკე საBrazzersო არსებას ჰკიდებ თვალს ჟრუანტლის მგვრელი სომატური ღირსშესანიშნაობებით, საკუთარი ღვთაებრივი ბიწიერება ბავშვობაშივე სათანადოდ რომ აქვს გათვითცნობიერებული, "ლოლიტობაში" – ორ-სამ ყაიდაზე მოსინჯული, მომდევნო წლებში – ღრმაშინაარსიანად ათვისებული, ამჟამად კი – საოცნებო უფლისწულის ეროტიკულ ხუშტურებზე მოსარგებად მომარჯვებული... მეთქი, რაღა ალისა იქნება გამონაკლისი (პაემნის წინ სკაიპით ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები "საკბილოს" შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას არასდროს მიქმნის... ეს ფრაზა მთლად მანიაკური გამომივიდა, მაგრამ ნუ შეშინდებით). იმის თქმა მინდა, რომ ალისას უმშვენიერეს ნაცრისფერ თვალებს, უბადლო წითურ თმასა და მადის აღმძვრელ ტუჩებს რა ხანია, საკუთარი ჟინიანი დემონებივით ვიცნობ, მაგრამ მხრებს ქვემოთ ყველაფერი ჯერაც ვირტუალური კდემამოსილების ტკბილი ბურუსითაა მოსილი. ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ნახევარსაუკუნოვან ვნებათა ქარცეცხლში ნაწრთობ ასკეტად გადაცმული ეროტიკოსის აღტყინება, როდესაც ბალზაკურ ასაკს გვარიანად გადაცილებული და მაინც დიდებულად სახუშტურე აგრეგატი ქუჩიდან პირდაპირ მისკენ გამოემართა.

ერთმანეთი გადავკოცნეთ. კომპლიმენტები გავცვალეთ. მშიერი იქნები და ჩემს საყვარელ კაფეში დავსხდეთო. სანამ მივედით, გაარკვია, როგორ ვიმგზავრე, ხარკოვი რამდენად მომწონს, ჩანთა რკინიგზის სადგურის

კამერაში რატომ დავტოვე... “თუმცა ჰო, მთელი დღე ბარგის თრევა სასიამოვნო ნამდვილად არ არის”. პავლოგრადის შესახებაც გამომკითხა. უფრო სწორად, ხელახლა ამახსნევინა, ხარკოვიდან იმავე დღეს რატომ უნდა გავმგზავრებულიყავი – ეტყობა, ჩემი საპავლოგრადე ლეგენდა თავიდანვე ვერ იყო სავსებით დამაჯერებელი.

საქმე ის არის, რომ без пяти минут “მეუდაბნოე” მთელი ყრმობა-ჭაბუკობა-მოწიფულობა სანაქებოდ ლაგამამოდებული ავხორცობით, ლამის სიბერეში რომ შესდგომია მრუშობის აღმართს სატირიაზის მოარულ ნიმუშად გადაქცეული, ამ სიშორეს მარტო ერთი ქალის იმედად ხომ არ წამოვიდოდი? რასაკვირველია, ერთდროულად რამდენიმესთვის გავაბი გაცნობის საიტებზე ჩემებრ უებრო თოხარიკი, ბოლოს კი ორად ორისთვის შევისხი იარაღიც და ფრთებიც – პავლოგრადელი ლენასა და ხარკოველი ალისასათვის (ამ უკანასკნელის მეოხებით შეძენილი ხიბლის გარდა ჩემთვის ხარკოვი მიმზიდველი იმითაც შეიქნა, რომ იქ პირდაპირი რეისით, თანაც იაფად ჩავფრინდებოდი, ხოლო ხარკოვიდან პავლოგრადამდე სულ რაღაც სამი საათის სავალი გზაა მატარებლით). ლეგენდას რაც შეეხება, ვიფიქრე, რომ იდიოტიზმამდე მარტივი ამბის შეთხზვა ჯობია და ალისას სხვათა შორის ვუთხარი, ოთხკაციანი გადამღები ჯგუფის წევრი ვარ, თავისებური Пан на побегушках, – არც რეჟისორი, არც ოპერატორი, არც პროდიუსერი, – მაშასადამე, შენთან შეხვედრა თავისუფლად შემიძლია-მეთქი. “როგორ და პავლოგრადში მცხოვრები ქართულ-უკრაინული ოჯახის შესახებ დოკუმენტურ ფილმს ვიღებთ,

უკრაინაში ერთი კვირით ჩამოსვლას ვგეგმავთ, ჰოდა, თუ მგზნებარე კავკასიელთან დაახლოება ნამდვილად გსურს, სწორედ ახლაა შესაფერისი მომენტი – ჯგუფის სხვა წევრები პავლოგრადში კიევიდან ჩადიან, მე კი საგანგებოდ შენს გასაცნობად ხარკოვში ჩამოვფრინდები, ოღონდ პავლოგრადში იმავე საღამოს უნდა მოვხვდე". ვხედავ, სიხარულით აღარ არის. ვეუბნები, გადაღებებს ორ-სამ დღეში დავასრულებთ და დარჩენილი დღეები ერთად შეგვიძლია, გავატაროთ-მეთქი. ვნახოთ, ვნახოთო, ჟღურტულებს სკაიპფეროვნად ღიმილგადაკრული.

ახლა მეორე ქალის შესახებ.

ლენასთან ონლაინ ტრფიალი ალისასაზე ბევრად ადრე მქონდა გაჩაღებული. შესაბამისად, მასთან უკეთ გახლდით შეხმატკბილებული. ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ ჩემი ნაგვიანევი დონჟუანობა მის გამო სადღაც პავლოგრადში გასატყორცნად საგულდაგულოდ აღმეჭურა. თუმცა არც იმდენად, რომ ბედს ბრმად მივნდობოდი და Дніпро-სა თუ Слобожанщина-ს სანახებში სამარქაფო ნიმფა აღარ მეძებნა. იმის თქმა მინდა, რომ ლენა, მართალია, ორმოცს მიტანებული ლამაზი, ჭკვიანი, თავისუფალი ქალია, სავარაუდოდ სლავი ქალებისთვის ნიშანდობლივი ჰიპერსექსუალობითა და პროვინციელისთვის ერთობ მოწინავე კულტურული მოთხოვნილებებით, მაგრამ ზევსმა უწყის, თუნდ უკეთილშობილეს ფერიასთან ურთიერთობა როგორ შეიძლება, აგეწყოს ინტენსიური სიახლოვის პირობებში – მთავარია, პანიკის მხვნელ-მთესველ პანად არ გადაიქცე, ვეჩიჩინები საკუთარ თავს... ერთი სიტყვით,

ლენასთან ლეგენდის გარეშეც დალაგდა ყველაფერი: რამდენიმე დღეს ერთად გავატარებთ, შემდეგ კი ხარკოვში დავბრუნდები და ბოლო ორ უკრაინულ ღამეს "ნაცნობთან" გავათევ.

ამასობაში ალისას საყვარელ კაფეს ანუ განახლების შტორმში მოყოლილ ტიპობრივ საბჭოთა სასადილოს მივადექით, მთელი თავისი ეგზოტიკური ინტერიერით, ფლეგმატური პერსონალით, აგრესიული არომატებითა და კურიოზული თვითმომსახურებით ნამყო უსრულში რომ ლამობს უსასრულოდ ლივლივს. კერძები კი უდავოდ ღირსსახსოვარი აღმოაჩნდათ – საუკუნოდ გაჰყვება იქაური шпундра-სა და вареник-ების გემო ალისას ეროტიკულ ფლუიდებში განზავებულ ჩემს გასტრონომიულ შთაბეჭდილებებს.

კაფედან გამოსვლისთანავე ხელი ნაზად ჩამკიდა, რაც მისი მხრივ ინტიმურობაში დამკვიდრების პირველი არაორაზროვანი შემოთავაზება იყო (აქამდე როგორღაც ვერ გავარკვიე, მართლა ვიზიდავ თუ მხოლოდ მისი სტიქიური სიკეკლუცის უნებურ მსხვერპლად ვფორმდები). ამან, თავის მხრივ, ჩემი შარვლის ისედაც გადატვირთულ წინა ჯიბეებს შორის მყის თვალში სახამუშოდ საცემი, თუმც არცთუ არასასიამოვნო დაძაბულობა წარმოქმნა და ბარგის შესანახავ კამერაში დატოვებული გადასაკიდი ჩანთა მანატრებინა: აქ რომ მქონდეს, ორმაგ სამსახურს გამიწევდა-მეთქი, ტიალი – დანიშნულებისამებრ პლუს როგორც საფარველი. არ ღირს, მგონი, ახლა საკუთარი ფიზიოლოგიური თავისებურებების განხილვა წამოვიწყო, მაგრამ არც ის ივარგებს, არ აღვნიშნო, რომ ლტოლვის ობიექტთან ტაქტილური კავშირი – მით უფრო, თუ ეს ობიექტი

სულიერია, გაბზეკილ უკანალზე შემოტმასნილ შავ ნაქსოვ კაბასა და თხელ წვივებზე კოხტად მომჯდარ ლაქის ჩექმებში შენ გვერდით მობაკაბუკობს, ამგვარი სიტუაციებისთვის ოდესღაც საგანგებოდ შეძენილი და წვეთობით გამოზოგილი ძვირფასი სუნამოს სურნელს "აფრქვევს", თავისი უფროსის, კოლეგების, ყოფილი ქმრისა და ბედის სიმუხთლეზე ცხარე სა(რ)კაზმში ამოვლებული სიმსუბუქით ჰყვება (მხოლოდ თავის თორმეტი წლის ქალიშვილს ახსენებს უპირობო სერიოზულობით), შენი ზნეობრივი, ყოფითი, შემეცნებითი თუ შემოქმედებითი პრიორიტეტების დაზუსტებას მორიდებულად ცდილობს – მოკლედ, გემოს გამოკლებით, რომლის აღქმაც მოკვდავთათვის ხუთსაფეხურიანი სენსორული კვლევის მიწურულშია დადგენილი და რაღაც თვალსაზრისით ყველანაირი სიახლოვის კულმინაციას წარმოადგენს, ლტოლვის საგანთან შეხება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი რამ გახლავთ. ასეთ დროს "საგნის" შესახებ გაცილებით მეტს ვიგებ, ვიდრე ეპიდერმისის მიერ მოწოდებული თერმული, მორფოლოგიური, მოტორული, ნევროფსიქიკური ან სხვა ფაქტობრივი მონაცემებია, მაგრამ მნიშვნელოვანი ეს კი არა, ის არის, რომ... ნუ, აქ, წესით, ტრანს-ტრანს-ტრანსცენდენტურ წიაღსვლას უნდა მივყო ხელი, მაგრამ პავლოგრადული რანდევუ დამრჩება გაურანდავი.

Uriah Heep-ის თაყვანისმცემელი არასდროს ვყოფილვარ და არც კულტმასობრივი ღონისძიებებისადმი ცხოველი ინტერესით გამოვირჩევი, მაგრამ გაგანია სეირნობაში კი არა და ათქვირებული მეგზურის ფეხთაშუა წალკოტამდე უმოკლესი გზის ძებნაში

საკონცერტო დარბაზი “Україна” რომ შემოგეფეთება ხმაურიანი უწყებით – ოთხი დღის შემდეგ გაუგონრად გრანდიოზულ შოუს ვმასპინძლობო და შენი მეგზურიც მომენტალურად აიტაცებს – მთელი ყმაწვილქალობა სწორედ ასეთი ლეგენდარული როკჯგუფების კონცერტებზე დასწრება მქონდა ოცნებად ქცეულიო, ურია ჰიპიც რომ იყო, უმალ грузин-ად გადაიქცევი, ხუთასგრივნიან ბილეთებს იყიდი და შენს ისედაც თავგზააბნეულ საფულეს რეალურად დიდ საგონებელში ჩააგდებ.

სატრფიალო აღტყინების ათასგვარი ტრამპლინიდან მოყირჭების ერთსა და იმავე მორევში ხტომით არაქათგამოლეული ნებისმიერი მაღალკვალიფიციური მექალთანე გეტყოდათ, რომ მარტოოდენ საკუთარი საუკეთესო შინაგანი თვისებების იმედად, ე. ი. ტრივიალური გარეგანი ეფექტების, გნებავთ, ლამაზი ჟესტების დაუხმარებლად, ვერანაირი მელანია კნავსის გულს ვერ მოინადირებ. “ლამაზ ჟესტებს კი ჯანმაგარი სახსრები სჭირდება, – დასძენდა ის, – უმაგისოდ მელანიას შენს ლოგინში და მერე ლოდინში ძნელად თუ ააკნავლებ”.

ჩვენი გურუ, ცხადია, იმაშიც გაგვარკვევდა, რომ უამრავი მამრი წელებზე ფეხს სწორედ ამიტომ იდგამს, შენ კი დედაშენის პენსიასა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამას შეჰფარვიხარ, ბრბოსგან გამიჯნულს გგონია, რომ ვარსკვლავებს ეთამაშები, შენთვის გადაგებული ორიოდ ახლობლის წინაშე თავს ურცხვად იწონებ – მოთხოვნილებები წმინდა ანტონის დონეზე მაქვს დაყვანილიო და გულის სიღრმეში მაინც ელოდები, სტეისი მარტინი ან პას დე ლა უერტა კარზე

როდის მოგადგებიან. არადა გადასარევად გესმის – კარგი რაღაცები თავისთავად არასდროს მოგერთმევა. ამიტომაც მიეთრევი უკრაინაში. მიეთრევი ისე, როგორც “იმქვეყნად”, რადგან ამქვეყნად საკუთარი ორმოცდაათწლოვანი ბოგინის დამაგვირგვინებელი საიუბილეო კოშმარი ეს-ეს არის, გადაიტანე, ხოლო მის გასაქარვებლად ყველა შენი დემონი ერთხმად რაღაც განსაკუთრებულს გთხოვს.

მიეთრევი იმიტომაც, რომ თიკოსთან განშორების შემდეგ როგორღაც აუტანლად გაუკაცრიელებულ შენს სარეცელსა და გაუთავებელი უძილობისგან მთლად გაუკუღმართებულ კაეშანს ცოტა ხნით მაინც სადმე გაექცე. თუმცა მშვენივრად ხვდები, რომ ამგვარი ვულგარული ესკაპიზმი განკითხვის ჟამს გმირობად სულაც არ ჩაგეთვლება და რიგითი озабоченный грузин-ის უსაძაგლეს უკრაინულ ავანტიურად იქნება საჯოჯოხეთო ოქმებში მოხსენიებული.

შენი ცოდვების შთამბეჭდავ სიას ის ფაქტიც დაამშვენებს, რომ ახლობლების მიერ საგანგებო საჩუქრის შესაძენად შეგროვებული და მოგვიანებით შენთვის გადმოცემული ფული (“იყიდე რა ნორმალური კოსტიუმი – დაბერდი კაცი და კოსტიუმი არ გაქვს”) უკრაინული ვოიაჟის ორგანიზებას ყველასგან მალულად მოახმარე, შინაგან მსაჯულს კი თავი ჰარი ჰალერის “მოდერნიზებულ გამოშვებად” წარუდგინე... ასეა თუ ისე, ახლა ხარკოვის შუაგულში ამოგიყვია თავი, “კასკადის” მოაჯირზე კოხტად შემომჯდარს უკიდეგანოდ ეშხიანი უკრაინელი ქალი მიგიხუტებია, მისი სხეულის დელიკატურ ნაკვთთა კვლევა უბოდიშოდ წამოგიწყია და რადგან შენს უაღრესად

მიზანდასახულ მანიპულაციებს წინააღმდეგობა ყასიდადაც არ მოჰყოლია, ენთუზიაზმი ერთიათად გაგმძაფრებია.

გაგკვირვებია, რომ მოწიფულობის უფაქიზეს ფაზაში მყოფ მრავლის მნახველ დიაცს ფარისევლური კდემის ნიშანწყალიც არ გამოუვლენია, თუმცა არც კახპური ყოვლისმცოდნეობა ან ხეპრული ექსპანსიურობა გამოუჩენია. გაგხარებია. შენი შარვლის წინა ჯიბეები უკანათა ხარჯზე პასპორტის, ქეთის ნაჩუქარი სქელი ბლოკნოტისა და თემურას ნაჩუქარი Posh-ის ხუთდუიმიანი ანდროიდისგან წინდახედულად განგიტვირთავს, მაგრამ ძველი საბუდრიდან ვერსად განდევნილი ოთოს ნაჩუქარი Nokia X1, თიკოს ნაჩუქარი წითელი ბენდენა, ხარკოვის აეროპორტში ნაყიდი Wrigley's Spearmint-ების დასტა და ფულის გარდა რით აღარ გამოტენილი ძველი საფულე შენს ჭეშმარიტად სრულუფლებიან წარმომადგენელს უკრაინაში აღმაფრენის არეს კვლავაც უზღუდავს.

ცდილობ, მისი მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესო. ხვანცალობ. შენი ვიზავიც ღელავს და პარკის სხვა უფრო მყუდრო კუთხეში გადანაცვლებას გთავაზობს. სათქმელად ადვილია, მაგრამ მზიან ამინდს харківчане მთელ ქალაქში გამოუფენია – მყუდრო კუთხე კი არა, მოვუაიერისტო პენსიონერებსა თუ ღლაბუცა მოზარდებს შორის ჩასაკვეხებელი ადგილიც ვერ გიპოვია. თუმცა ბოლოს სადღაც მაინც სხდებით და ეგრევე ხვდები, რომ შენს უკანალს სკამზე დაშვებისას ის გარდაუვალი უსიამოვნება არ გადახდენია, რაც ნივთებით გადავსებულ ორთავ უკანა ჯიბეს მისთვის უნდა გადაეხდევინებინა (ამ უსიამოვნების თანმხლები

განცდა სიტყვებით, მგონი, ამგვარად გამოითქმება: “შე მართლა ტრაკო, რაღაცას ძალიან ცუდად დააჯექი!”). სასწრაფოდ დგები. ჯიბეებს ისინჯავ – იქ არც ბლოკნოტია, არც ანდროიდი, აღარც პასპორტი.

არ ვიცი, როგორ ხდება, მაგრამ კრიზისულ სიტუაციებში ყოველთვის უცბად ვმშვიდდები. თითქოს ეს მე კი არ ვარ, არამედ რომელიღაც გროტესკულ პერსონაჟს ვადევნებ თვალყურს და მის თავს დატეხილი ჭირი კიდევ ერთი ცხვირდაკარგული Коллежский асессор-ის საკათარზისო თავგადასავლად წარმომესახება.

პავლოგრადში გამგზავრებამდე დარჩენილი რამდენიმე საათიც ამ განწყობით განვვლე. ალისას იქით ვაწყნარებდი, არ ღირს-მეთქი, ამ მარაზმის გულთან ახლოს მიტანა. უნდა გართობდეს, შენ გამო თავი რომ დამიკარგავს და მით უმეტეს, პასპორტიც ზედ მიმიყოლებია-მეთქი. თუმცა იყო მომენტი, როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩარჩენის მდაბიურმა შიშმა ერთბაშად დამრია ხელი – ეს მას მერე დამემართა, რაც დაკარგული ნივთების ამაო ძებნაში ლამის მთელი პარკი გადავქექეთ და საზრიანმა ალისამ უეცრად საიდანღაც გაჩენილ ორ პოლიციელს მიმართა, ეგებ თქვენ მაინც გვიშველოთ რამეო. ვდგავარ და ვფიქრობ, რა ვქნა, ამათ ახლა დაწვრილებით რომ გამომკითხონ, ხარკოვში რას ვაკეთებ, პავლოგრადში რისთვის მივემგზავრები... ან სულაც “ფილმის პროდიუსერთან” გასაუბრება მთხოვონ – ომია, ბოლოს და ბოლოს. რუსების თუ არა, ხომ შეიძლება, ქოცების ჯაშუში აღმოვჩნდე? ეგრევე ალისას სახე წარმოვიდგინე, ნიღაბახდილი კვაჭი კვაჭანტირაძე თავის მართლებას

როს შეუდგება. მერე ალბათ მეტყვის... ანდა არაფერსაც არ მეტყვის. ხმაამოუღებლად შეტრიალდება და წავა ცხადია, ლენაც აღარ მოისურვებს ჩემს მიღებას (თუკი მას პოლიციელები გაესაუბრებიან).

შესაბამისად, ხარკოვში მარტო დარჩენა და ახალი პასპორტისთვის ჩალიჩი, блядь, რამდენ ხანს მომიხდება, კაცმა არ იცის. შინ დასაბრუნებელი ბილეთი, მართალია, შეძენილი მაქვს, მაგრამ პასპორტი დროზე თუ ვერ ავიღე, ეგ ბილეთიც გამიუქმდება. რასაკვირველია, თბილისში დარეკვა და ახლობლების აფორიაქებაც მომიწევს. დედაჩემს შეიძლება გული გაუსკდეს, თუ გაუმხელენ, სად ვარ (ბათუმში ვგონივარ თიკოსთან ერთად – შევრიგდით-მეთქი)...

ერთი სიტყვით, იმისთანა საინტერესო რაღაცების წარმოდგენა მოვასწარი, მაიორ კოვალიოვს ალალად შეშურდებოდა. თუმცა ჩემდა საბედნიეროდ (ან იქნებ საუბედუროდ), ზეციურ რეჟისორს ეს ყველაფერი განუხორციელებელი დარჩა – პოლიციელებს ზედმეტი არაფერი უკითხავთ. ამის ნაცვლად მათ არნახული გულისხმიერება გამოიჩინეს და ყველა იმ მრუმე ინსტანციაში თავად დარეკეს, სადაც, წესით, მე უნდა მერეკა-მევლო-მერკვია, რა შავი ქვისთვის მეხლია დღეიდან ყეყეჩი თავი. აღმოჩნდა, რომ მიმდინარე ომის გამო დონეცკიდან კიევში გადაბარგებულ საქართველოს საკონსულოს უნდა მივაკითხო, სხვა გზა არ არის. გარდა ამისა, ნივთების დაკარგვის შესახებ პოლიციის რომელიმე განყოფილებაში უნდა განვაცხადო, ოღონდ ეს პავლოგრადში ჯობია, ვქნა, რადგან პოლიციამ დაკარგული ნივთების საძებნი ყველა სამუშაო ფორმალურად იმ ტერიტორიაზე უნდა

ჩაატაროს, რომელზედაც მიუთითებ, ხოლო “კასკადზე” თუ მივუთითებ, რასაც აზრი, პრაქტიკულად, აღარცა აქვს, ხარკოვში განუსაზღვრელი ვადით ჩავრჩები.

პოლიციელებს გულითადი მადლობა გადავუხადეთ და სანამ დავემშვიდობებოდით, ალისამ როგორღაც ორაზროვნად წამოიძახა – იმედია, ყველგან ასეთი კარგები ხართო. ჯერ კი დავიძაბე, რა უტაქტობაა-მეთქი, მაგრამ შემწყნარებლური ღიმილის მეტი ამ სიტყვებს პასუხად არაფერი რომ არ მოჰყვა, დავფიქრდი, ბოლო ორიოდ საათში პარანოიკად ხომ არ გადავიქეცი. “ისე, შენი კომპატრიოტების მონაწილეობით განხორციელებულ პოლიციურ რეფორმას უკრაინაში არაჩვეულებრივი შედეგი გამოუღია, ვაღიარებ, – მითხრა ალისამ, როგორც კი პარკიდან გამოვედით და სხაპასხუპით დააყოლა – რა უტაქტო ქალიაო, ალბათ ფიქრობ, მაგრამ ადრე ერთ ფრიად თავშეუკავებელ პოლიციელს ვხვდებოდი, თბილისში გაზრდილ ნახევრად სომეხს, რაღაც მანქანებით პოლკოვნიკობამდე რომ მიუღწევია და ღამღამობით კოშმარები აყვირებს. ჰოდა, სულაც არ დამვიწყებია, ეს ჩემი შიზიკი რამდენს ხალისობდა, როდესაც სააკაშვილმა თქვენთან რადიკალური რეფორმები დაიწყო. იძახდა, ქართველებზე ვერცხლისმოყვარე, მაგრამ თან უნიათო ხალხი არ არსებობს, მაგათგან რა რეფორმა უნდა გამოდნესო. არც ის დამვიწყებია, გალეშილი შინ რაებს სჩადიოდა, ლოგინში მისი საქმენი საგმირონი გვერდზე რომ გადავდოთ... ამიტომ ვუთხარი ამ მართლა კარგ ბიჭებს ეგრე”. “რა კარგია, რომ ამიხსენი, თორემ არ ვიცოდი, რა მეფიქრა” – ვიხუმრესავით. უი, უი, საურიაჰიპო

ბილეთები სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთო. რატომ-მეთქი. როგორ თუ რატომ – ახალი პასპორტი გაქვს ასაღები, აუარება გაუთვალისწინებელი ხარჯი გაგივაო. მე არაფრის გაგონება არ ვისურვე. არც ის შემეპუა. ძლივძლივობით დავარწმუნე, რომ გაუთვალისწინებლობების გათვალისწინება ლამის ყოველდღიური Modus operandi-ა ჩემებრ ბედგამრუდებული მელანქოლიკებისთვის და ესეც რომ არა, დახმარებას საჭიროებისდაგვარად "ფილმის პროდიუსერი" გამიწევს.

ჩემდამი მზრუნველობაში ამ მომხიბლავი თავგამოდების შემდეგ ალისა ქუჩის ტუალეტში განმარტოვდა, ხოლო მე დრო ვიხელთე და ლენას დავურეკე (მისი ნომერი, დიდება წინდახედულობას, Nokia-შიც მქონდა შენახული). ასე და ასეა, მეტისმეტად პროზაულ პრობლემებში გავიხლართე, ეგებ ჯობია, აღარ ჩამოვიდე-მეთქი. რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდიო. ერთად მოვაგვარებთ მაგ შენს პრობლემებს, იქნებ პოეტურადაც კიო. ასეთმა პასუხმა, ბუნებრივია, ძალიან გამახარა, მაგრამ უეცრად ისიც გამაცნობიერებინა, რომ ამდენი მწვავე განცდის რიალში შეუმჩნევლად გაძვირფასებულ ალისასთან განშორება საკმაოდ მიმძიმს.

II

დაიძრა თუ არა მატარებელი, ლენას მივწერე, მოვდივარ-მეთქი და წაძინება ვცადე, მაგრამ ტვინს მოდებული ხანძარი მგზავრობის ბოლომდე ვერ ჩავაქრე – შთაბეჭდილებების კოცონი თუ აალდა, თანაც ანცი კუპიდონის ხელშეწყობით, მერე მას

ვეღარაფერს ვუხერხებ. ვიჯექი საერთო ვაგონში ვიღაც მძინარე მზეთუნახავის გვერდით და ალისას ზოგიერთ მანერულ მანევრს, ინტონაციურ მალაყსა თუ მიმიკურ კამარას გარკვეულ კოიტუალურ კომპოზიციას ვუფარდებდი.

რა თქმა უნდა, ჩვენს არცთუ უმნიშვნელო კულტურულ ურთიერთშეუთავსებლობასაც ვუკირკიტებდი. მინდოდა, ალმოდოვარისნაირთა ნასაქმარით მისი სიმპტომური აღტაცება მისსავე მწირ სულიერ საკვებში გემოვნების გამაკეთილშობილებელი ვიტამინების სავალალო სიმცირით ამეხსნა. თუმცა ვიცოდი – ეს თანდაყოლილი ნაკლი უფროა, ვიდრე ცუდი კვების ან აღზრდის შედეგი (იხ. აბაკიმ ხარაძის "კანი, რომელშიც ალმოდოვარი ცხოვრობს"). ისიც ვიცოდი, რომ ჩემთვის მაქსიმალურად შესაგუებელი თანამექვეშაგებლის პოვნა უკიდურესად ძნელია. აკი ფამილარობამდე გაშინაურებულმა ალისამაც მკითხა ფურიის ტაქტიანობით (მატარებლის გასვლამდე Південний вокзал-თან მდებარე კაფეში ყველა საჭირბოროტო საკითხი გავარჩიეთ) – საქართველოში ხარისხიანი საკბილო დაილია, შენ და შენს კავკასიურ მგზნებარებას უკრაინა რომ არ დაგელაშქრათო? ხომ არ ვეტყოდი, ხარისხოვნებაზე ეფემერული რამ ღვთისმშობლის წილხვდომილს არა აბადია რა და იქაური საკბილონიც იაფფასიან სატყუარებს ეტანებიან-მეთქი. ვერც იმას ვეტყოდი, რომ ზეგარდმო ღვარძლმოსილ ჩემს ფარისეველ თანამემამულეებს, მეტადრე ქალებს, დიდი ხანია, ვეღარაფერში ვეწყობი. რომ სიტყვა "მშობლიური" ბოლო დროს გულს ისევე მირევს, როგორც შუა ქუჩაში პირჯვრის წერით გართულ

ჰომუნკულუსთა ჯოჯოხეთური ღვთისმოსაობა. რომ სულმდაბლობის სამარადჟამო ასპარეზად ქცეულ ჩემს ოდითგანვე უბადრუკ სამშობლოში სასიყვარულო ურთიერთობებსაც პრიმიტიული აღებმიცემობა განაგებს და ჩვეულებრივი ქართველი ქალისგან სექსუალური უანგარობის, რომანტიკული შემართებისა თუ ინტელექტუალური კეთილსინდისიერების მოლოდინი ფანდურზე "Recuerdos de la Alhambra"-ს აჟღერების სურვილს ჰგავს. ყოველივე ამის ნაცვლად ვუთხარი – მხოლოდ ის ვიცი, რომ სიგიჟემდე მინდიხარ და სხვა რაღაცები ახლა არსებითი არანაირად არ მგონია-მეთქი.

როგორც იქნა, ჩავაღწიე პავლოგრადამდე. ლენას მატარებლიდანვე მოვკარი ბაქანზე თვალი. მონაცრისფრო ჯინსები და მწვანე ქურთუკი ეცვა. ქერა თმა à la Jean Seberg ჰქონდა შეკრეჭილი ("უკანასკნელ ამოსუნთქვაზე", 1960), მაკიაჟიც – შესაფერი. გარდა იმისა, რომ ეს ყველაფერი უხდებოდა, ჩაცმულობის, ვარცხნილობისა და კოსმეტიკის ოპტიმალური შეხამება ასაკსაც გვარიანად აკლებდა.

დამინახა თუ არა, სახე გაუნათდა. მყის ჩემკენ გამოეშურა. ჩამეხუტა.

კარგა ხანს ვიდექით ასე ჩახუტებულები. ვკოცნაობდით.

მერე ტაქსიში ჩავსხედით და მისი სახლისაკენ გავემართეთ.

ღამის პავლოგრადი (ისევე, როგორც დღისა) დიდი ვერაფერი ბედენაა, მაგრამ ლენას სურნელოვან თმაში ცხვირწაყოფილსა და დაღლილობისგან ბინდჩამდგარი

თვალებით “Зубило-ს” სარკმლიდან მომზირალს... ნუ, მთლად პარიზად მომეჩვენა-მეთქი, ვერ ვიტყვი, ტესტოსტერონის გაცხარებული სინთეზისთვის ზედგამოჭრილ ლაბორატორიად კი ნამდვილად წარმომესახა.

ლენა და მისი უზომოდ ნაპატივები კატა, გრიშა, რომლის რთული ხასიათის, ვოკალური მონაცემებისა და ექსტრასენსორული შესაძლებლობების შესახებ თითქოს ინფორმირებული ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოტყუებულივით დავრჩი (რას წარმოვიდგენდი, რომელიღაც ნასაბჭოთარი ხრუშჩოვკის უსაშველოდ ვიწრო ბინაში კატად რეინკარნირებულ რასპუტინთან თუ მომიწევდა დედოფლის სარეცლისთვის ასოთხსაათიანი შერკინება). მეტისმეტად აჟიტირებული მასპინძლები აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ პირველსავე ღამეს კი არა და მთელი იქ ყოფნის მანძილზე ერთხელ მაინც გამომეძინა. ჩემი პირველი უკრაინული ღამე კი დებიუსის “სირინოზებივით” ტკბილსაამური, ფარული საფრთხის შემცველი და მრავალშრიანი რეფლექსიების ამშლელი გამოდგა.

საამურია, მაგალითად, როდესაც ცხელბორშმირთმეულს, გრილშხაპმიღებულსა და მწველი ალერსის მოლოდინში გულაჩქროლებულს უნაზესკანიანი ქათქათა ქალი თბილ ლოგინში თრთოლით შემოგიწვება, შენ კი მას უკონტროლო საიერიშო ციებ-ცხელების ნაცვლად სტრატეგიული თავდაჭერილობით შეეგებები (არასოდეს არ იცი, შენს სრულუფლებიან წარმომადგენელს უცხო გარემოში როგორი გამოსვლა ექნება – ერთი ორჯერ მას ისეთ დროს ჩამოუყრია ფრთები, როდესაც თავად შენ

აღმაფრენით ყოფილხარ გადავსებული, ხოლო ფრენის ჟინი ხშირად შენთვის არასაფრენოსნო ამინდშიც არ დაჰკლებია). ოღონდაც ეს შენი თავდაჭერილობა თავდაჯერებული ეროტომანის არასამარხვო ილეთებით თანამიმდევრულად თუ არ გააპიკანტურე, – მაგალითად, კერტების ენანუნისმიერი აკვირტებიდან კლიტორის იმავე მეთოდით აყლორტებაზე იქამდე თუ არ გადახვედი, ვიდრე არაორთოდოქსულ პოზიციებზე სინიორ სიფრედისებრ ჩაუქად დამკვიდრდები ("საკოიტუსო ორთოდოქსიას ალალი ეროტიკოსები შეუსწავლელი ბასტიონების ნელინელ ასაღებად წარმოებულ წვრილ-წვრილ სავალდებულო ბრძოლებში მიმართავენ და არა ფართომასშტაბიან სანეტარო ვაგინანალურ ბატალიებში", – შინ დაბრუნებისთანავე ჩაგიწერია ღვლარჭნილი ფრაზებით გამოტენილ საექსპერიმენტო რვეულში (თვითირონიზებისთვის ვირჯებიო, ყდაზევე ვრცლად ირწმუნები))... – ერთი სიტყვით, საწოლში "ტანო-ტატანოს" ბუტბუტს დროულად თუ არ მოეშვი და როკო ტანოდ სასწრაფოდ არ გარდაისახე, შენს პასიას ექსკლუზიური ვნებების მარაგს სასურველი გაქანებით ვერ დაახარჯვინებ. მაგრამ ეს თუ მოახერხე, სიტყვა "დაუფლება" შენს საპრომისკუიტეტო კონკორდანსში "უფლებამოსილების" ყველა შესაძლო კონოტაციასთან ერთად "უფლად ქცევის" საკრამანგმოსილ მნიშვნელობასაც ხელახლა შეიძენს (იმედია, ამ ფრაზასაც ირონიზების მცდელობად ჩათვლით... ისე, მკითხველთან მოჩურჩულე დოსტოევსკიც კი ნერვებს მიშლის, არადა თავად სულ ასე ვიქცევი. ცუდია).

გრიშამ, როგორც ჩანს, ჩემი დანახვისთანავე განჭვრიტა,

მის ადგილს დედოფლის საწოლში განუსაზღვრელი ვადით რომ დავიკავებ, ამიტომ პირველსავე ღამეს ის ქნა, რასაც ყოფილი ფავორიტები მსგავს სიტუაციებში დიდი მონდომებით შვრებიან: მთელი ბინა ექსკრემენტებით გაავსო.

ლენამ ერთი კი შეიცხადა, რა საშინელებააო, მაგრამ ჩემი სახიფათო რაყიფის დატუქსვის მაგივრად მყის ბინის დასუფთავებას მიჰყო ხელი. თან მომიბოდიშასავით, ასეთი რამ ამ გაიძვერას ჯერ არ ჩაუდენიაო. მისი შემხედვარი ძალაუნებურად გაიფიქრებდი, რა დიდებული დიასახლისი, მზრუნველი მეგობარი, ვნებიანი საყვარელი და საერთოდაც არაჩვეულებრივი მეუღლე იქნებოდაო ის ჩემებრ მიზანთროპიისკენ მიდრეკილი მოფილოსოფოსე ნევრასთენიკისთვის (მით უფრო, რომ ლენამ ლამის გაცნობისთანავე გამომიცხადა, ხალხით ისედაც გადაჭედილ უსულგულო სამყაროში ბავშვს ვერ გავაჩენო).

რაც შეეხება ჩვენს კულტურულ თანხვდენილობას – ისევე, როგორც ალისას შემთხვევაში, ეს კომბინაციაც, ეტყობა, ოლიმპზე არასდროს განუხილავთ. თავად განსაჯეთ: როდესაც ვიღაცას დახვეწილობის ნიმუშად ალენ რენეს Mélo-ს აჩვენებ, ის კი ამბობს, მსახიობები ცუდად თამაშობენო... ნუ, რა თანხვდენილობაზე შეიძლება კიდევ ლაპარაკი? ჰოდა, მეორე დღეს უკვე კალიფსოს გამოქვაბულში გამომწყვდეულ ოდისევსად შევრაცხე თავი. ოღონდ თითქოს შვიდი წელი ერთ დღეში გავიდა. უცბად მივხვდი, რომ თიკოს გარდა სხვა ქალი არ მინდა – არც ლენა, არც ალისა, არც ტატიანა ლარინა და არც ჯესიკა სტოიადინოვიჩი. ვიწექი

დივანზე თვალდახუჭული, სანამ ლენა სამზარეულოში ფაციფუცობდა, გრიშას საეჭვო ფხაკურს ჩემს ჩანთასთან აინუნშიაც არ ვაგდებდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რას ველოდები ბოლო-ბოლო ცხოვრებისგან.

აქამდე არც ერთი ჩემი მნიშვნელოვანი წამოწყება წარმატებით არ დაგვირგვინებულა. ძირითადი ჩანაფიქრი არ განხორციელებულა. სანუკვარი ოცნება არ ამხდარა. მთავარი იმედი არ გამართლებულა. წინ მხოლოდ სიბერე, გაურკვევლობა და ესქატოლოგიური ჭმუნვებია. ის მაინც გამაგებინა-მეთქი, ნეტა, ზეციური პროექტის თანახმად ტრაგედიის პროტაგონისტად უნდა დავკანონდე თუ პიკარესკული რომანის ხუშტურიან გმირად ვფორმდები. თუმცა დონ კიხოტად, მგონი, არ ვვარგვარ. არც სანჩო პანსად გამოვდგები. არც ტარტარენ ტარასკონელად... ისე, პერსონაჟების საჩემოდ შერწყმაზე თუ მიდგა საქმე, ხოლო Casting-ის ჩატარებას მე დამავალებენ, უსათუოდ სტივენ დედალოსსა და ლეოპოლდ ბლუმს ავირჩევ-მეთქი, გავიფიქრე და რატომღაც სიტყვა "Sanct" ამომიტივტივდა გონებაში.

ეს სიტყვა, მართალია, ადრეც უთვალავჯერ გამხსენებია (ვგიჟდები, როცა უკუღმა წაკითხულ ზოგიერთ საკრალურ ლათინურ სიტყვაში მხოლოდ ქართული ყურთასმენისთვის შესამჩნევი სატანური ცინიზმი გამოკრთის (ხომ არ მივწერო tinact.com-ის მესვეურთ ამის შესახებ?)), მაგრამ ამჯერად პირველად დავფიქრდი იმაზე, თუ რაოდენ ზუსტად შეეფარდება ის ჩემს შინაგან გაორებას. ვწევარ და ვფიქრობ, რას უნდა მოასწავებდეს ლათინური "Sanct"-ის ქართული

რევერსი კონკრეტულად ჩემთვის – იქნებ ეს ცელქი იმპერატივი (გნებავთ, ოპტატივი) მომიწოდებს, რომ მე ის ჩემს ღვთაებრივ “მე”-ს ვუყო... თუ ეს ის არის, რაც ღვთაებრივმა “მე”-მ მე უნდა მიყოს? აწ და მარადის?

ვხვდები, რომ ადრე თუ გვიან ამ მომენტის გადმოცემას შევეცდები, მაგრამ მის არსთან ახლოსაც ვერ მივალ, წერას უეცრად შევწყვეტ და სიკვდილამდე გამყვება განცდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ვერ ვთქვი.

ლევან ნუცუბიძე

ბროშკა - სულების მომთვინიერებელი

(პილოტის სკრიპტი ტელეკომპანია „რენ ტვ“-სთვის / თარგმანი ინგლისურიდან - “ავტოპილოტის”)

ბროშკა (33 წლის) „ციგანკა“ (ბოშა), მკითხავი / წინასწარმეტყველი. იყოფს ბინას მოსკოვის გარეუბანში მდებარე 16-სათულიანი სახლის სარდაფში, მეტრო ბაბუშკინსკაიას მიმდებარედ, აუტისტ ძმა დეკოსთან (18 წლის), რომელიც ძლივძლიობით ლაპარაკობს, და მამამის მარტონთან (53 წლის) ერთად, რომელიც პენსიაში გასული ფილოსოფოს-ასტროლოგია და ამჟამად თავს ირჩენს აიფონის აპლიკაციისთვის ყოველდღიური ჰოროსკოპების წერით.

დამღლელი განწმენდითი რიტუალები, რომლებიც

მოიცავს კავშირს პარალელურ რეალობასთან, ასევე ახლო ტრანსცენდენტულ კავშირს სხვადასხვა სულებთან და წარმონაქმნებთან, რეაბილიტაციას მოითხოვს, რის გამოც ბროშკას დღეში მხოლოდ ერთი პაციენტის მიღება შეუძლია. სამშაბათიდან პარასკევამდე მას 4 არსებული კლიენტი ყავს. ორშაბათი კი ჯერ-ჯერობით თავისუფალია კლიენტისთვის, რომელიც წესით მალე უნდა გამოჩნდეს.

სამშაბათობით ის ხვდება სარას (30 წლის), რომელიც თავისი 6 წლის შვილის - იანის შესანახად დომინატრიქსად მუშაობს. ონლაინ ის თავის თავს რეკლამას უწევს როგორც „აზიელი დომინა - საიმოვნებისა და ტკივილის ოსტატი“, თუმცა მოსკოვში ის სულ ახლახანს გადმობარგდა ტაშკენტიდან, სადაც ის და მისი შვილი ქმარმა უკაპიკოდ და უსახლკაროდ დატოვა.

სარამ ბროშკასთან სიარული მას შემდეგ დაიწყო, რაც მისმა ერთ-ერთმა გაკოჭილმა და ტკივილის პიკში მყოფმა კლიენტმა (რისთვისაც ის საკმაოდ კარგ მაყუთს იხდიდა კიდეც), მისკენ მიმართა ძალზედ მძლავრი დემონი ასმოდეუსი (ვნების დემონი, რომელიც ადამიანების სექსუალური სურვილებით მანიპულირებდა).

აქედან მოყოლებული, დემონი ასმოდეუსი თან სდევდა სარას, ეცხადებოდა რა მას სიზმრებში და პრიალა ზედაპირებზე - სამზარეულოს ჭურჭელში, სარკეებში, შუშებზე და, ყველაზე ხშირად, სარას საყვარელ “ლუბუტენის” ფეხსაცმელების წვერებზე.

ეს ზმანებები და შიშები სულ მალე აისახა სარას

შესაძლებლობებზე თავისი შვილის მოვლის საკითხში. თავისი და მისი პატარა ბიჭის ცხოვრებიდან ამ საშინელი არსების განსადევნად, სასოწარკვეთილი სარა ბროშკა მკითხავის დახმარებას მიმართავს. ბროშკა ცდილობს სარას მიმართ ასმოდეუსის ცხოველი ინტერესის მიზეზის დადგენას და თავისი კლიენტის ცხოვრების „ნორმალურ“ კალაპოტში დაბრუნებას.

ოთხშაბათები დაჯავშნილია ასლანისთვის (28 წლის) - სომეხი ბიჭი, რომელიც შოკოლადის ქარხანა „წითელ ოქტომბერში“ მტვირთავად მუშაობს. თავის დროზე, ასლანის ბებია (ასევე მისი ერთადერთი მშობელი და მეურვე) ქარხნის დირექტორი იყო და მას შემდეგ, რაც ის შაქრის დიაბეტისგან გარდაიცვალა, ასლანი ჩუმად გამოვიდა ქარხანაში, სადაც დღემდე, მალულად, ქარხნის სხვენში ცხოვრობს.

მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის (Borderline Personality Disorder) დიაგნოზის მქონე ასლანს მისი პირველი და ერთადერთი ბოიფრენდის სული ტანჯავს, რომელიც აიძულებს მას შეაცდინოს, შემდეგ კი მოკლას და შეჭამოს ახალგაზრდა ვაჟიშვილები, რათა აღარასდროს აღარ აღმოჩნდეს მიტოვებული არცერთი ბიჭისგან, ვინც კი მას უყვარს. მის თავში მოჩურჩულე ხმები უმეორებენ მას: „ახლოს იყოლიე ისინი ასლან - შეჭამე ისინი“.

სიფხიზლის მომენტში ასლანმა ბროშკა მკითხავს დახმარებისთვის მიმართა. ბროშკას იგი უნდა გაეთავისუფლებინა დემონისგან, რომელიც 10 წლის წინ თვითონვე შექმნა. ეს ის დრო იყო როცა ასლანმა დაშორების მცდელობის გამო თავისი ბოიფრენდი მოკლა და შემდეგ შოკოლადის თხელი ფენით დაფარული მისი ხორცი მიირთვა.

წინასწარმეტყველი ბროშკა დარწმუნებულია, რომ ეს ამბავი მთლიანად გამოგონილია და ასლანის შავბნელ ფიქრებს ტრამვით გამოწვეულ ველურ ფანტაზიას აბრალებს. ბროშკა გარდაცვლილი ბოიფრენდის გავლენისგან ასლანის გამოხსნასა და ჯანსაღი ცხოვრების კალაპოტში მის დაბრუნებას ცდილობს.

ხუთშაბათობით: მართლმადიდებელი ქრისტიანი მონაზონი - დედა დარია (40 წლის), ღრმად შესული თავის რწმენაში და „მკვდარი ამა ქვეყნისთვის“. დედა დარია ღვთის სახელს ბავშვობიდან ემსახურება. ამჟამად ის ებრძვის ანგელოზის გამოცხადებებს, რომელიც მასში ხორციელ ვნებებს აღძრავს. ეს ანგელოზი, რომელსაც ბერძნული ღვთაების სხეული და იტალიელი ფეხბურთელის მანერიზმი ახასიათებს, დედა დარიას პირველად მძიმე მარხვის ბოლო დღეს მოევლინა. ფიქრობს რა, რომ ის ჯილდოვდება მორწმუნეობაში თავდადების გამო, დარია ფრთიანი კაცისგან სასწაულმოქმედი მკურნალის ნიჭსა და რჩეულად ყოფნის ყალბ შეგრძნებას მიიღებს.

საბოლოოდ, დედა დარიას უყვარდება ანგელოზი და მოკრძალებული სიმორჩილით, მისი მზერის ქვეშ, თავის სხეულს ეფერება. დანაშაულის გრძნობით გატანჯული, ანგელოზის ფორმით გამოცხადებული ეშმაკისგან გასათავისუფლებლად, დედა დარია ბროშკას პოულობს.

პარასკევობით: თავისი ფსიქოკინეტიკური შესაძლებლობების გამო, რენატას (8 წლის) მისივე მშობლები ექცევიან, როგორც შეპყრობილს. მისი ზებუნებრივი ძალების ტრიგერს, როგორც წესი,

წარმოადგენენ: მოწყენილობა, აღშფოთება, შიში და პომიდორი.

რენატას შეუძლია გადაადგილოს ობიექტები, გააჩინოს ცეცხლი და ლიფტიც კი გააჩეროს მხოლოდ თავისი გონის ძალით. მაგრამ მის ყველაზე უცნაურ ნიჭს ადამიანის კუნთოვანი და ნერვული სისტემებით მანიპულაციის შესაძლებლობა წარმოადგენს. მას შეუძლია ჭირისუფლების დიდ ჯგუფს პანაშვიდზე ისტერიული სიცილი დააწყებინოს, ან საახალწლო კარნავალზე კლოუნების ტრადიციული ბედნიერი გამომეტყველება ისეთით შეცვალოს, რომ თავზარდაცემული ბავშვები აქეთ-იქით მიმოიფანტებიან.

შეშფოთებულ მშობლებს ბროშკა არწმუნებს, რომ რენატა შეპყრობილი არაა და პირობას იძლევა, რომ ის ბავშვს თავისი შესაძლებლობების მართვასა და სწორ კალაპოტში გაშვებას შეასწავლის.

> პირველი სეზონი, საპილოტე სცენარი

ბრილიანტის ბროშკა

მოსკოვის გარეუბანი, რუსეთი, 2013

ვიქტორი (25 წლის) მამაკაცი. როკ-მუსიკოსი. მგზავრობს მეტროს ნარინჯისფერი ხაზით სადგურ რიჟსკაიასკენ. ის უშფოთველად მიემართება თავისი გიტარის ქეისით რეპეტიციაზე თავისი მეგობრის სტუდიაში. მეტროს პლატფორმაზე ბოშების ოჯახს წარმოდგენა გაუმართავს. ქალი 40 წლის ფარგლებში,

ფენა-ფენად ჩაცმულ ფერად ტანსაცმელში, მოსასხამით წელზე გამოკერებულ ჩვილთან ერთად წარადგენს თავის გოგონას, რომელმაც პლატფორმის შუაგულში ტანვარჯიშის ილეთები უნდა შეასრულოს.

„შეხედეთ, ჩემი გოგონა ყირაზე გადადის, არტისტი უნდა გამოვიდეს... კეთილო ხალხო, ძვირფასებო, დაგვეხმარეთ და ღმერთი დაგეხმარებათ“ - ქალი მონეტებით ნახევრად გავსებულ ყუთს აქანავებს და თავის გოგნას საცეკვაო რითმს კარნახობს. ვიქტორი ჩაუვლის მას, ისე რომ დახმარებას არ აპირებს, მაგრამ ერთი წამით აკვირდება მის ჩაცმულობას, თან „captain beefheart”-ს უსმენს. ბოშა ქალი მას გადაასწრებს, წყვეტს მონეტებიანი ყუთის ჩხაკუნს, სწრაფად მოსიარულე ხალხში უახლოვდება მას და ექიმის დამაჯერებლობით ეუბნება: „ჩემო ბიჭო, შენ დახმარება გჭირდება“. ის მას პატარა ქაღალდს აძლევს, რომელზეც წერია „ბროშკა“ და ტელეფონის ნომერი 234 56 78 „დაურეკე ამას, გამოგაჯანმრთელებს ძვირფასო“ - მერე დედობრივად მოუთათუნებს ხელს ლოყაზე და თავისი გზით მიდის.

მეტროდან ამოსვლის შემდეგ ვიქტორი იქვე, კუთხეში მდებარე კიოსკს მიაშურებს, სადაც აზერბაიჯანელი ბიჭი პირატული დივიდი დისკებითა და ჰეროინით ვაჭრობს, თუმცა ვიქტორი მალე აღმოაჩენს, რომ მისი ბიჭი დღეს არ მუშაობს. მეზობელი კიოსკის გამყიდველი მას ეუბნება რომ მარატი (დილერი), ოჯახური სიტუაციის გამო, ხუთშაბათზე ადრე არ გამოჩნდება. გაოფლიანებული, იმედგაცრუებისგან და ცივი ქარისგან მოკანკალე ვიქტორი თავისი “აიფონის” სატელეფონო წიგნში სხვა დილერების ნორებს ეძებს, რომლების 90%-ისაც ვალი მართებს.

უცებ ტელეფონი მის ხელში რეკავს. ეს მისი მეგობარი პუჩოკია, რომელიც ეუბნება რომ ცდილობდა მასთან დაკავშირებას. რეპეტიცია გაუქმებულია სახლში პუჩოკის მშობლების ქორწინების 30 წლისთავთან დაკავშირებით გამართული წვეულების გამო.

ტელეფონის ყურმილში გამოღწეულ „გორ’კო! გორ’კოს“ ვიქტორი ლამის ცრემლებამდე მიყავს. აკანკალებული ხელით ის ჯიბეში მეტროკარდს პოულობს, რომელსაც ამოყვება პატარა ქაღალდიც წარწერით „ბროშკა“, ქვეშ მიწერილი ტელეფონის ნომრით. ვიქტორი სარკასტული გამომეტყველებით ფიქრობს შეინახოს ქაღალდი თუ მოისროლოს, როცა მის ყურის ძირში ჩაესმის ქალის კივილი: „მილიცია!!! მიშველეთ!! მიშველეთ, დაიჭირეთ ხულიგანი!!! მან მე გულსაბნევი მომპარა, აი გარბის წითელი ქუდით. ჩემი ბრილიანტის ბროშკა!“

მისი ყვირილი ისე ახლოა ვიქტორის ყურთან , რომ ქალაქის ყველა სხვა ხმა ძალას კარგავს და სიტყვა „ბროშკა“ თავში ექოდ ჩაესმის ვიქტორს, როგორც ერთმანეთის ამრეკლავი სარკეების გამოსახულება.





Facebook სტატუსების ანთოლოგია

(ავტორების სია იხილეთ ბოლოში)

დილით გაჩერებაზე ვიდექი, იქვე მაღაზიასთან ქალი მოვიდა და იკითხა - ხახვი გაქვთ? - გამყიდველი ჩაფიქრდა, ქალი უყურებდა, სიჩუმე ჩამოწვა, გამყიდველს გავხედე, პაუზა გაიწელა, გარშემო ყველა გამყიდველს მიაშტერდა, ცოტა ხანში გამყიდველმა პირი გააღო და თქვა - ხახვი სამშაბათს იქნება! <3 ჰოდა, რავი რა მინდოდა ეხლა ამ ამბით, რომ მეთქვა... ამინ, ოკ, იხარეთ, პარასკევს გილოცავთ!

---

23 წლის ასაკამდე ვიმუშავე თოჯინების თეატრში, ქალაქის გამწვანებაში, სასწრაფო დახმარებაში, აეროპორტში პორტვეინის მტვირთავად, ბენდის ბიჭებთან ერთად, აპარატურის ფული რო მოგვეგროვებინა.. მაგრამ პირველი ხელფასი არქეოლოგიური გათხრების სამუშაოებში ავიღე

(100 მანეთი), როცა 15 წლის ვიყავი. ორი სამარხი ვიპოვე. ერთიდან ჩონჩხი დაიკარგა. ხელმძღვანელმა გამოაცხადა, ტუბიკიანის ნეშტი იყო და თუ იცით ვინც მოიპარა, უთხარით დააბრუნონო. ერთი დაინტერესდა, რუსული პროფის მოსწავლე, რას ამბობსო? რას და ვიღაც გამოს*რებულს ტუბიკით გარდაცვლილის ჩონჩხი მოუპარია მეთქი. აუ, ზურა, ეს მე ვქენი და მიშველეო. რატო ქენი შე შობელძაღლო მეთქი? წავყევი სახლში და მაჩვენა.. ჯექსონის რაღაც ჩართო და ჩონჩხმა ნათება დაიწყო, პირიდან, თვალებიდან, ნეკნებიდან. "ცვეტამუზიკა" გაუკეთებია.

N140 ავტობუსში. ჩემ ზურგს უკან ვიღაც კაცი მობილურზე: "ჰო, ჰო ეგრე ჯობია... ჩაწერე - ანტიფაშისტკაია კაალიცია მნაგანაციონალნოი გრუზიი...კულტურბიე ი ნაუჩნიე სვიაზი.. ობმენ ოპიტა, ლეკციი. რამე....ვსტრეჩი"....არც მიმიხედია, უცებ მეგონა ბულგაკოვის რაღაც უცნობ მოთხრობას, ან მკვდრეთით აღდგენილ სსრკ-ს ვუსმენდი////

ვიზა ლიბერალიზაცია რთულ და ძალიან ნაცნობ ურთიერთობას ჰგავს:

- როდის?

- ჯერ ვერა ..

- და მაინც?

- არ ვიცი უნდა მოვიფიქრო კარგად ყველაფერი.

- მაგრამ ხომ დამპირდი მალეო?!

- ვიცი, მაგრამ მიჭირს, ესე არ ვიცი, მერე ისევ რომ აირიოს ყველაფერი?

- რა უნდა აიროს?!

- იქნებ მერე აღარ მომინდეს ისევ შენთან...

- ჰჰჰ ...

- გარანტიები მინდა, რომ უმტკივნეულოდ დავშორდებით თუ არ გამოგვივიდა ერთად ...

- შენ შეგიძლია წარმოიდგინო რას ვგრძნობ მე ამ დროს?!

- კი , მაგრამ დავიღალე შენს ემოციებზე ფიქრით, ჩემიც მყოფნის და არეულობა რომელშიც ვცხოვრობ ... ნუ დამღლი რა, მემეგობრე ...

- ვცდილობ, ძალიან ვცდილობ საბოლოოდ არ დაგკარგო ... როგორ მოვიქცე?

- მშვიდად, ნუ ფორიაქობ, აკონტროლე შენი ემოციები რა ...

- კარგი, კარგი ... აპრილის ბოლომდე იმედია გადაწყვეტ ყველაფერს..

- არაფერს ვიტყვი, აღარ მინდა ტყუილი დაპირებები.. შენ ძალიან კარგი ხარ

- შენც ..

უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, მინუს პირველ სართულზე აერო კოსმოსური კვლევების ლაბორატორია. სულ ნარდის ხმა გამოდიოდა.

საბურთალოზე ძლივს თავისუფალ ტაქსში ჩავხტი წინ. ვიცი საცობებია და უარი არ მითხრათ მეჩქარება ვაკეში გამიყვანეთთქო. ახალი მოკლე გზით არ წავიდა რაზეც პრეტენზიაც გამოვთქვი. რადიოს ცოტა დავაწევინე. სახელიც მკითხა უცნაურად მომღიმარე სახით, თავისიც მომახსენა. მოვედი 10 ლარი მივაწოდე და.... რა ტაქსი რის ტაქსი. ტრაფარეტიც არ ჰქონდა. არა რას ამბობ აქეთ მოვდიოდი და ისე ჩახტით და მთხოვეთ გამოგიყოლეთო))).

ისევ ასაკოვანი "ირმისტი" კაცების შესახებ ტოტალიზატორ "კრისტალზეთში": სხედან მაგიდასთაც, ბჭობენ, ლიგის მატჩებს არჩევენ, ვიდრე დაიწყება... გაშლილი აქვთ პროგრამები; ფურცლებია ქვეშ "ასავალ-დასავალი" უდევთ...

პირველი - ...აიღე კაცო, "სიტის" მოგება, "ბარსელონას" ნახევარი ხალხი არ ეყოლება...

მეორე - არაა. მაგას ნაკლები ჯობია.. თუ "ბარსა" ვერ გაიტანს არ წააგებს მაინც და გოლები არ გავა...

(პაუზა)

მეორე - არა.. მაინც როგორ წაგვართვეს ნაღდი ერთი ადგილი პარლამენტში, გეგონება ბევრი გვქონდა... ნაცებისთვის მაინც წაერთმიათ, ისედაც ზიმაზე ბევრი არიან.... განათლებული ჯოჯოხეთის მაშხალები...

მესამე - რა ვერ გაიგეთ კაცო, გაურიგდა მაგათ ბიძინა და აჩუქა ბოკერიას ასე, 10-12 ადგილი.

(პაუზა; ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მატჩები დაიწყება მონიტორებზე უჩვენებენ რუსეთის ჩემპიონატის საზარელი მატჩის ჩამაწერს -: “ხიმკი -სპარტაკი”. დათბილულ ქურთუკებში კარგად შეკაზმულ-შელესილი ქალები სელფს იღებენ “სპარტაკის” სათადარიგო სკამის მოთამაშეებთან)..

პირველი - ეჰჰ, რა რუსეთი დავკარგეთ. ქალები ნათელი სახეებით, წმინდა ძუძუებით....მიდი და რამდენიც გინდა ამოირჩიე...

(პაუზა)

მესამე - და ირმამ რატომ უთხრა უარი ინტერვიუზე?

მეორე - რატო და იქ მიჭრიდნენ-მოჭრიდნენ, არ იცი მაგათი და “რუსთავის” ამბავი...

პირველი - რამდენი კარგი ძუძუ დაიკარგა ტყვილა.. ვყოფილიყავით, ცოტა ხანს.... გვეწოვა...რას ვხტუნაობდით

მეორე - კაცო, მორჩი ოცნებებს.,..აქ მომხედე, :სიტი-ბარსაზე” რას ფიქრობ?

მესამე - ჯანდაბას და ძუძუს ფიქრობს, ხო ხედავ....

(პაუზა)

დამლაგებელი ქალი - რო მოწევთ, საფერფლეში ჩააქრეთ და ძირს ნუ ყრით სიგარეტებს . აქ საღორე არ არის!..

ამ საღამოს რეკავს ზარი. გავედი - ვიღაც გოგონა დგას. მეუბნება:

- ბატონმა დავით უსუფაშვილმა წერილი გამოგიგზავნათ.

- პირადად მე?

- დიახ. - და მაწვდის მოკეცილ ფურცელს.

როგორ გავიხარებდი, ხომ გესმით? მეთქი, დამაფასეს, ვაშა! სასადილო ოთახში შევფრინდი, ფურცელს ვაფრიალებ, - უსუფაშვილმა წერილი გამომიგზავნა!

დავხედე და წერია:

“პატივცემულო საბურთალოელებო...”

აღარ წავიკითხე :(

27-е СЕНТЯБРЯ

Я понял сегодня, что время условная субстанция. Счетчик в нашей голове. Иногда мы об этом счетчике, и соответственно о беге минут, забываем. Я сегодня забыл о годах. О двадцати трех годах моих мытарств. Утром в кафе “Маделайн” (названного в честь прустовской “мадленки”), я купил на удивление дорогой донат/пончик.

“Что это?”, спросил я указывая на зеленую, красивого цвета глазурь пончика.

“Это глазурь из зеленого чая”, ответила мне девушка за прилавком.

“Звучит заманчиво, беру ...”, сказал я.

Донат обошелся мне в четыре доллара. Неимоверная цена.

Я взглянул на календарь, чтобы отметить дату моей глупости.

“27-го сентября я купил пончик за четыре доллара ...”

“27-е сентября ...”

Ровно двадцать три года назад, стоя на корме десантного корабля “Константин Ольшанский”, я наблюдал за полосой горящего берега. Город в котором я родился превращался в прах. Корабль эвакуировал гражданское население. Полностью поглощенный страшной картиной, я не заметил подошедшего ко мне матроса.

“По радио передали что, кто-то освобождает город, а кто-то покидает его, а что там происходит на самом деле?”, спросил матрос.

Пара голубых глаз внимательно изучала меня в ожидании ответа. В этот момент я понял, что во вселенском масштабе, трагедия происходящая со мной, ничтожна, и никого в большом мире интересовать не будет. Не зная как ответить, я махнул рукой, продолжая смотреть на черный дым окутывающий белые строения.

Вскоре корабль покрыла тьма, и я сидящий на забитой людьми палубе гнал от себя все мысли о будущем. Я не хотел впускать в душу тоску и страх. В бездонности сентябрьской ночи я пытался осознать происходящее. “Я отправляюсь в неизвестность”. Трясясь от холода, я думал о Черном море, о древних греках, об Одиссее покинувшем родительский дом. “Где-то там, в темноте, берег”. Иногда были видны огни. Вспышки чужого уже света. Над черною водой, нависла тишина. Сухуми

становился прошлым. Историей ...

ალო.

ბატონო.

გისმენთ.

ალო, გისმენთ.

დიახ.

გისმენთ, გისმენთ.

დიახ.

დიახ, დიახ.

აჰა.

დიახ, დიახ, გისმენთ.

აჰა.

აა, უი, არა.

არა, არა. ნომერი შეგეშალათ.

არა, მე ნინო ვარ.

დიახ, სხვაგან მოხვდით.

დიახ.

არა, არაუშავს.

არა, როგორ გეკადრებათ. არაუშავს მართლა. ხდება ხოლმე.

ბატონო?

მე?

არა. მე ნინო ვარ. დიახ.

ნინო.

არაუშავს. კარგად ბრძანდებოდეთ.

სერიიდან ფრეში

ანუ ამბავი ერეკლესი და ..ესი.

ადგილმდებარეობა -გლორიაი

-ბანანის წვენი გაქვს? ოღონდ ალუბალთან ერთად მინდა. ისე არ მინდა. (გოგონა)

-ვნახავ.... არა. გათავდა. ანანასის წვენი არ გინდა?

-არა! აუ მაშინ რა დავლიო?!

-რამე კოქტეილი გინდა?

-არა. ერკვევი სასმელებში?

-აგარჩევინოთ?

-შენს თავს ვფიცავარ კარგად ვერკვევი სასმელებში! (პირველად ვხედავ ამ ადამიანს დაუკვე მიფიცებს)

-კარგით!

-სამბუკა გააქვს.(სად ჩოურტყა)

-არა!

-აუ კაი დამისხი ანანასი.

10 წთის მერე..

-შოკოლადი გააქვს (გაწელა გოგონამ)

-არა!

-აუუ..

-კევს დაგაღეჭინებ თუ გინდა?

-შოკოლადისაა?

-არა.

ნუ გაგაქრობთო. რუსების ათიათასი ჯარისკაცი ეყოფა მთელ პორტუგალიასო. არც მეორეა დარბაისელი, მარა პირველი იმსიღრმე მარაზმშია გადავარდნილი, რომ ეს მხარს ვერ უბამს და მხოლოდ იცინის.ზუსტად ამიტომ მახსენდება,რომ თავიდან ეს მარაზმატიკი ამბობდა, ჩემ ცოლს აქვს პლანშეტი და სახლში რომ მივალ ლაივში ვუყურებ ფეხბურთსო. ცოლი ყოლია. არვიცი რა ვიფიქრო. იმედი რომ გამოვთქვა, ცოლიც მისნაირი იქნება და ქმრის სიყლევეს ვერ ხვდება- მეთქი - ბოროტებაა. უფრო შეგნებული ადამიანი რომ იყოს? ამის წარმოდგენა არ შემიძლია. დაბოლოს, ასეთს დიქტატორი ქმარი არ ჯობია?

დაწერეთ ხალხო რას ჭამთ რას სვავთ, რით ერთობით და სად რით ხართ დაკავებული ხო იცით როგორ აინტერესებს მსოფლიოს.

დღეს ვიყავი საზოგადობრივ მაუწყებელში. სანამ გადაცემა დაიწყებოდა, მოსაცდელ ოთახში ჩართული იყო TV Imedi. იქაურ დილის გადაცემაში საუბრობდა ასტროლოგი ცაგარელი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს ვკითხე, იმედი რატომ ჰქონდათ ჩართული? იუხერხულეს, გადართეს საკუთარ არხზე და თან დააყოლეს, რა მნიშვნელობა აქვს, ყველა არხზე მაინც ერთი და იგივე ინფორმაცია გადისო. ვიფიქრე, მთლად ასეც არ არის, აი ასტროლოგები ხომ იმედზე არიან და არა საზოგადობრივზე-თქო.

დილის გადაცემაში ვისაუბრე მედიაწიგნიერებაზე. ძირითადად კი იმის მნიშვნელობაზე, თუ რატომ და როგორ შეიძლება ინფორმაციის გადამოწმება. გადაცემიდან რომ გამოვდიოდი, შემხვდა ასტროლოგი ცაგარელი. ჩემს შემდეგ მისი ჩართვა იყო, როგორც ჩანს.

ასე იმედგაცრუებული წამოვედი ტელევიზიიდან smile emoticon”

1991 წელს გრიგოლეთში ერთი მეთევზის, სპეროს შვილი, 17 წლის ბიჭი რედიტი ზღვაში ბანაობის დროს გაუჩინარდა. თვითმხილველები არ იყვნენ. სპერო დარწმუნებული იყო რომ რედიტი ქვიშამ ჩაითრია, რადგან ის ძალიან კარგად ცურავდა და წარმოუდგენლად ეჩვენებოდა მშვიდ ზღვაში რედიტი დამხრჩვალიყო. სპერო ყოველ დღე გამთენიას თავის ნავში ჯდებოდა და გრიგოლეთის სანაპიროს გასწვრივ დაღამებამდე დაცურავდა და რედიტს ეძებდა. ასე გრძელდებოდა თორმეტი წელი. როგორც მოსალოდნელი იყო გრიგოლეთში სპერო გიჟად შერაცხეს და ყველანი მაქსიმალურად ცდილობდნენ ნაკლები კონტაქტი ჰქონოდათ მასთან. არც სპერო იკლავდა თავს მათთან ურთიერთობით.

12 წლის მერე, ერთ დილას, როცა სპერო ნავს ზღვაში შესაცურებლად ამზადებდა დაინახა, რომ ნაპირისკენ რაღაც წერტილი მოცურავდა. სპერო მუხლამდე წყალში იდგა და უყურებდა ამ წერტილს, რომელიც ნელნელა იზრდებოდა. უცებ წერტილი წამოდგა და ფეხით გააგრძელა გზა ნაპირამდე. წერტილი მივიდა სპეროსთან, გადაეხვია და უთხრა:

- როგორ ხარ მამა?

რედიტი დაბრუნდა.

ტაქსიში ვზივარ. საცობის გამო, კანონი დაარღვია და ყველას გადაასწრო. მეორე მანქანა წინ გადაუდგა. ეს ბურტყუნებს:

“შენი დედა აფეთქებულა, იარე და მერე ილაპარაკე მაგ დედამოტ*ნულ ტელეფონზე” და

პირჯვარი გადაიწერა.

ეხლა თვითონ მესიჯს წერს.

“რუსოფილობაში” ნუ ჩამითვლით, უბრალოდ, ზამთარი მოდის:

მოსკოვი: ყიდი სადოვოე კალცოზე ან სტოლეშნიკოვ პერეულოკში დიდ და ძველ ბინას, ყიდულობ მომცრო საცხოვრებელს მედვედკოვოზე ან იუგო-ზაპადზე, დარჩენილ ფულს კი საქმეში დებ.

თბილისი: აღარ გაქვს ვეებერთელა ბინის გათბობის ტრაკი, ამიტომ იყენებ მამის ან ბაბუის “სვიაზებს”, ასევე არაფორმალურ კავშირებს შენნაირ ადამიანებთან,

იპარავ გაზს, არ უღებ კარსა და უშვერი სიტყვებით ლანძღავ შესამოწმებლად მოსულ ინსპექტორს.

ავთო ტყაბლაძე: იღებ ვალებს ბანკში, დებ ამ ბინას გირაოდ. რომ გაგიყიდიან, იძახი დამჩაგრესო. თან ამატებ, ოჯახში არავინ ვმუშაობთ 8 წელია, და აბა როგორ უნდა გვეცხოვრაო.

ნაღდი ამბავი:

გაყიდა ბინა, იყიდა აუდი...

დათვრა... შემოახვია ბულაჩაურის კუთხეში ხეს...

ოჯახი:

- ამოწყდა მიშა... ბავშვს ბიზნესი წაართვა და უსახკაროდ დაგვტოვა...”

:)))

“– არ შემიძლია, ხომ იცი, არ შემიძლია. თან რა კატეგორია ხალხი დადის მაგ კლუბებში, არ იცი? მათგან ვინ უნდა გამოჩნდეს ნორმალური.

– ეგრეც ნუ იტყვი! ამასწინათ ტინდერში ილიაუნის ლექტორი გავჩითე.

– მერე?

– დავმეჩე, იმანაც დამმეჩა! მომწერა მერე, ჰეი, როგორ ხარო და მე ვუპასუხე, კარგად-მეთქი. გინდა ჩემთან ამოდიო? მე მაგრად დავიძაბე, ხომ არ ეგონა, რომ სექსის პონტში მინდოდა ვუთხარი არა-მეთქი. აბა როდის გეცლებაო? მე გავუჭედე, აბა რას მმეჩავდიო

იმან. წარმოგიდგენია? მე ვუთხარი, უბრალოდ შემთხვევით მომიხვდა ხელი-მეთქი და თან ეგრევე ეს სექსზე გადასვლა რა პონტია, ცოტა ხომ უნდა შემაბას, არა?

– ჰოო. გადმოვწერო მეც ეგ ტინდერი?

– გადმოწერე მიდი, მაგარი კარგ პონტია, მაგრამ ნაცნობები არ დამეჩო ეცადე, უფრო ექსპატების მუღამშია რა.

გადავწყვიტე, რომ მოგვიანებით შემეხედა ამ ტინდერში და კენკრის მოხიტო მოვწრუპე.”

“AR MAINTERESRBS ARC NACEBI ARC QOCEBI MAGRAM ES ROM DIDI USAMARTLOBAA YVELA NATLAD VXEDAVT SHEIDZLEBA NEBISMIERI AN NEBISMIERI CHVENGANIS AXLOBELI DA MERW DAVIWYOT GAPROTESTEBA MAGRAM SXVISI MAGALITI ROCAAA DA SXVIS USAMARTLOBAS RODESAC VXEDAVT XMAS ARASDROS VIGEBT RATOM XDEBA ASE EATOM AR SHEIDZLEBA SAREVELA SANAM GANRAVLDEBA MANAMDE MOVSPOT VER VXVDEBI EA TVITOEULI SAQARTVELOS MOQALAQIS SAFUQRALI DAVSANERVIULOA AR SHEIDZLEBA MXOLOD SAKUTAR TAVZE FIQRI SHEIDleba aset siyuaciashi nebismieri chvengani agmichndes”

ყველაზე კარგი ლექსი, რაც ბოლო დროს ქართულად წამიკითხავს. (ბატონი რეზო ვერ გაგვიგებს, მაგრამ მაინც)

ბოლო დროს ხშირად წარმოვიდგენ ჩემს თვითმკვლელობას.

ვდგები საწოლიდან, გავდივარ აივანზე

და თავით ვეშვები მეშვიდე სართულიდან.

აუტანელი ხმაურით ვენარცხები გოგა კვირტიას პრიალა

„ბეემვეს“

(2.8-იანი ძრავა, ავტომატიკა, 2007 წლის გამოშვება, ექიმის

ნახმარი)

პარპრიზის ნამსხვრევები ბეღურების გუნდივით იშლება.

ბოდიში, გოგა!

ხმაურზე სტუდქალაქელები აივნებზე გამოდგებიან,

შეიცხადებენ.

– მგონი, ვიღაც გადმოვარდა.

– ნაგავს გადმოყრიდა ვინმე, – დაამშვიდებს ლიკა სხილაძე.

(ნაგავი შენ ხარ, – ვპასუხობ მე – მკვდარი)

პატრული მოდის. ყვითელი ლენტით შემოღობავს ტრაგედიის

ადგილს.

– ლექსებს რომ წერდა, ის ყოფილა,

სულ სახლში რომ იყო მუდოსავით ჩაკეტილი.

– იაღოველი იყოო.

– სატანისტი ყოფილა, – შეუსწორებს მეორე მეზობელი,

გურამ სულავა.

– კატებს ახრჩობდა სასაფლაოზე, ჩემი თვალით ვნახე.

– ვაი თქვენს პატრონს, – ჩაიჩურჩულებს თამუნა

თვალაბეიშვილი (მადლობა, თამო).

– მაინც ცოდოა, ახალგაზრდა იყო, – შეთანხმდებიან

საბოლოოდ.

„დღეს ახალგაზრდა პოეტმა, პაატა შამუგიამ, თვითმკვლელობა

ჩაიდინა.

იგი პრემია „საბას“ მფლობელი

და ახალგაზრდებში პოპულარული ავტორი იყო.

„კურიერი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და უერთდება...“

შემდეგ უკვე კოლეგების მოგონებები:

(და რატომღაც, რომ ვერ მიტანდნენ,

ის კოლეგები განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს,

ან ისინი, საერთოდ, რომ არ ვიცნობდი).

„იგი ისეთი სათუთი იყო“...

„მეტსაც გეტყვით“...

„პირდაპირ ვაცხადებ: ის იყო ნოვატორი!“...

„მის მზერაშიც კი პოეტი მოსჩანდა, ჭეშმარიტი

პოეტი“...

„იცით, სანამ თავს მოიკლავდა, დამირეკა და“...

„ნონკონფორმისტი გახლდათ... ममम... დიახ!“

ასეთი დასასრულის წარმოდგენის შემდეგ,

მყისიერად გადავიფიქრებ ხოლმე

ზედმიწევნით ლამაზად და ოსტატურად ჩაფიქრებულ

თვითმკვლელობას.

არადა, ბოლო დროს მართლაც ხშირად წარმოვიდგენ:

ვდგები საწოლიდან, გავდივარ აივანზე

და თავით ვეშვები მეშვიდე სართულიდან.

პაატა შამუგია

„შიზოგადოება“

თბილისში, მარჯანიშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში მარი ბროსეს კვარცხლბეკზე თბილისის მერიამ მსახიობისა და რეჟისორის, გიგა ლორთქიფანიძის ბიუსტი გახსნა.

ა) ლორთქიფანიძე ბროსეს კვარცხლბეკზე. ეს ხომ უკვე კომიკურია. მაგრამ განვაგრძოთ.

ბ) ახლა “განმარტება” (რომელიც, სიცხადის მიხედვით, განმარტების გარდა ყველაფერია, რადგან საოცრად დამაბნეველია): “მერია მარი ბროსეს შთამომავალს, დავით ხოშტარიას დაუკავშირდა ... ამჟამად მზადდება მარი ბროსეს ახალი კვარცხლბეკი და ბიუსტი,

რომელიც თბილისში, დედა-ენის ბაღში დაიდგმება.”

მოკლედ, ბროსე ჩააჩოჩეს.

ახლა გ) “მერიის ცნობითვე, მარი ბროსეს ბიუსტი წლების წინ ლორქიფანიძის სკვერში არსებული კვარცხლბეკიდან მოიპარეს” grin emoticon წლების წინ, როცა ლორთქიფანიძე ცოცხალი იყო, მისი სკვერი სად და რატომ იყო, გაურკვეველია. კიდევ უფრო გაურკვეველია, რა უნდოდა ამ ისედაც გაურკვეველ “ლორთქიფანიძის სკვერში” ბროსეს ბიუსტს, თუ პირიქით.

მოკლედ, ამაზეა ნათქვამი, მოდი და გაიგე ვისი კვარცხლბეკი ვის ბიუსტში და ვის სკვერშიაო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, არბიუროკრატიული ფილოსოფიით თუ ვიტყვით: ბროსე ჩააჩოჩეს.

და მართლაც, სად ლორთქიფანიძე და სად ბროსე.

სადმე მაინც ვცხოვრობდე, ვიჯდებოდი და ვიდარდებდი საქართველოს ბედზე. შიგადაშიგ აღმაშფოთებელ ვიდეოებს დავაშეარებდი ისტორიული სამშობლოს რეალობიდან და დავაწერდი : ”Kartvelebo gamofxizldit! omg!” იქვე დავტაგავდი:

Ketino Dekowsky - keti do u see ra xdeba turme? disgusting! frustrating! kartvelebo nu dakargavt kartvelobas!!!”

:))

Dilit 5ze me da taxisti:

-visken xar chemo kargo shen?

-ukacravad?

-naci xar tu qoci?

-mtvrali var.

-orives dedis es is aq iq movty.. Gamoushves es xalxi cixidan da autoeben xalxs.

-xo..

-mesmis didi gaautovo magram patara angelozi?

-a?

-dids gaautoeb ki ara metsac uzam.

დამესიზმრა რომ საბურთალოს იპოდრომზე დაწყებული იყო არქეოლოგიური გათხრები და გათხრილ უბნებზე უკვე მოჩანდა რომაული კოლიზეუმის მსგავსი სტადიონის ნარჩენები.

კოლიზეუმის პერიმეტრს, იქ სადაც ახლა გზა გადის, მიუყვებოდა განიერი და ღრმა მოპირკეთებული ტრანშეა, სადაც კოლიზეუმის არსებობის დროს სავარაუდოდ იმართებოდა ორთვალა ეტლებისა და ცხენების დოღი.

ჰავა საბურთალოზე იყო უფრო ხმელთაშუაზღვისპირული. უბერავდა ცხელი ნიავი და ძველი თხრილის ნაპირიდან მოჩანდა მეორე მხარეს, უკვე კომუნისტური იპოდრომის ტრიბუნების ნანგრევებზე ამოსული სუბტროპიკული სიმწვანე, მათ შორის, ევკალიპტის სიმაღლის კანაფის ხეები.

ვრეკავ ტაქსის გამოსაძახებლად. მპასუხობს ოპერატორი:

მე: გამარჯობა, ტაქსის გამოძახება მინდა შარტავას 7 ნომერთან, თუ შესაძლებელია.

ოპერატორი: კი შესაძლებელია, მაგრამ რამდენად მოვა, არ ვიცი. ბევრი გამოძახებაა.

მე (გაკვირვებული): სწორედ ამიტომ გეკითხებით შესაძლებელია თუ არა გამოძახება. თუ ვერ მოვა ტაქსი, შესაბამისად, არც მინდა გამოვიძახო. unsure emoticon

ოპერატორი: მაშინ არ გამოიძახოთ !

სამი თვის წინ გადავწყვიტე უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მემუშავა. საკუთარი ფული მინდოდა მქონოდა. უნივერსიტეტის მეილზე მოსულ SPAR Georgia-ს გამოცხადებულ ვაკანსიაზე (მოლარე-კონსულტანტი ჭირდებოდათ) CV გავაგზავნე, რამდენიმე დღეში გასაუბრება გავიარე, შემდეგ ერთკვირიანი სტაჟირება და მუშაობა დავიწყე. პირობები იყო ასეთი: უნდა მემუშავა ცვლებში, ერთი დღე დილის 9 სთ-დან 5 -მდე, მეორე დღეს 3-დან 9-მდე, მესამე დღეს 9-დან 9-მდე (ღამის ცვლა). გავაფორმე ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული იყო რომ ჩემი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 377 ლარს, დაბეგვრის შემდეგ უნდა ამეღო 307 ლარი (რაც რეალურად არასდროს ამიღია).

პირველი ხელფასი (გვერიცხებოდა ყოველი თვის 10 რიცხვში) იყო 109 ლარი - 18 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით, შემდეგ თვეში ავიღე 295,61

ლარი. მესამე თვის ხელფასი (ჯამში 208 სამუშაო საათი) ჩამერიცხა დღეს, 15 მაისს, 148.64 ლარი.

ჯანდაბა. 148.64 ნამდვილად არ უდრის 307 ლარს. როდესაც დამაინტერესა ხელფასის დაკლების მიზეზმა, მენეჯერმა ამიხსნა, რომ მაღაზიას აქვს დანაკლისი და ხელფასებიდან დაგვექვითა 40%.

ოკ, დანაკლისი შეიძლება იყოს. მაგრამ აქ საინტერესო, ისაა რომ აღნიშნულ მაღაზიას დანაკლისში უწერია ისეთი პროდუქცია, რომელიც არასდროს მიუღია გასაყიდად. მაგალითად 365 ჩიზქეიქი, რომელიც ჩემი იქ მუშაობის სამი თვის მანძილზე ქსელში არასდროს ყოფილა.

ახლა რაც შეეხება სამუშაო პირობებს.

SPAR Georgia-ს აბაშიძის ფილიალს, სადაც ვმუშაობდი, ფაქტობრივად არ აქვს საწყობი. ახალი და ვადაგასული პროდუქცია ინახება ერთ პატარა საკუჭნაო ოთახში, რომელიც ამავდროულად არის მენეჯერის კაბინეტიც, სეიფის შესანახიც და პერსონალის სასადილოც.

თანამშრომლებს საჭმელად და დასასვენებლად გამოყოფილი გვქონდა ერთი საათი, რომელსაც სრულად ვერ გამოიყენებდი, იმიტომ რომ როგორც ზემოთ დავწერე ერთ პატარა ოთახს მულტიფუნქციური დანიშნულება ჰქონდა.

მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულებაში ნათლად იყო სამუშაო გრაფიკი გაწერილი, ზემოთ აღწერილი სამუშაო გრაფიკი ფაქტობრივად არასოდეს მქონია. ვმუშაობდი დილის 9 დან საღამოს 9 მდე და მეორე დღეს საღამოს 9 დან დილის 9 მდე. დღეში 12 საათს.

არ ვწუწუნებდი. მეთქი, პირველი სამსახურია, მოდი ცოტახანს გავუძლებ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც პერსონალის ნაკლებობის გამო 24 საათიც მიმუშავია.

ვითავსებდი ოთხ პროფესიას: ერთდროულად ვიყავი მოლარეც, კონსულტანტიც, ხაზის მწარმოებელი (მზა პროდუქტების კონსულტანტი) და ხანდახან დამლაგებელიც. რადგან ეს უკანასკნელი SPAR Georgia-ს იმ ფილიალის კადრში გათვალისწინებული არ ჰყავდა. აღარაფერს ვამბობ იმაზე რომ მაღაზიაში იყო და დღემდე არის მოძველებული სალარო აპარატები, რომლებსაც კარგა ხანია აღარ იყენებენ. ტექნიკა ძალიან ნელა, ხარვეზით მუშაობს და იწვევს რიგებს სალაროსთან, რაც დამატებითი სტრესია მოლარისთვის.

ორი კვირის წინ განცხადება დავწერე და სამსახურიდან წამოვედი. დღეს ხელფასი დამერიცხა. 307 ლარის ნაცვლად 148.64 ლარი. დაახლოებით ხელფასის 52 % დამაკლეს.

რატომ ვწერე ამდენი. ჩემი მწარე გამოცდილება მინდოდა მომეყოლა კომპანიაზე, რომელიც არაკეთილსინდისიერი დამსაქმებელია. სტუდენტები, რომლებიც სამსახურს ეძებენ, კარგი „ლუკმაა“ ასეთი დამსაქმებლებისათვის. ჰოდა გაფრთხილებთ, ემანდ თქვენც არ შემოეყლაპოთ. თქვენ რა, თქვენი ხელფასი ... SPAR Georgia

---

მე: ბუფეტში რას ყიდულობ ხოლმე

ნატაშკა: ფუნთუშას

მე: და რა ღირს ფუნთუშა

ნატაშკა: ასი თეთრი

“ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე “პროკრედიტ ბანკი” დააყაჩაღა, საიდანაც 15 000 ლარი, 9 000 აშშ დოლარი და 5 000 ევრო გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მომხდარიდან რამდენიმე საათში მის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს.”

თომას ჰარდი

Ruined Maid

გაბოზებული მოახლე

(რეაქტიული თარგმანი)

- ძვირფასო მელია მეგონა სხვა ხარ

ვინ გაიფიქრებდა ქალაქში გნახავ

ეხლა კი ანათებ ისე ვით მზე

- ნუთუ ვერ გაიგე გავბოზდი მე

- სოფელში ფეხშველი მწვანილებს ზრდიდი

მიწიდან კარტოფილს ხელით რომ თხრიდი

დღეს კი ყურადღებას სიმდიდრით იქცევ

- ხო როცა ბოზდები ლამაზად იცმევ

სახლში ხომ სოფლურად უქცევდი კილოს

მტვერს წმენდდი, უსმევდი რაფაზე ტილოს

ეხლა კი მოახლე გისწორებს ზეწარს

- დიახ გაბოზება მანერებს ხვეწავს

- ხელები რომ გქონდა მურისგან შავი

ეხლა კი მოდურად მოგირთავს თავი

და მძიმე შრომასაც გეტყობა უკლე

- ხო გაბოზებული არ შრომობ უკვე

- შენთვის ხო წარსული კოშმარს გავს სიზმრის

რომელსაც იხსენებ თანხლებით ზიზღის

და მასზე ლაპარაკს დროის თვლი კარგვად

- ბოზდები ეს ნიშნავს რომ ცხოვრობ კარგად

- ისე კი მეცა მაქვს ლამაზი კაბა

და უკვე მომბეზრდა შრომა და ჯაფა

- თავს ნუ მოიტყუებ ოცნებით ფუჭით

შენნაირ სოფლელებს ბოზობა უჭირთ

გავიარე მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა სავალდებულო სარეზერვო მომზადება.

ეს იყო გადასახადების გადამხდელებისთვის წართმეული ფულის ფლანგვის აპოთეოზი: დროის უაზროდ ფლანგვის პროცესში მყოფი უამრავი ახალგაზრდა და ძველგაზრდა (ზოგი მათგანი

უზარმაზარი ღიპით), რომელთაც არ გაუმართლათ და სამედიცინო შემოწმების პუნქტზე ვერ “დააბრაკინეს” თავი, სამი კვირის განმავლობაში იძულებით მოწყვეტილი საკუთარ საქმეს. ზოგიერთს ყაზარმაში ყოფნა ეზარებოდა და ვითომ ავად იყვნენ, ლაზარეთში იწვნენ.

ტუალეტის ნაცვლად დაგვხვდა ჩეჩმა, რომელშიც განავლის მთების გამო არ შეისვლებოდა, და თუ მაინც შეხვიდოდი, საჯაროდ უნდა მოგესაქმებინა უცნობი ადამიანების თვალწინ - ფაქტიურად, ღია სივრცე იყო ტიხრებით. ამის გამო, რეზერვისტების დიდი ნაწილი მიმდებარე ხევში იკმაყოფილებდა ბუნებრივ მოთხოვნილებებს. კიდევ კარგი, ნოემბერ-დეკემბერი იყო ჩემი რეზერვისტობის დროს - წარმოდგენაც არ მინდა, ზაფხულში რას დაემგვანებოდა ის ხევი.

აბანო არანაკლებ ბრწინვალედ იყო მოწყობილი - ვისაც გაუმართლებდა და პირველ ან ბოლო ნაკადში არ მოხვდებოდა, გაყინულ წყალს ასცდებოდა. წყალი სუსტი ნაკადით მოდიოდა, ამიტომ ჩაკუზულს უნდა მიგეღო შხაპი.

კვებას რაც შეეხება - ძირითადი მენიუ შედგებოდა თეთრი პურისგან, კარტოფილის პიურესგან, ფაფებისგან, და ხორცისგან - ეს უკანასკნელი უპირატესად ქათმის ხორცის ან სოსისების სახით იყო წარმოდგენილი. დესერტად გვაძლევდნენ ერთ ცალ ვაშლს. ამ მენიუს შედეგად რეზერვისტების უმრავლესობას ძლიერი და ხანგრძლივი ყაბზობა უვითარდებოდა - როგორც ჯარისკაცებმა გვითხრეს, ეს წინასწარ გათვლილი ტაქტიკა იყო, ფაღარათის

შემთხვევები რომ აეცილებინათ თავიდან.

საკუთრივ სამხედრო მომზადებას რაც შეეხება: ჯერ მწყობრში სიარულს გვასწავლიდნენ რამდენიმე დღის განმავლობაში და მერე - კალაშნიკოვის ავტომატის დაშლა-აწყობას - როგორც ჩანს, იმ დიადი დღისთვის გვამზადებდნენ, როცა სროლის უფლება მოგვეცემოდა. მე, ზოგადად, რუტინას ვერ ვიტანდ და როცა მომბეზრდა, კაპიტანს ხუმრობით ვკითხე, უკვე კარგად ვიცით კალაშნიკოვის დაშლა-აწყობა და იქნებ რაიმე სხვა საქმით დავკავებულიყავით მეთქი. როგორც ჩანს, კაპიტანს ეს ეწყინა - ცოტა არ იყოს, ბუტია და ფხუკიანი იყო - და ასეთი გარიგება შემომთავაზა: თუკი დაშლა-აწყობის ყველა პუნქტს შესაბამისი თანმიმდევრობით და სისწრაფით განახორციელებ, მაშინ სხვა რამეზე გადავალთ, და თუ არა - მაშინ უნდა "ვისპარინგოთო". ეგ რას ნიშნავს მეთქი? თურმე, ჭიდაობა ყოფილა "სპარინგობა". კარგი მეთქი. მოკლედ, დაშლა-აწყობის რომელიღაცა ეტაპი არასწორი თანმიმდევრობით გავაკეთე და წავაგე. აბა, ახლა ვისპარინგოთო. გააკეთეს ბიჭებმა გარშემო წრე და დავეჭიდეთ ერთმანეთს. კაპიტანი გამოცდილი იყო და შესაბამისი ილეთებიც იცოდა - რამდენჯერაც დავეჭიდე, იმდენჯერ დამაგდო ძირს. ბოლოს წამომიღო ზემოდან და მხრით დამახეთქა მიწაზე. როგორც აღმოჩნდა, ლავიწი მომტეხვია დავარდნის პროცესში. ამაზე ატყდა ერთი ამბავი - წამიყვანეს გორის ჰოსპიტალში რეტგენის გადასაღებად და ნახვევის დასადებად. კაპიტანი შემეცოდა - არ მინდოდა, უსიამოვნობა რომ შეხვედროდა - და ვინც კი მეკითხებოდა, ყველას ვეუბნებოდი, რომ ვითომ თოვლში დამიცდა ფეხი, წავიქეცი, და ქვას

დავარტყი მხარი. სამწუხაროდ, მერე გავიგე, რომ თურმე რამდენიმე ჩემი თანარეზერვისტი ჩემი ამბით აშანტაჟებდა და ნაკლები სიმკაცრის გამოჩენას სთხოვდა. როცა ეს შევიტყვე, კაპიტანს დაველაპარაკე და ვუთხარი, რომ მის "ჩაშვებას" არ ვაპირებდი და შიში არაფრის ჰქონოდა. რეზერვის ხელმძღვანელობამ გამომიცხადა, ახლა თუ წახვალ სახლში, ეს რეზერვი გავლილად არ ჩაგეთვლება და თავიდან მოგიწევს გავლაო. ამ მარაზმის თავიდან გავლის სურვილი ნამდვილად არ მქონდა და გადავწყვიტე, მოტეხილი ლავიწით გამეგრძელებინა სარეზერვო მომზადება - თუკი მაგას მომზადება შეიძლება დაერქვას. შემომთავაზეს, ლაზარეთში დაწექიო, მაგრამ ლაზარეთში მოწყენილობა იყო და ისევ ყაზარმაში ყოფნა ვარჩიე, რისი ნებაც დამრთეს. ლავიწი კარგად არ შემიხორცდა და დიდხანს სიარულის შემდეგ ახლაც მტკივდება ხოლმე.

ყაზარმაში დისციპლინა იყო ნულზე. ღამღამობით ადგილი ჰქონდა ალკოჰოლის სმას და ნარკოტიკების მოხმარებას - ნათესავებს და მეგობრებს მოჰქონდათ საჭმელთან ერთად. ერთ დღეს ნახმარი შპრიცები იპოვნეს ფანჯრის ქვემოთ და მაგაზე ატეხეს ერთი ამბავი, თუმცა, ყველაფერი მალევე მიწყნარდა. იყო ბულინგის შემთხვევებიც. მე, მაგალითად, ერთი "ვაჟკაცი", რომელიც მანამდე ვერაფერს მიბედავდა, ლავიწის მოტეხვის შემდეგ გადამეკიდა - როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ცალი ხელით მისი მომრევი არ ვიყავი. კიდევ კარგი, ჩემი მეგობრები ჩაერივნენ და მოსვეს ადგილზე.

ერთ დღეს ყველანი წაგვიყვანეს, დარბაზში დაგვსხეს,

და ფილმი გვანახეს აფხაზეთის ომის შესახებ, სადაც რუსების და აფხაზების მიერ ჩადენილი სისასტიკეები იყო გრაფიკულად ნაჩვენები. ჩვენთან რეზერვში მსახურობდა წარმოშობით რუსი ახალგაზრდა, რომელიც, როგორც გავიგე, ფილმის ჩვენების შემდეგ ერთ-ერთმა ჯანიანმა ბიჭმა გაიყვანა, დედა აგინა და დაემუქრა. ამის შედეგად ამ ყმაწვილს ფსიქიკური სტრესი განუვითარდა - მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ იძულებულები გახდნენ, რეზერვიდან დაეთხოვათ.

ერთ დღეს ზამთრის ყინვაში პლაცზე მდგომებს გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი ნიკოლოზ ჯანჯღავა გვეწვია, გადმოხტა კაი ჩათბუნებული SUV-დან მაისურის ამარა და წაგვიკითხა პატრიოტული სულის ამამაღლებელი ლექცია. ლექციის მთავარი სიტყვები იყო: “მე არ ვიცი, როდის იქნება ომი, მაგრამ ომი აუცილებლად იქნება!” - ამას ჩვენი რეზერვისტების აღტკინებული ყიჟინა და “საქართველოს გაუმარ-ჯოს” ძახილი მოჰყვა.

აი, ყველაფერი, რაც შემიძლია ვთქვა ჩემი სავალდებულო სარეზერვო მომზადების შესახებ.

---

22 წლის წინ ძალიან ცუდი დრო იყო. მე სასწავლებლად მივდიოდი და აღმოჩნდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საბუთი მჭირდებოდა. ვიდექი სადღაც ფილარმონიასთან. იქვე რამდენიმე ოფისი იყო. ერთ-ერთში შევედი. სამი კაცი იჯდა. ავუხსენი, რომ სასწავლებლად მივდიოდი. არც უკითხავთ არაფერი. 5 წუთში მქონდა საბუთი დაფინანსების შესახებ.

“აბა, წარმატებებიო”, მითხრეს. მგონი, მოჭიდავეების ფედერაცია იყო ან ძიუდოისტების. არც მერე და არც მანამდე ეს ხალხი აღარ მინახავს. ჩემი დაგვიანებული მადლობა მათ.

დაბეჭდილი სტატუსების ავტორები:

No N O Antadze, Alexander Bagration-Davidoff, Aleqsandre Baziari, David Bukhrikidze, Abi-Toba Abi-Toba Chagunava, Shushanik Chubinidze, Mamuka Davarashvili, Hanzee Dent, Grigol Gegelia, Gigi Guledani, Simon Janashia, Zura Kitsmarishvili, Kato Kopaleishvili, Kote Kubaneishvili, Nodar Ladaria, George Lominadze, Irakli Lomouri, Leliko Mirijanashvili, Dato Naskidashvili, George Sikharulidze, Paata Shamugia, Tako Songhulashvili, Qeti Tchelidze, Kravai Tyemaladze Oona



ქეთი გაბინაშვილი

სად დაიკარგა ღმერთი?!

მამა ლოთია. სვამს განუწყვეტლივ. დედა მთელ დღეს სწყევლის. მეზობლები მასხარად იგდებენ. მეგობრები აღარ ჰყავს. მამას ცუდი სუნი აქვს და მე მიჭირს მისი კოცნა. მამა ხშირად მოდის დასველებული შარვლით და მრცხვენია მის გამო. მამა ოჯახ-ოჯახ დადის და ფულს თხოულობს არყის საყიდლად და ამ დროს მე ის მეცოდება. მამას ექიმმა თქვა, ღვიძლი ეშლებაო და მე დავივიწყე ეს ამბავი. თუ არ მეცოდინება, არც არაფერი მოხდება, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარს და, მართალია, ვერ ვამართლებ დედასთან, რომელიც ჩვენს ყველა უბედურებას მას აბრალებს და ოჯახის შემარცხვენელს ეძახის, მაგრამ გულის სიღრმეში მე ვცდილობ, მის საქციელს ახსნა მოვუძებნო.

მამა ლოთია, დედა მაღაზიაში მუშაობს

კონსულტანტად. 150 ლარი აქვს ხელფასი. დილით მიდის 8 საათზე და ღამით ბრუნდება, ხან საერთოდ არ ბრუნდება. ამბობს, აღწერა გვქონდაო. არ ვიცი, იქნებ მასეცაა, მაგრამ ამას წინათ თინიკოსთან რომ მივედი, გავიგე დედამისი როგორ ეუბნებოდა მეზობლის ქალს, სულ არ მინდა ეს ბავშვი ჩვენთან მოდიოდეს, მამა „ბრაძიაგა“ ჰყავს, დედა ბოზიო. მიზეზი მოვძებნე და თინიკოს დავემშვიდობე. მთელი საღამო ვტიროდი. არ ვიცი, როგორ გავაგრძელო ცხოვრება, ამის შემდეგ, რაც უნდა ვაკეთო, მე ვიქნები ლოთისა და ბოზის შვილი. სიკვდილი მინდოდა, წამლები მოვძებნე და დალევას ვაპირებდი, მაგრამ შემეშინდა. სიკვდილსაც ხომ გმირობა სჭირდება. მე კი გმირი არ ვარ.

მე 13 წლის ვარ. ჩემი ძმა გიორგი - 7 წლისაა, და გვყავს პატარა, 3 წლის ნიცა. ძალიან მგავს, ჩემსავით რიჟაა და ჭორფლიანი, გაბერილია გასაფრენად გამზადებული ბურთივით. მე მანჩო მქვია. უფროსი ვარ და და-ძმის მიხედვა მე მევალება. უნდა გავაღვიძო, ჩავაცვა, საჭმელი ვაჭამო, და ბაღში დავტოვე, ძმა სკოლამდე მივაცილო. მერე საღამოსაც მე გამომყავს ნიცა ბაღიდან, ვაჭმევ, ვეთამაშები და ვაძინებ. მოკლედ პატარა დიასახლისი ვარ. ნელ-ნელა ყველაფერი ვისწავლე, ერთი დაუთავებას ვერ მივეჩვიე, ყოველთვის აქვს ნაკეცები ჩემს გაუთავებულ პერანგებს და კლასელები ამაზე ხშირად დამცინიან.

ძალიან გვიჭირს, არც მახსოვს ბოლოს ხორცი როდის ვჭამე, აა, კი, მახსოვს, მაიკო დეიდამ რამდენიმე თვის წინ ქათმის ჩახოხბილი შემოგვაწოდა. ერთი თეფში იყო, მაგრამ 5-ად გავყავი. ჩვენ ვჭამეთ, საღამოს დედამაც ჭამა და მამას წილი ნიცას აჭამა. მაგას არაფერში

სჭირდება, არყის მეტი არაფერი უნდაო. იმ ღამეს ვიტირე. მგონია, რომ მამა მსოფლიოში ყველაზე მეტად მიყვარს და მძულს, მეცოდება და ვბრაზობ. მამა რომ არ სვამდეს, ახლა ჩვენ სხვანირად ვიცხოვრებდით, დედაც სხვანირი იქნებოდა და ჩვენც.

დედა ფიქრობს რომ მამა მალე მოკვდება, ფიქრობს კი არა მგონი ეს უფრო სურვილია. რამდენჯერმე გვითხრა, თუ სახლში მოხვედით და მამას ისე ღრმად ეძინა, რომ ვერ გააღვიძეთ, არ შეგეშინდეთ, სმამ იცისო. ჰგონია, რომ მძინარე და მკვდარ ადამიანს ვერ გავარჩევ, ვერ ხვდება, რომ გავიზარდე და ისე აღარ უნდა მელაპარაკოს, როგორც ბავშვს. მეშინია მამას გამო და ხშირად ჩუმად ვაყურადებ მის სუნთქვას.

მამას ძალიან ფხიზელი ძილი აქვს, ჩვენ მოსვლაზე ყოველთვის ეღვიძება. წამოჯდება, ნიცას კალთაში ჩაისვამს და კოცნის. მე და გიოს აღარ გვეფერება. დედა გვაფრთხილეს, მამამ თუ მოფერება გთხოვათ, გაიქეცითო. მას მამა ურჩხული ჰგონია. არა და ვხედავ, როგორ ზის და მიყურებს, როცა ვალაგებ ან ვაუთოვებ. -რამხელა გახდი, შე შობელძაღლოო,- მეუბნება ხანდახან და მე არ მწყინს, რადგან ვიცი, ასე გამოხატავას სიყვარულს.

შარშან ზამთარში, ძალიან ციოდა და ტანსაცმელს ვრეცხავდი. იმ დროს მოვიდა სახლში, სიცივისაგან დაწითლებული ხელებს იაღლებში რომ ვითბობდი. თავზე დამადგა, მთვრალი იყო, არყისა და ჭუჭყის სუნი ასდიოდა. როცა დამინახა, როგორ ვცდილობდი საპნიანი წყლის გადაღვრას, მოხმარება სცადა, წაბარბაცდა და წყალი დაღვარა. მე ტილოს მოსატანად

გავედი და როდესაც მოვედი, იატაკზე მჯდარი დამხვდა. იჯდა და ტიროდა.

- მაპატიე, მამა,- მითხრა და თავი ხელებში ჩარგო. ვიცი, ეს წყლის დაღვრის გამო არ უთქვამს. ისიც ვიგრძენი, იმ წუთას სიმთვრალე არ ალაპარაკებდა. მისი რეალობა ისეთი მტკივნეული იყო, მივხვდი თმის ყველა ღერი სტკიოდა. მომეჩვენა, საკუთარი თავი სძულდა. მაშინ გავიაზრე, აუცილებელი იყო მისთვის სმა, ვიცოდი, ასე თავის გადარჩენას ცდილობდა.

გიორგის და ნიცას მამა არ უყვართ. გიორგი პატარა იყო, როცა მამამ სმა დაიწყო და აღარც ახსოვს როგორი იყო მანამდე ჩვენი ცხოვრება. ნიცას მამასი ეშინია და, საერთოდ, ხანდახან მამიდას სიტყვები მახსენდება, არ მჯერა, ეგ რომ ჩემი ძმისშვილია. ჭირის დღესავით სძულს თავის ცოლს ჩემი ძმა და შვილს გაუჩენდაო?!

არ ვიცი, ნიცას ამბავი მართალია თუ არა, მაგრამ დედას მამა რომ სძულს, ეს დანამდვილებით ვიცი. ამ ზამთარს ყინავდა, მამა მთვრალი მოვიდა და დედამ კარი არ გაუღო. შიგნიდან ჩაკეტა. რამდენჯერმე დააბრახუნა კარზე და მერე, ეტყობა, ჩხუბის თავი არ ჰქონდა, ერთი კი გავიგე: მოგიტყან გამზრდელიო და იქვე აივანზე ჩაეძინა. საბანი მეფარა და ძალიან მციოდა, ფეხის თითები გაყინული მქონდა, წარმოვიდგინე როგორ შესცივდებოდა მამას. შემოვუშვათ, შესცივა-მეთქი, ვთხოვე, მაგრამ დაეგდეო, - დამიყვირა. ნეტამც არ იქნება, გაიყინოს და მოკვდეს, დავისვენებთ, აღარ შეგვარცხვენს მაინცო. ძილი გამიფრთხა, ვიწექი და ველოდებოდი გათენებას, რომ მენახა, მამა ცოცხალი იყო თუ არა.

ხან დედას თვითონაც მოაქვს არაყი. არ ვიცი, ეცოდება თუ უბრალოდ არ უნდა, რომ გამოფხიზლდეს.

მახსოვს მამა ფხიზელი, მახსოვს როგორ ვუყვარდი, მაგრამ არ მახსოვს, დედას და მამასაც თუ უყვარდათ ერთმანეთი. ისინი სულ ჩხუბობდნენ და მე ამის გამო, სახლის უკან ბოსელში ვიმალებოდი. მამა ცდილობდა, ჩემი თანდასწრებით არ ეჩხუბა, მაგრამ ღამე, როცა ეგონათ, რომ მეძინა, საათობით ყვიროდნენ, მერე მამა ნაჩქარევად იღებდა ტანსაცმელს, კარს გაიჯახუნებდა და მიდოდა. დედა ტიროდა და გამთენიისას ეძინებოდა, მე კი ჩამეძინებოდა თუ არა, კოშმარები მესიზმრებოდა და ტირილით ვიღვიძებდი. დილით დედა დგებოდა შესიებული ქუთუთოებით და ჯამების ბრახაბრუხით ამზადებდა სადილს. მამა ყოველ დილით ისე შემოდიოდა სახლში, თითქოს ამ წუთას გავიდა ეზოშიო. მოდიოდა, რათა სამსახურში წასვლამდე ბაღში მივეყვანე. საღამოსაც ის მაკითხავდა.

ერთ დღეს ბაღში არ მომაკითხეს და მასწავლებელმა თვითონ მომიყვანა სახლში. ეზოში ყვირილისა და მინების მსხვრევის ხმა ისმოდა. მაშინ მე უკვე მე-6 წელში ვიყავი, მივხვდი, ისევ ჩხუბობდნენ, ნუნუ მასწავლებელს ვთხოვე, აღარ მინდა, ახლა ჩემით შევალ-მეთქი, მაგრამ არ დამანება. მაინც სახლში შემაცილა. ოთხაში მაშინ შევედით, როცა მამას დედასთვის ყელში ჰქონდა ხელი წაჭერილი და კედელთან მიყუდებულს აგინებდა, წივილი ავტეხე. მამამ ხელი უშვა და სახლიდან გავარდა. ნუნუც უკან მიჰყვა. იმ ღამეს შიშზე კრუნჩხვა პირველად დამემართა. მეორე დილით ბაღში მეზობელმა წამიყვანა. როცა მივედი, დავინახე, როგორ იდგა

ნუნუ მასწავლებელი ოთახის შუაგულში და უყვებოდა მშობლებს წინა დღეს ჩემს ოჯახში მომხდარ ამბავს.

და აი, იმ წამს დავკარგე ნდობა ადამიანების მიმართ. ნუნუ იყო პირველი ადამიანი, რომელიც შემძულდა. მთელი დღე ცუდად ვიყავი, სიცხემ ამიწია. მეორე დღიდან ბაღში აღარ წავსულვარ. გაზაფხული იყო, სამ თვეში ისედაც ვასრულებდი ბაღს, რადგან დედას დილით გამღვიძებელი და ბაღში წამყვანი აღარ ჰყავდა, ამიტომ ჩემი პროტესტი მისთვის ერთგვარი შვება აღმოჩნდა. არც ნუნუ მასწავლებელს მოვუკითხივარ, არც სხვა ბავშვების მშობლებს, ლაპარაკს კი ამ ამბავზე სოფელში წლების შემდეგაც არ წყვეტდნენ.

მამა შინ ორი დღის შემდეგ მოვიდა. ისეთი მთვრალი იყო, ფეხი ერეოდა და მაშინ პირველად შემეშინდა მისი, როცა დავინახე, ტირილი დავიწყე. - ბავშვსაც კი შეაძულე თავი, - უთხრა დედამ და მამა ისე გაბრაზდა, კარი ჩაამტვრია და რამდენიმე თვე ზეწარი ასრულებდა მის ფუნქციას.

სმის დაწყებიდან რამდენიმე თვეში მამა სამსახურიდან გამოუშვეს და დავრჩით ფულის გარეშე. თავიდან მეზობლები გვეხმარებოდნენ, მერე ყველას მობეზრდა ჩვენი გამოკვება, არც გაემტყუნებათ, არავის ჰქონდა მოჭარბებული და დედამ სამსახურის ძებნა დაიწყო. სახლებს ალაგებდა და სადილს აძლევდნენ, მერე 1 წელი ძიძად იმუშავა, შედარებით უკეთესად ვიყავით, როცა დედა ბავშვს უვლიდა, მაგრამ ოჯახური პრობლემებით ისე ჰქონდა ნერვები გაფუჭებული, თავი ვერ შეიკავა და ერთხელ პატარას სცემა, ამის გამო, ლამის დააპატიმრეს. ისევ ულუკმაპუროდ დავრჩით.

ყოფილა დღეები, როცა პურიც არ გვქონია სახლში. ფილტვები დამისუსტდა და 2 თვე საავადმყოფოში გავატარე. გამოვჯანმრთელდი, მაგრამ კლასელებს დიდხანს ახსოვდათ ეს ამბავი, გვედით არავინ მიჯდებოდ, ჭლექიანს მეძახდნენ.

ბავშვებს რა გაემტყუნებათ, ყველაფერი შეუძლიათ გართობის საშუალებად აქციონ, აი, მასწავლებელი კი სულ სხვა თემაა. მადონა, ჩემი მათემატიკის მასწავლებელი, როდესაც დავალების შესამოწმებლად მერხს უახლოვდებოდა, პირზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული და არ მიახლოვდებოდა. შორს დადგებოდა და კისერწაგრძელებული ჩაჰყურებდა რვეულს, ჩემს ნივთებს არც კი ეხებოდა:

- გადაშალე, გოგო, - მესროდა ხოლმე სიტყვებს ძაღლისთვის მიგდებულ ლუკმასავით, როცა ერთ გვერდს ჩაამთავრებდა.

ეს ყველაფერი ჩემს, ისედაც ნაბადივით ფეხქვეშგათელილ, თავმოყვარეობას სულ უფრო მეტად სვრიდა ლაფში, ამიტომ გამოსავალი ვიპოვე და საერთოდ აღარ ვასრულებდი დავალებას, მადონა მასწავლებელი ასე შეძლებდა, ჩემგან რაც შეიძლება, შორს ყოფილიყო. მე მასზე ვზრუნავდი, მაგრამ მათემატიკის წითელპომადიანი მასწავლებელი, ყოველ გაკვეთილზე, კომენტარზე - დავალება არ მაქვს, სალათაზე მოყრილი მარილივით აყოლებდა: უთავმოყვარეო, დებილი, განუვითარებელი.

ერთადერთი საგანი, რომელიც მიყვარდა, ვსწავლობდი და სკოლაში სიარულის ტანჯვას აბალანსებდა, ქართული ლიტერატურა იყო. შარშან შემოდგომით,

ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ გვქონდა და მთელი საღამო ვსწავლობდი. ხელი ავიწიე, ადექიო, მითხრა. მოყოლა სიხარულით დავიწყე, მიხარია, ერთ საკითხში მაინც რომ შემიძლია სხვაზე უკეთესი ვიყო, მაგრამ ნანა მასწავლებელმა, გაჩერდი და კლასის ცენტრში გამოდიო. უხერხულად გავედი დაფასთან, ვცდილობდი, ისე დამედგა ფეხები, დაკემსილი რეიტუზი არ შეემჩნიათ ბავშვებს, მაგრამ თურმე სხვა უბედურება მელოდა:

დაილაპარაკე, - მითხრა და ტუჩებზე გველივით გაუსრიალდა ღიმილი.

გაოცებულმა შევხედე.

- თქვი რამე!

- რა ვთქვა?- ვიკითხე დაბნეულმა.

- ბავშვებო, თქვენც ამჩნევთ ტუჩები როგორ ებრიცება ლაპარაკისას? - იკითხა ნანა მასწავლებელმა და ირონიის დამალვა ვერ შეძლო.

მთელი კლასი ახარხარდა. მერე ვიღაცებმა ჩემი გამოჯავრება სცადეს.

- ყბაჩო,- დაიძახა უკანა მერხიდან ავთომ.

ვიდექი ისე, თითქოს ცივი წყალი გადაესხათ, ცრემლი თვალებს დაუკითხავი სტუმრებივით მოადგა.

- დამშვიდდით, რა გაცინებთ, ბავშვებო, როგორ შეიძლება ერთმანეთის დაცინვა? - „გაბრაზდა“ მასწავლებელი, - მანანა (იცის, ამ სახელს ვერ ვიტან, მანჩო მქვია საბუთებითაც, მაგრამ მაინც მანანას მეძახის, ახლა ამაზე აყაყანდნენ ბავშვები), რატომ

გებრიცება ტუჩები? ძალიან ცუდად ჩანს გარედან, ამიტომ ეცადე, მასე აღარ გააკეთო, - დამარიგა მზრუნველი ხმით და დაჯექი ახლაო, ნებართვა მომცა.

მერხთან დავბრუნდი. 23 წყვილი თვალი ჩემს ტუჩებს შეჰყურებდა. სახე სისხლისფრად მიელავდა და ვგრძნობდი, ცეცხლი მეკიდა სხეულზე. ტირილი დავიწყე. არავის უცდია ჩემი დამშვიდება.

კეთილმა რჩევამ არ გაჭრა: ტუჩებს დროდადრო ისევ ვბრეც, ნერვიულობაზე მემართება, სანერვიულოს კი ჩემს ოჯახში ღმერთიც ვეღარ გამოლევს. ასე რომ, პრობლემა ვერ მოგვარდა, მაგრამ სწავლის მიმართ ინტერესი საბოლოოდ დავკარგე.

სექტემბრიდან, ალბათ, სკოლაშიც აღარ ვივლი. დღეს ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. დილით თონიდან მოვდიოდი და ნათია შემხვდა. დედა თონის მეპატრონეს იცნობს და სთხოვა, ძველი პური გვაჩუქოს ხოლმე. ყოველ დილით მივდივარ და გამხმარი პური მომაქვს. მცხვენია, როცა სათხოვნელად მივდივარ, მაგრამ რას ვიზამ, ნიცა და გიორგი ჯერ ძალიან პატარები არიან და მშივრებს ვერ დავტოვებ. ამ დილას თონიდან მოვდივარ და ნაცნობი ხმა მესმის:

- მანჩოო!

ხმა ვიცანი და თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ გავიგე, ნაბიჯს ავუჩქარე, არავის ნახვა არ მინდა, მე მივდივარ დაუვარცხნელი, აწეწილი თმით, მიმაქვს პური და ჩემს პურს თონიდან ახლადამოღებული პურის ოხშივარი არ ასდის. მაგრამ ნათიამ სირბილით გადმოკვეთა ქუჩა და პირდაპირ ცხვირწინ ამესვეტა.

- მანჩოო, როგორ ხარ? ისვენებ? საით ატარებ არდადეგებს? - მომაყარა კითხვები.

გაზრდილია, გალამაზებული, ჯინსის კომბინიზონი აცვია და ყურებზე გადაწეულ თმას აქეთ-იქით აქნევს მომხიბვლელად. 2 ბიჭი და 3 გოგო ახლავს. ჩვენზე დიდები ჩანან. ერთ ბიჭს სიგარეტი გაუჩრია გაფარჩხულ თითებში და სახეზე მაბოლებს, თან თავხედურად მათვალიერებს. თავიდან რომ ავირიდო ნათიას უხერხული კითხვები, საუბარი გადამაქვს:

- უი, ვერც დაგინახე, როგორ მომიახლოვდი.

- დაგინახე და ტანსაცმლით გიცანი,- ამბობს და თანმხლებებს უყურებს, ვითომ ეს რა სასაცილო რამე ვთქვიო. გოგოები იცინიან, ბიჭები ნათიას სიტყვებს ვერ ხვდებიან, მაგრამ გოგოებს რომ არ ჩამორჩნენ, ისინიც სიცილს მაყრიან.

არაფერი ვუპასუხე, ზურგი შევაქციე და წავედი. სიტყვებმა ჩემამდე ვერ მოაღწიეს, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი, როგორ უყვებოდა ნათია მეგობრებს, რომ მე უკვე 2 წელია ამ ჯინსით დავდივარ და ისიც სხვამ მაჩუქა.

ჩვენს სამყაროში თანასწორობა ყოვლად წარმოუდგენელია. მე ბავშვი ვარ, მაგრამ ზღაპრებით ჩემი გაბრუება შეუძლებელია. ვიცი, კონკიები მხოლოდ გამოგონილ სამყაროში ცხოვრობენ, რეალობაში არიან ღარიბები და მდიდრები. უფულოდ დარჩენილი ადამიანები, ვერასდროს დაიმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში, რადგან თუ ახალი ტანსაცმელი არ გაცვია, არც მეგობრები გყავს და შეყვარებულზე ხომ საუბარი ზედმეტია.

პური მივიტანე, ბავშვებს თბილ წყალში ჩავულბე, რომ კბილები არ დამტვრეოდათ, ვაჭამე და ტახტზე მივწექი: ტანსაცმლით გიცანი, ისე მესობოდა სიტყვები გულში, თითქოს სამსჭვალი ჩაერჭოთ მკერდში.

საღამოს კიდევ ერთხელ დამემართა კრუნჩხვა და როდესაც სასწრაფოს ექიმებმა დამამშვიდებლები გამიკეთეს და წავიდნენ, კედლისკენ შევბრუნდი და თვალები დავხუჭე, მინდოდა, დედას მძინარე ვგონებოდი და მისი წუწუნი არ მომესმინა სასწრაფოს ექიმებისათვის მიცემული 20 ლარის გამო, რომელიც ერთ კვირას საჭმლის ფულად ვიმყოფინებდით. ალბათ, ძილის სცენა ბუნებრივად განვასახიერე, რადგან დედასაც და მაყვალა ძალოსაც მძინარე ვეგონე, ამიტომ თამამად საუბრობდნენ და მესმოდა ის, რაც ალბათ არ უნდა გამეგო:

- ექიმს ველაპარაკე, - სვენებ-სვენებით, შემპარავი ხმით დაიწყო მაყვალამ, - ავადმყოფიაო. საშველი არაა, დიდხანს ვეღარ გასტანსო.

დედამ თითქოს ამოიგმინა, მერე ცრემლი შეისრუტა და ვიგრძენი მაჯით, როგორ მოიწმინდა ცხვირი.

- ეეჰ, - ამოიოხრა მაყვალამაც.

ერთხანს ასე იყვნენ ჩუმად, კვნესა-ვაებაში, მერე უფრო თამამად და დამაჯერებლად ალაპარაკდა მაყვალა:

- დამიჯერე, მაინც აღარაფერი ეშველება, ტყუილად იწამებ თავს. რამდენი ხანია მე შენ ამას გელაპარაკები, ხომ ნახე ძლივს მოუსწრეს და ბრახ და რაღაც მომხდარიყო, მერე? ხომ რჩებოდი ასე არა?

ახლა ეს ფრაზები თითქოს ჩაქუჩები იყო, ისე

მიბაგუნებდნენ თავზე. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა, რის მორჩენაზე, რა გამოსავალზე, რა გამორჩენაზე იყო საუბარი.

- ჩემზე ამბობენ? ვკვდები? თუ ცუდად ვარ ექიმები რატომ წავიდნენ? დედა რატომ ზის ასე მშვიდად და ისმენს ამ სისულელეებს? იქნებ მძინავს და მესიზმრება? .... არა აშკარად მღვიძავს, უბრალოდ დახუჭული თვალებით ვუყურებ თვალებამოღამებულ სამყაროს, სადაც ჩემი განაჩენი იწერება. ღმერთო, შენ რა, მართლა არ აპირებ დამეხმარო? სად ხარ ღმერთო? იქნებ ისევე დაიკარგე, როგორც ბავშვობაში ჩემი ცხვირგატეხილი თოჯინა სერგო, რომლისთვისაც 5 წლის იუბილეს აღნიშვნას ქვიშის ტორტით ვაპირებდი? ან იქნებ მოკვდი? ღმერთო, ნუთუ მართლა მოკვდი?? - ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთია, ტანჯვა და ტკივილია, ბევრჯერ მინატრია მისი დასრულება, მაგრამ როცა ეს დღე მომიახლოვდა, რაღაც არ მომინდა მისი დათმობა. აქ ცუდად ვარ, მაგრამ იქ რა იქნება? ან იქნება კი რამე? ღმერთი? აღარ მჯერა ღმერთის სამართალის, რომ არსებობდეს, ჩემ დახმარებას ხომ ისურვებდა. რომ ვუყვარდე, ასეთ ტანჯვაში ხომ არ ჩამაგდებდა? ღმერთი მოკვდა, ან ის აგრძელებს ცხოვრებას, ძალიან შორს და აღარც ახსოვს ჩემი არსებობა. არ მინდა მასთან, ისევ ეს სამყარო მირჩევნია.

შიშმა წელზე ხელები მომხვია და ფეხებში სიცივე ვიგრძენი. ახლა თავს ძალიან სუსტად ვგრძნობდი და სიტყვებიც ჰაერში მოფარფატე შემოდგომის ფოთლებივით ჩნდებოდნენ აქა-იქ. აზრი ვერ გამომქონდა, რას საუბრობდნენ, რაზე ლაპარაკობდნენ:

პატარებზეც ხომ უნდა იზრუნო, ცოდონი.... შიმშილი.... ფული.... სასიკვდილე ქმარი.... ახლა ეს სიტყვები დაპნეული გიშრის მძივები იყო და მე მათ აკრეფას და შეკოწიწებას ვეღარ ვახერხებდი.

- 15 000 ცოტაა? უნდა მოვასწროთ სანამ რამე დაემართება.... განა რა, ბარში იქნება, ჩააცვამენ ლამაზ კაბებს, გამოპრანჭავენ, ბავშვმა იქნებ ნახოს რამე....

სადმე მიშვებენ? საბუთები მომეციო მაყვალა ეუბნებოდა, იმ დღესაც კი მოვკარი ყური, სამზარეულოში ჩურჩულებდნენ, ფულს დოლარებში გადმორიცხავენ და ცოტას ამოისუნთქებ, ამ ბავშვებს მშივრებს არ დახოცავო. ნეტა რას ამბობდნენ? სად მივდივარ? რატომ იხდიან ჩემი გამოპრანჭვის სანაცვლოდ დოლარებს?

კითხვები ქარში აწეწილი თმებივით მომებლანდა თვალებში. პასუხები გონების ფსკერზე ჩაყვინთულიყვნენ და მათი ამოყვანა ვერ მოვახერხე. ფიქრი ნელ-ნელა ნაცრისფერ ბინდს იფარებდა თავზე და წონასწორობა მეკარგებოდა. თითქოს ჯერ პატარა ვარდისფერი სამკუთხედები ახტუნავდნენ თვალებთან, მერე ეს სამკუთხედები უფრო მომიახლოვდნენ, გაიბერნენ, გასუქდნენ და მთელი სივრცე დაფარეს.

სხეულს ვეღარ ვგრძნობდი, დავბუჟდი, ვეღარ ვხვდებოდი საწოლზე ვიწექი თუ ჰაერში ვტივტივებდი.

- აქ ვარ,- ყურში ჩამესმა ხავერდივით რბილი ხმა, ასეთი ხმა არასდროს მომისმენია, დავინტერესდი ვინ იყო, მაგრამ თვალების გახელა გამიჭირდა, ქუთუთოები დამმძიმებოდა.

- ვინ ხარ? - მინდოდა მეკითხა, მაგრამ სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე და ხორხიდან რაღაც გაურკვევილი ბგერები ამომივიდა. ამ ბგერებს თითქოს სიმძიმე ამოჰყვა და სხეული სულ უფრო შორი და უწონო მომეჩვენა. სამკუთხედი ვარდისფერი სხეულები გაყვითლდა და სანამ ეს ყვითელი სვეტი ჩემკენ გადმოიხრებოდა, ყურში დედაჩემის განწირული კივილი ჩამესმა.

მე მანჩო ვარ, ბავშვობა წართმეული ბავშვი. 13 წლის ვარ და ალბათ მომიწევს სულ 13 წლის დავრჩე.

ვერიკო გოცირიძე

ერთხელ ბიბლიოთეკაში

დილით რომ გავიღვიძე და ტელეფონს დავხედე ორი შეტყობინება დამხვდა, ერთი, რა თქმა უნდა, Techno BOOM-ისგან იყო და მეორე ეკასგან: გეხვეწები დღეს ბიბლიოთეკაში გამყევი, მარტო წასვლა მეზარება და თანაც კარგი ამინდიაო... დამეზარა, მაგრამ მზის ხათრითა და ეგოიზმის დაძლევის მიზნით, დავთანმხდი.

და სანამ ეკა კატალოგში „ეძიებდა და ჰპოვებდა“ მისთვის საჭირო წიგნებს, მე თავისუფალი ადგილების დასაχავშნად გავემართე, უსურვილოდ მივუχექი მაგიდას და ეკას მოლოდინში ცოტა გავირინდე, თითქოს იქ მარტო ვყოფილიყავი. ბიბლიოთეკის სივრცე, რატომღაც, კითხვაზე ძალიან წერას მანდომებდა. ასე უსაქმურად წასულს თავი რაღაცით

ხომ უნდა შემექცია... „რაღაცით თავის შექცევაზე“ - სულ ერთი ადამიანი მახსენდება, ბატონი სტიმა (ის ყოფილი ჟურნალისტია), რომელმაც ყურძნის შემოთავაზებისას „მიირთვის“ ნაცვლად გვითხრა: „თავი შეიქციეთ ბავშვებოო“ და საუბარი ჩვეული დაბალი ტემბრით განაგრძო. გვიანი შემოდგომა იყო, სუსხიანი საღამო, მახსოვს.

ხოდა იმას ვამბობდი, რომ თავის შექცევის მიზნით გადავწყვიტე პატარა ჩანახატი შემექმნა, აი, მერე რომ დიდ წიგნს დავწერდი (მეტი არაა ჩემი მტერი), იქ შევიტანდი. გადავწყვიტე დამკვირვებელი ვყოფილიყავი და მკითხველების „თვალთვალი“ დავიწყე. სულ მიყვარდა ადამიანების თვალიერება, ისეთი დეტალების შემჩნევა, რომლებსაც მარტო მე ვანიჭებდი მნიშვნელობას და მერე ამ დეტალებით მათზე ისტორიებს ვქმნიდი.

აი, მაგალითად, ის დაცვა, ფეხზე რომ წამოდგა, ალბათ წყლის დასალევად, დავუშვათ მას კახა ჰქვია. კახას ერთი თვის წინ ხვდება თავის მეზობელი თალიკო, რომელსაც მძიმე პარკები უჭირავს ხელში და აღმართზე ასვლა უჭირს. როგორც ჩანს, პენსია ახალი აღებული აქვს. მერე თალიკო დეიდა, რომელიც კახას ჟუჟუნა თვალებს სათანადოდ აფასებს, ასევე პოტენციურ სასიძოდაც თვლის და ცდილობს გადაამოწმოს ჭორი, რომელიც ლამარასგან გაიგო, რომ თურმე მედიკოს ბიჭს სამსახური დაუწყია და კახას ვითომ სასხვათაშორისოდ ეკითხება, შემთხვევით სამუშაო ხომ არ იშოვა... კახა კი ღიმილით პასუხობს, რომ ბიბლიოთეკაში... და თალიკო დეიდასაც მეტი რა უნდა... ანუ კახა ყველაფერთან ერთად განათლებული

ყმაწვილიც ყოფილა. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ კახას ბიბლიოთეკაში არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს და მისი სამუშაო გრაფიკი დილიდან საღამომდე ჯდომა, ხანდახან დგომა და ბიბლიოთეკაში მოსიარულე გოგოების ათვალიერება-ჩათვალიერებაა. ისე, მთლად წიგნის კითხვასაც არ უნდა დავაბრალოთ განათლებულობა, მაგრამ საყოველთაოდ ხომ ნაკითხ კაცზე ამბობენ ხოლმე - განათლებულიაო... და მაინც, არამგონია ბიბლიოთეკის დირექტორი დაცვის თანამშრომლებს წიგნების კითხვას უკრძალავდეს და კითხვაში გატარებულ საათებს სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობად უთვლიდეს... მაგრამ რა იცი, იქნებ და ამის გამო მკაცრ საყვედურებსაც ეუბნება, იქნებ და სამართლიანადაც... ისე, დაცვის არ ვიცი, მაგრამ სამხატვრო აკადემიაში რომ ჩავაბარე, მგონი ხატვას მას შემდეგ შევეშვი...

ახლა რომ კარში გოგო შემოვიდა, ჩემი მეზობელია სოფელში, ნეტა არ დამინახოს, ან ვერ მიცნოს. მაგის თავი არ მაქვს. ამის გაფიქრებას ვერ ვასწრებ - ჩემკენ მოემართება, გაღიმებული და გაბრწყინებული თვალებით. მხურვალედ მიკრავს გულში, ისე, როგორც უცხო ადგილას, უცხო ქვეყანაში ვინმე „შენიანის“ დანახვისას იქცევი კაცი; ის ადამიანი უფრო ახლობელი რომ ხდება თითქოს და მეტი სიხარულით ხვდები. ახლაც ასეა... დიალოგი იწყება ჩვეულებრივი ფრაზით - „ რას შვები?! როგორ ხარ?!“ – „რავი, კარგად, შენ?!“ და მერე ის იწყებს: „გოგო, საერთოდ არ შეცვლილხარ, მგონი ვინც ქალაქში ჩამოვიდა ყველა „გაქალაქელდა“, (ამაში იგულისხმება სტილის მკვეთრი ცვლილება ჩაცმულობის, თმის ფერისა თუ ა.შ.), შენ კიდე ისევ

ისეთი გამხდარი ხარ, რა იყო, ქალაქში არაფერს გაჭმევენ?!“ და ამ დროს იცინის... (ხო, ქალაქში არავინ არაფერს არ გაჭმევს და ზოგადად, შენ უნდა ჭამო). ამას მოჰყვება ისეთი ეგზისტენციალური მნიშვნელობის შეკითხვა, როგორიცაა: „რატომ არ თხოვდები?!“ ამ შეკითხვას სრულიად მთელი სოფელი განიცდის. პასუხი კი აუცილებლად იუმორ-ირონია ნარევი უნდა იყოს, სხვაგვარად არ გამოვა, ვნებათაღელვას ეს თუ გააქარწყლებს; ამიტომ რაღაც სისულელეს ვეუბნები, ისიც კმაყოფილია და მეც. ვემშვიდობები.

ჩემ მარცხნივ ზურგით გოგონა ზის; აი, ისეთი თმა აქვს, ბიჭებს რომ უყვართ - გრძელი და დაუდევრად გაშლილი. მისი ვიწრო წელი და გამხდარი მხრები მანდომებს ფოტოები გადავუღო, ოღონდ შავ-თეთრი კადრები, კონტრასტული განათებით. მის სახეს ვერ ვხედავ, არც ვიგონებ. ამ გოგოს გვერდით რომ ბიჭი ზის, ჟაკეტი ორჯერ რომ ჩამოუცურდა სკამიდან, საიდანღაც მეცნობა, ვერაფრით ვიხსენებ, მაგრამ შეგრძნებით მახსოვს, რომ მის მიმართ მთლად დადებითად განწყობილი არ უნდა ვიყო, რატომ - არ ვიცი. მარჯვნივ შუა ხნის კაცი ზის, უკვე სიბერეშეპარული, ძველ გაზეთებს კითხულობს, სათვალეს დროდადრო საგულდაგულოდ წმენდს - ცხვირსახოცით... ასე მგონია აკადემიკოსი უნდა იყოს... სულ მიკვირდა, რატომ ეცვათ აკადემიკოსებს ყოველთვის და ყველგან კოსტიუმი და თეთრი პერანგი, კიდევ რატომ ეკეთათ ჰალსტუხი და რატომ ჰქონდათ კუშტი გამომეტყველება, თითქოს ვიღაცამ საგანგებოდ დააწესა - აი, ასეთი უნდა იყოს ნამდვილი აკადემიკოსიო და ისინიც ზედმიწევნით ასრულებდნენ

ამ წესს... არის ამაში რაღაც დამთრგუნველი და საბჭოური.

ამ ფიქრებში ვარ, ახალი მკითხველი შემოდის, ორ წუთში ერთხელ ტელეფონზე იყურება და ტექსტის დაწერისას საეჭვოდ თბილად იღიმის... არა, ნამდვილად შეყვარებულია...მართალია წიგნს არც ისე ყურადღებით კითხულობს, მაგრამ ეს არ მაღიზიანებს. ჩემ წინ, მეოთხე რიგში რომ ერთი ცარიელი სკამი დგას, დროებითი მეპატრონე გამოვუგონე; წარმოვიდგინე - აი, თვით საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი - გიორგი კეკელიძე რომ ახლა დარბაზში ჩვეულებრივი მკითხველივთ იჯდეს და მომავალი წიგნისთვის რაიმეს წერდეს, რომ გადაწყვიტოს ბიბლიოთეკაში ჩემსავით დააკვირდეს მკითხველებს და მერე აქედან მოპოვებული მასალა გამოიყენოს, ნეტა ჩემზე რას დაწერადა-მეთქი; „გოგონა თავისთავად ყურადღებას არაფრით იქცევდა, მკითხველთა მოშაო-მონაცისფრო სამოსის დომინირების ფონზე მისი წითელი მაისური მთელი სიძლიერით ბრდღვიალებდა... იყო ამაში რაღაც სიმბოლური და დრამატულიც კი, რადგან.... და ბლა ბლა ბლა... (დელაკრუას „თავისუფლება ბარიკადებზე“ გამახსენდა ეს რომ დავწერე), ნეტა კეკელიძეს თუ გაახსენდებოდა?! ისე რამ ჩამაცვა დღეს ეს წითელი მაისური-მეთქი - გავიფიქრე, თითქოს კეკელიძე მართლა მჯდარიყოს დარბაზში... სამაგიეროდ მარჯვენა კუთხეში ერთი საინტერესო ბიჭი ზის და სქელტანიან წიგნს მთელი რუდუნებით კითხულობს. პოლიტოლოგს, ეკონომისტს, სოციოლოგს და ჟურნალისტს არ ჰგავს - და მე მისი გამოგონება დავიწყე, მიუხედავად იმისა, რომ ის ნამდვილად

არსებობს. ვცდილობ მისი თითოეული ნაკვთი და მიმიკა ღრმად დავიმახსოვრო, ხოდა ტრენინგგავლილი დამკვირვებელივით ვაკვირდები. აი ასეთი ბიჭია სიმპათიური, ვამბობ ჩემთვის... (თეკლა მაინც არ დამეთანხმება).

და უცბად გავიფიქრე, აი ეს ბიჭი მე არასდროს არ გამიცნობს. ამ ფიქრებში ვარ ეკა რომ მოდის, თავს წიგნებში რგავს და გამინაპირდება. მათემატიკა ჩემთვის ნებისმიერ პლანეტაზე უფრო შორეული პლანეტაა, ეკასთვის - ყველაზე ახლო.

მე კვლავ გავნაგრძობ ჩემს ფიქრებს იმ ბიჭზე, არასდროს რომ არ უნდა გამიცნოს და მითუმეტეს მოვეწონო, მაშინ, როცა ეკას სახით საშიში კონკურენტი მყავს. ანუ, როგორღა შემამჩნევს მე, როცა ეკას ლამაზი პროფილი აქვს და მთელი ოცი სანტიმეტრით მაღალია ჩემზე... მაგრამ იმედად ისღა მრჩება, რომ ის ბიჭი ჩვენკენ საერთოდ არ იყურება.

მოკლედ ამ ბიჭს თვითმონიჭებული უფლებით ვეტოს ვადებ და ჩემს მოლივლივე აზრებს ბიბლიოთეკის მოხატულ ჭერში ვუშვებ. ეკას ფანქარს და ფურცელს ვართმევ, თავის დავიწყებას ვეძლევი, ანუ ხატვას ვიწყებ.

ამასობაში გადის რამდენიმე უტყვი საათი და ჩვენი ბიბლიოთეკიდან გასვლის დროც ახლოვდება. მე და ეკამ კაფეში გადავინაცვლეთ და ჩემი წამოწყებული „ამაოების ბაზარი“ იქ გავნაგრძე. ის კლასიკურად შავ ჩაის უკვეთავს - მე „გურიელის“ ჟასმინის არომატით; მიმტანი გოგონა სასიამოვნოდ გვიღიმის და ეს ჩვენს განწყობაზე მოქმედებს. „გურიელზე“ ისევ კეკელიძე

მახსენდება, (რას გადავეკიდე კაცო დღეს ამ კეკელიძეს, რა მინდა! ვფიქრობ ჩემთვის...). ეკა, (მივუბრუნდი), როგორ გგონია, უყვარს ნეტა კეკელიძეს ჟასმინის ჩაი?! - ეკამ რავიცი გოგო, მაგრამ რეებზე ფიქრობ შენო?!... (კიდევ კარგი ის ფიქრები არ იცის სიტყვა ჟასმინზე რომ იისფერი მახსენდება ასოციაციურად და რიცხვი შვიდიანიც იისფერი მგონია, და საერთოდაც, რიცხვებს და სახელებს ფერებში რომ ვხედავ, თორემ სულ გადაირევა...) არადა, ის ბიჭი როგორ მომეწონა-მეთქი რაღაცნაირად. რომელიო - გაკვირვებული მეკითხება; გოგო, მარჯვენა კუთხეში გამხდარი ტიპი რომ იჯდა თავისთვის და ჭკვიანი თვალები რომ ჰქონდა-მეთქი... არც შემიმჩნევიაო... (ხანდახან მგონია მათემატიკოსები მარტო ციფრებს ხედავენ).

ვაიმე, მგონი მეჩვენება და ის ბიჭი კაფეში შემოდის; კიდევ მეჩვენება, რომ თითქოს ჩვენი მაგიდისკენ მოემართება და ცოტა ვფორიაქობ, მაგრამ ეკასთვის ბწკენას მაინც ვასწრებ, ვანიშნებ - ეს „ისააა“-მეთქი; შეიძლება ჩაიზე შემოგიერთდეთო?! მე და ეკა ჯერ ერთმანეთს ვუცხადებთ თვალებით თანხმობას და მერე მას. აჰა, ხომ ვამბობდი, ეკა მოეწონა, აბა,ჩემ გამო ხომ არ მოვიდოდა-მეთქი აქ... მე ხომ ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა მას მე... მოკლედ...

ვატყობ როგორ ვიხიბლები თანდათან მისით... მომწონს მისი საუბრის ტონი, ინტონაცია, ჟესტები, შინაგანი თავისუფლება, ბუნებრივს რომ ხდის ადამიანს ის... თან ეკას წინაშე თავს დამანაშავედ ვგრძნობ, მაქვს შეგრძნება, რომ ეკას ვღალატობ, რადგან მე ხომ ჩავთვალე, რომ მას ეკა მოსწონს და იქნებ, ეკასაც მოსწონს ამასობაში...

ირკვევა, რომ მსახიობია. ეკას მათემატიკოსობა და მისი მსახიობობა კიდევ ერთი დასტურია იმ აზრისა, რომ განსხავებული პროფესიების და მისწრაფებების ადამიანები ერთმანეთს კარგად უგებენ და ავსებენ... და მე ვასკვნი, რომ მათ ერთმანეთი იპოვეს. მოკლედ, სპექტაკლის პრემიერაზე დაგვპატიჟა და წავიდა.

მე და ეკა პირველკლასელებივით ავვარდით, არა შენ მოეწონე - არა შენო... და ბოლოს იმ აზრზე შევთანხმდით, რომ არცერთიც არ მოვეწონეთ; ჩავთვალეთ, რომ ის უბრალოდ ასეთი ტიპი იყო, ფილმებში რომ არიან - თავისუფლები, უბრალოები და თვითმყოფადები.

უნებლიედ ვოცნებობდი.... ვოცნებობდი, რომ ერთხელაც დამდაგრიყო დღე, როდესაც მასთან ერთად ბაზარში წავიდოდი... მიმაჩნდა, რომ ბაზარში ადამიანებს ძალიან ახლობელი ადამიანების გაყოლა სურთ ხოლმე. ეს ჩემი საკუთარი ოცნება იყო... ზოგს სხვისი ოცნებები აქვს...

უკვე საღამოს facebook-ზე მისგან მეგობრობის შემოთავზებას ვიღებ, ემოციურად ვერაფრით გამოვხატავ, თორემ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ახალი პლანეტა აღმოვაჩინე და ყველასთვის მინდა ამის (თავად ჩემი ემოციური მდგომარეობის გადადება) შეტყობინება. და გავიფიქრე, თუ ეს „ის“ არის თერთმეტი საათის შემდეგ აუცილებლად მომწერს და თუ არ არის - არ მომწერს... მხოლოდ ამ მოგონილ ბედისწერას, ამ ჩემს გამოგონილ ბედისწერას ვანდობ მასთან ურთიერთობას და მთელი რუდუნებით ველოდები თერთმეტ საათს, რომელიც უსაშველოდ

არა და არ დგება... მერე დილის თერთმეტ საათს ველოდები, მერე საღამოს... და მესამე დღეს უკვე საბოლოოდ მიდგას ფეხი დედამიწაზე...

თემურ ზოიძე

ახალი ბინადრები

იმ წელს მლაშე ზღვის, ბინძური თოლიებისა
და მოხარშული სიმინდის მხრიდან გამოვყევი
აღმოსავლეთის ქარს და ჩამოვედი ამ დახრუკულ
ქალაქში სასწავლებლად. რეზო არ სწავლობდა და
ამ ქალაქშივე ჰყავდა ოჯახი, მაგრამ სამუშაო მალევე
იპოვა წიგნების სატელეფონო გაყიდვების კომპანიაში,
სახლიდან წამოვიდა და ერთად ცხოვრებაც დავიწყეთ.

მანამდე იყო დედამისის ბნედები, მამამისის გინებები
და უფროსი ძმის დარიგებები, რომ ამით ოჯახს აქცევდა
ზურგს და უკან მობრუნება გაუჭირდებოდა. თუმცა,
ეს ყველაფერი უფრო მარტივად გადავიტანეთ, ვიდრე
ბინის პოვნის ამბავი, რადგან მისები, ყველაფრის

მიუხედავად, რეზოს თვის ბოლოს ას ლარს მაინც აძლევდნენ დამადლებული მზერითა და გაყინული ხელით, აი, ბინების ფასები კი ვერა და ვერ შევუსაბამეთ ჩვენი - ჩამოსული სტუდენტისა და სახლიდან წამოსული უძღები შვილის შესაძლებლობებს: ხან ისეთი ყოველთვიური გადასახადი იყო, სხეულით უნდა გვევაჭრა, რომ შევწვდომოდით იმ თანხებს, ხანაც ვიპოვიდით შეღავათიან ფასად ბინას და ხაზეიკას არ მოვეწონებოდით. ბოლოს ერთ იტალიურ ეზოში არც ისე კოხტა და არც ისე მყუდრო ბინა ვიპოვეთ, თუმცა მეტისმეტად დაღლილები ვიყავით მშრალ ხიდზე გადაწყდომილ მლიქვნელ მაკლერებთან ერთად აქეთ-იქით ბოდიალითა და ათასი ქუჩის ათას ჯიხურში გასაქირავებელი ბინების უიმედო მოკითხვით, ამიტომ მისაღებ ფასს დავთანხმდით და ბინა ვიქირავეთ.

სარეცხს როგორმე ხელითაც გავრეცხავდით.

ჩვენს იტალიურ ეზოში შემოსასვლელად გადაბმული სამსართულიანი სახლების თაღში ჩასმული მრავალჯერ ნაჯაჯგუნები, მიფსმულ-მიჟანგული და გახრწნილი ჭიშკარი უნდა გაგევლო, რომლის შიგნითაც კედელზე მიჭედებულ ფსკერგამსკდარი სკამისგან გაკეთებულ კალათს დაინახავდით, მის ქვემოთ კი დიდ შავასოებიან წარწერას - ოქროს უბანი.

წარწერას ეტყობოდა, რომ მრავალჯერ დაწერილი, დროდადრო გამქრალი და ისევ ხელახლა მიხატული იყო. წარწერის გვერდით კედელი ოდნავ მოშლილი და ბებერი ხის ფუღუროსავით გამოჩორკნილი იყო, სადაც უბნის ბიჭები სანთლებივით ტოვებდნენ ხან ცარიელი ლუდის ბოთლებს, ხანაც სიგარეტის

გასრესილ ნამწვავებს, სანამ მეორე დილით არ იპოვიდა და არ ამოასუფთავებდა ფუღუროს უბნის მხვეტავი, რომელსაც სამეზობლო დამატებით ოცდაათ ლარს უხდიდა, რომ ქუჩასთან ერთად მათი ეზოც ხმაურიანად დაეხვეტა უსაპნოდ დაბანილ თმასავით უხეშღეროებიან ცოცხით.

ოქროს უბნის შესაწირავი.

მე და რეზო არ ვიხდიდით მხვეტავისთვის განკუთვნილ ჩვენს წილ თვიურ ერთ ლარს, რადგან არც იმ ფუღუროში ვყრიდით ლუდის ბოთლებს და არც ეზოში სიგარეტის ნამწვავებს. მაქედანვე აღარ მოვწონდით იმ ეზოში ახალი ბინადრები.

ახალი ბინადრები ისე შევუერთდით იმ ეზოს სასიცოცხლო აბლაბუდას, რომ არც მეზობელი შეგვიწუხებია ერთ კბილ ნიორზე და არც ჩვენს კარებთან შემოსკუპებული კატებისთვის დაგვიცაცხანებია უგულოდ. დუმილით შევხდით იმ ეზოში გადაბარგებას და ისივე გავაგრძელეთ ცხოვრება - ვერც ჩვენს სახლიდან გასვლას და ვერც შემოსვლას იგებდა ვერავინ, მიუხედავად იმისა, რომ სამივე მხრიდან სამ-ოთხ სართულიანი სადაზვერვო კოშკები წამომართულიყო უთვალავი ფანჯრითა და მათზე ჩამოფარებული ფიქტიური ფარდებით.

იმ ღამით მე და რეზოს პირველად გვქონდა სექსი. მანამდე დღეების განმავლობაში ჯარისკაცის მოთმინებითა და ჯარისკაცისვე დაღლილი თვალებით იტანდა ჩემს მოსამზადებელ პერიოდს. ბოლოს გავბედე. მეტად ტლანქი, მოუხეშავი და უსუსური კი ვიყავი, მაგრამ რეზოს მაინც მივეცი

გასაქანი. ყველაფერი მტაცებლის დახვეწილი მოპარვით დაიწყო, რომლის ვნებამ გათოშილი ფეხები გამითბო, მერე ხელებიც შემიტოკა და სუნთქვაც გამიხშირა, მაგრამ სანამ მორიდებული გაოცებიდან თავაშვებულ ნეტარებაში გადავიდოდით, ჩვენს სმენას ყვირილის ხმები მოსწვდა.

ჯერ დავიბენით, თითქოს, ღრმა ძილში გადაშვებულები შეგვანჯღრიესო და ძილის შემობრუნება დავაპირეთ, მაგრამ ხმები რომ გაძლიერდა, ქოშინით გადავიცვით მაისურები და ეზოში გადაყუდებული დიდი თეთრსაღებავაქერცლილი ფანჯარა შევაღეთ გასახედად. მოპირდაპირე სახლის აივნის შეღებული კარიდან, რომელზეც ღვთისმშობლის ხატი იყო მიკრული, მტვრევის, ბრახუნისა და მსხვრევის ხმებში აზელილიყო არაადამიანური ღრიალი, რომლის სალანძღავ სიტყვებსაც ანბანი არ ჰქონდა. ამ ღრიალის წამიერ შესვენებებში კი კვნესის, წამოკივლებისა და ტირილის ხმები დაზიანებული სიხშირის სიგნალებივით ისმოდა.

ჩემს თვალებში გაოგნება რომ ჩალღვა, მაშინ მოვათვალიერე არემარე და თურმე, ამასობაში მთელი ეზო გამოფენილიყო მწკრივებად გაფენილი სარეცხივით: ჩუსტებში ფეხგაყრილი კაცები ეზოდან აჰყურებდნენ იმ აივანს, ხალათმოცმული ქალები კი ფანჯრებიდან იმზირებოდნენ თავების კანტურით. ყველა ერთანაირად გალურსმულიყო, ადგილიდან არ იძვროდნენ და მხოლოდ ერთმანეთს თუ გადაუჩურჩლებდნენ რამეს. სწორედ ამ დროს მოგვესმა ყველას ქალის მუდარანარევი ხმა, გეხვეწები, ორსულად ვარ და გაჩერდიო.

იმ წამს რეზოს შევხედე და თან გამშრალი ყელიდან ხმამაღლა ამოვიხრიალე, პოლიციაში უნდა დავრეკოთ-მეთქი. არ ვიცი, რა კოდური სიტყვები, რელიგიური ლოცვანი თუ გიჟის გაუცნობიერებელი სიტყვები წარმოვთქვი, მაგრამ ეზოს ქალებმა თავების კანტური შეწყვიტეს, კაცება ირგვლივ ფურთხება და ლოგინიდან წამომხტარმა ბავშვებმა მოუსვენარი კითხვების დასმა. ყველამ ჩვენ ამოგვხედა და ერთდროულად დადუმდა. მხოლოდ ისევ ის გინება ისმოდა, რომელსაც დასასრული არ უჩანდა. არავის არაფერი უთქვამს, არც შეუცხადებია, არც დამთანხმებია, არც წინააღმდეგობა გაუწევია, უბრალოდ დუმილი ჩვენ ყველას ძაძებივით ჩამოგვეფარა. მაშინ მივხვდი, რომ ყველას ფიქრის ჭია გადმოვაფურთხე იმ სიტყვებთან ერთად, უბრალოდ მეტისმეტად ხმამაღლა და აშკარად მომივიდა. ეს მათი სიმშვიდისმომგვრელი, მაგრამ თან შეურაცხმყოფელი სიტყვები იყო:

მათი სისუსტის ამღიარებელი.

ეზოს ერთიანობის დამრღვევი.

ახალი ბინადრების უხეში ჩარევის დასტური.

ეს ყველაფერი ჩუმად, უთქმელად უნდა გამეკეთებინა, რათა მათი ორმაგი სინდისი არ შემეწუხებინა.

რეზომ ფანჯარა მიხურა და ოთახში შევბრუნდით. პოლიციაში არავის დაურეკავს.

ის ღამე ერთმანეთის გვერდიგვერდ ერთმანეთის მოტყუებით გავათენეთ.

დილა ისეთი მზიანი გათენდა, ეზოდან სახლის კარამდე ამოშენებულ სამსაფეხურიან კიბეზე

ჩამოვსხედით სიგარეტის მოსაწევად. ეზო კი მზის სინათლეში ვეღარ ვიცანით.

კაცს, რომლის შეძახილები გუშინდელი გინების ხმას მეტისმეტად წააგავდა, ეზოში თიხით გამოძერწილ საერთო ონკანისთვის შლანგი მიეერთებინა და კლასობანას მოთამაშე პატარა გოგო-ბიჭებს ასველებდა. კაცი ბავშვებს ომახიანად აქეზებდა და თან გაჰყვიროდა, მეზობლებო, გამომშრალ ეზოს ვალობ დასანამი ტორტებივით, რომ არავის შეგაწუხოთ აგვისტოს ბოლო ხვატმაო. ბავშვები კი მორიდებულად კისკისებდნენ, რადგან ეშინოდათ მათი დედების, რომლებიც ფანჯრებიდან გადმოდგებოდნენ და ყვირილით უბრძანებდნენ სახლში ასვლას.

დედები კი არც შვილების გაწეპილ თმებზე დარდობდნენ და არც გაფენილ სარეცხზე მიშხეფებულ წვეთებზე, პირიქით - ყველა ფანჯრიდან გადმოყუდებულიყო და აქეთ-იქით გადაძახილებთან ერთად თამამად ხითხითებდნენ. იქით სომეხი ცოლ-ქმარი სთხოვდა კაცს მათი ჟიგულის გარეცხვაც ეთავა ბარემ, აქეთ ასწლოვანი ბებია დასჩლიფინებდა, ჩემს რევმატულ ფეხებს კიდევ ეს ნესტი უნდოდადო და ყველას ეცინებოდა ამაზე. კატებიც კი კუდაწეული უძვრებოდნენ ბავშვებს ფეხებში და ურცხვად ეთამაშებოდნენ. მთელი ეზო ბედნიერი იყო. მთელი იტალიური ეზო.

მერე უცებ ის კაცი შლანგით ხელში, გუშინდელი გინების მიმქრალი ექოთი, იმ ორსული ქალის დაუთოვებული ნაცრისფერი პერანგით, იმ ბედნიერი ეზოთი და იმ ბედნიერ ეზოს გამოკლებული

წუხანდელი ორსული ქალით ჩვენ მოგვიბრუნდა და გვკითხვა, ბიჭებო, თქვენ არ გინდათ გაგრილებაო.

არა, ბიჭებს არ უნდოდათ გაგრილება, რადგან ქვის ცივ კიბეზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ეწყოთ მხურვალე ხელისგულები და მოფერება ვერ გაებედათ.

თეონა კილაძე

ლოლო და კინკანი გაზაფხულის მთიდან

დილით მის ეზოში დარგულ კინკანს შეეკითხა, წასულიყო თუ არა მთაზე რომელიც მის წინ იდგა და მთელი ამ დროის განმავლობაში შეჰყურებდა სურვილით რომ მიეღო უარი.

ალბათ კინკანიც ამას ფიქრობდა, რომ საპირისპიროდ ეპასუხა.

შესაძლოა მისი მეზობლები, რომლებიც ასევე ტყის პირას ცხოვრობდნენ იქ ნამყოფებიც იყვნენ,

თუმცა არასდროს უკითხავს დანის მათთვის.

შუადღეს მიტანებული იყო,

კინკანმაც თავი მოაბეზრა, რამდენჯერაც წყალი დაუსხა იმდენჯერ შეახსენა, რომ

შიში არ არსებობდა და ეს მათ გამოგონილ ამბავს ჰგავდა.

მთებზე თოვლი იდო და ცოტა საშიშადაც გამოიყურებოდა, მაგრამ მან მაინც გადაწყვიტა წასვლა.

დანი იმ დღეს სახლიდან გამოვიდა და მაღაზიაში საჭირო ნივთები იყიდა.

უკან მიბრუნებულს კინკანი დახვდა გამზადებული,

სულაც არ აპირებდა მის წაყვანას, მაგრამ მერე რომ დაფიქრდა მარტო

არც ისეთი სასიამოვნო იქნებოდა მგზავრობა.

თან სურდა მისთვის დაემტკიცებინა რომ არაფრის ეშინოდა.

ქოთანში გადარგო.

ისინი სახლიდან გამოივიდნენ და თოვლით შეფენილ მთას აუყვნენ.

მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო და ორივეს ათბობდა.

გზა და გზა ბიჭმა მცენარეები შენიშნა, სურათებს უღებდა გაოცებული და გადაწყვიტა თვითონაც დაერგო.

ამასობაში მთის ბოლოშიც გავიდნენ.

სახლის კარებს მიადგნენ, სადაც ყინულის ლოლომ გააღო კარები

და მოჯახუნებას აპირებდა. დანიმ შეაჩერა და უთხრა რომ

ყინულზე სრიალისთვის არ იყვნენ მოსულები,

უბრალოდ მათ შიში დაძლიეს.

შიში?

გაიცინა ლოლომ და

სახლში შეიყვანა ისე რომ აღარც კი დაფიქრებულა,

რადგან უკვე გაართო ამ ყველაფერმა.

დანიმ ჩანთიდან მურაბა ამოღო,

ლოლომ ხელი ჩააწო და რომ გასინჯა

ტაში შემოჰკრა:

ეს ხომ ძალიან გემრიელია!

ნუთუ ეს შენი ნაყოფია? კინკანს მიუხლოვდა და მოფერება დაუწყო,

ხელში აიტაცა და ტრიალს მოჰყვა.

ოთახის კარები გამოაღო და დიდი ყინულის მოედანი გამოჩნდა.

ლოლომ ციგურები ჩაიცვა და ცეკვა დაიწყო ხელში კინკანთან ერთად,

ძალიან ლამაზად სრიალებდა.

თუმცა არ იცოდა დანიმ ეს ყველაფერი,

არც არასდროს უცდია, მაგრამ

თვითონაც იგივე გაიმეორა.

მათი ციგურები სხვადასხვაფრად ელავდნენ და გარშემო ფერადი წიწვოვანი ხის ყვავილები გაიშალნენ.

ისე საოცარი იყო ეს ცეკვა.

დანის გაახსენდა რომ ბინდდებოდა და სახლში უნდა დაბრუნებულიყო.

ლოლომ სთხოვა კინკანი მისთვის დაეტოვებინა.

ერთმანეთს არ შეპირებიან რომ ნახავდნენ.

ის კი გაიგო რომ ლოლო ქალაქის მაღაზიას ხშირად სტუმრობდა,

და აქ მარტო ცხოვრობდა.

მისი მეზობლებიდან ბევრი იყო მასთან ნამყოფი, მაგრამ მხოლოდ იმისთვის რომ

ციგურებზე დგომა ესწავლათ.

შენ ვინმემ გასწავლა? ჰკითხა ლოლომ

არა! უბრალოდ მუსიკას ავყევი.

ლოლომ მნიშვნელოვნად გაიღიმა.

დანი გამობრუნდა და მიხვდა რომ მის ცხოვრებაში მოხდა რაღაცა ახალი.

ეხლა შეეძლო ჰქონოდა ყინულის მოედანი, სრიალი შეეძლო და კიდევ რაღაც,

რამაც ძალიან დააფიქრა.

ყოველ საღამოს როცა დადგებოდა ყინულზე და იწყებდა სრიალს, მეზობლის ფანჯრებიდან ყველა მას შესცქეროდა, რადგან საოცრად გამოსდიოდა.

ლოლოც იგივეს აკეთებდა. ისიც ცეკვას იწყებდა.

ამ დროს ისინი ფიქრობდნენ ერთმანეთზე.

ხანდახან წერილებსაც უგზავნიდნენ, სადაც მცენარეებზე საუბრობდნენ და სხვადასხვა მურაბის რეცეპტებზე. ხშირად სხვა ამბებსაც უამბობდა ბიჭი და მაშინ ხვდებოდნენ რომ ეს იყო მათი საოცარი და ზღაპრული მეგობრობის დასაწყისი. და სწორედ ის რამაც ასე ძალიან დააფიქრა დანი.





ბექა ლოხიშვილი

და მოვიდა ეშაკი…

წესით ყველაფერი იდეალურად უნდა იყოს, თუმცა არსებობს რაღაც, რაც ფეხსაცმელში ჩავარდნილი ეკალივით მაწუხებს.

ეკალი საერთოდ არ ჰგავს რაიმე მატერიალურ პრობლემას, ის უფრო ჩემს შინაგან სამყაროშია გაჭედილი და სიმართლე რომ ვთქვა, საერთოდ ვერ ვხვდები რეებს ვლაპარაკობ.

ასეთი არასდროს ვყოფილვარ...

საწოლიდან ვდგები და საათს ვნახულობ, რომლის პატარა ისარიც ციფრ ათს უსწორდება, დიდი კი თორმეტისა და თერთმეტის ცენტრს. არ ვიცი ასეთი დამთხვევების უნდა მჯეროდეს თუ არა, ან საერთოდაც, იქნებ ყველაფერი დამთხვევაა?! იქნებ ყველაფერს,

მთლიან სამყაროს, დამთხვევები მართავს?!

ტრადიციისამებრ, ფანჯრიდან ვიყურები. - ჩემთვის ეს დღის საუკეთესო პროცესია. ვუყურებ მზის სხივებით შექმნილ ნისლში ჩაფლულ შენობებს თუ ჰორიზონტზე მიყრილ-მიმოფანტულ მთა-ბორცვებს. ვერ გადამიწყვეტია ამ გარემოს რომელი მუსიკა უფრო მოუხდებოდა, ვითომ, “SNOW ANGEL” ?!

ჩვეულებრივ, მუსიკა მშვენიერების გამხსნელია, ამის ყველაზე ცუდი გაგებით.

ნიცშე რომ ვიყო კიდევ მილიონჯერ გავიმეორებდი, რომ უმუსიკოდ ეს ცხოვრება ერთი დიდი შეცდომა იქნებოდა.

მუსიკა ყოველთვის არსებობდა, მაშინაც კი, როცა ამას არავინ ქმნიდა. ეს არათუ ადამიანებმა, არამედ ბუნებამ შექმნა.

მუსიკა ყოველთვის ისმის, არის ეს ჰარმონიული ჰანგები თუ ქუჩის ქაოსური ხმაური.

მთავარია ყური უგდო იმას, რასაც ბუნება გთავაზობს.

ხოდა ყრუ რომ ვყოფილიყავი, არსებობას ვერ შევძლებდი.

ფანჯრიდან ყურებას გავაგრძობ... ქუჩის ხმაური და დღის კლიმატი ჩემს გამოფხიზლებას უწყობს ხელს. ამასთან, კიდევ ერთხელ ვცდილობ მოვიდე აზრზე, თუ სად ვცხოვრობ, ვინ ვარ და ვინ არიან ისინი, რომლებიც ხმელეთზე ასე უდარდელად დადიან.

პლანეტა დედამიწაზე, ასეა თუ ისე, ფიქრი არ უყვართ.

მე ვფიქრობ... სულ ვფიქრობ, ოღონდ უაზროდ, ჩემს

ფიქრებს აზრი არ აქვს, იმიტომ, რომ ვიცი, ბოლოს მაინც ვერაფერს მოვიფიქრებ.

თუ ვინმე მკითხავს, ბედნიერი ვარ თუ არა, მე მას ვუპასუხებ, რომ ბევრს ვფიქრობ.

კანისა და მთლიანი ნერვული სისტემისთვის არასასიამოვნო სიო ბოლომდე მაფხიზლებს და მხოლოდ ამის შემდეგ ვშორდები ფანჯარას. ამჯერად კი, ჰიგიენურ მოწესრიგებამდე, საკუთარ თავს ვუმზადებ ტკბილ ჩაის. ჩაის გარეშეც შედარებით რთული იქნებოდა ცხოვრება, ამის პირდაპირი გაგებით.

...და ჩვეულებრივ გავდივარ დილის მოსაწყენ პროცედურებს.

მობის მუსიკის თანხლებით, დილის მოსაწყენი პრცედურებიც კი არაა მოსაწყენი.

იმას ვიცვამ, რაც მეცვა გუშინ და სახლიდან გასვლამდე, მთელი ყურადღებით ვათვალიერებ საკუთარ სახლს. ყველაფერი მშვენიერია... ყველაფერს ვხედავ, კედელზე გაკრულ შპალერის ყველაზე შეუმჩნეველ ნაგლეჯსაც კი, რომლის წვერზე, მტვერი ქმნის მეორე წვერს და ვიღაცისთვის ის შეიძლება ევერესტზე მაღალი მწვერვალი იყოს.

ჩემი აზრით უსასრულობა ნებისმიერი მიმართულებით ვრცელდება, ამრიგად, სრულიად შესაძლებელია ჩემ ხელისგულზე მილიარდობით გიგანტი გალაქტიკა არსებობდეს, უფრო დიდ რაღაცეებზე საერთოდ არაფერი რომ არ ვთქვა. ანუ შეიძლება სამყაროს მთავარი საიდუმლოება ამოგვეხსნა მაშინ, როცა ზომებს მივანიჭებდით უპირატესობას.

მაგრამ არც ამაზე ფიქრს აქვს რაიმე აზრი...

გავდივარ სადარბაზოს გრძელ და გოთიკურ კორიდორს, რაც ღამ-ღამობით ძალიან საშიშად გამოიყურება, იმდენად საშიშად, რომ ეს ყოველთვის განაპირობებს ჩემი ფეხებისა და პულსის აჩქარებას. მაგრამ დღეს არა...

შევდივარ ლიფტში, რომელიც ჩამოწყვეტის პირასაა. ის გადაიღალა გრავიტაციასთან ყოველდღიური ომით. ალბათ ყველაზე ცუდი ადგილი სიკვდილისთვის ლიფტია. ხოდა მეც მუხლები მიკანკალებს იმის ფიქრში, რომ შეიძლება ტროსები გადაწყდეს და ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება. ვიცი, რომ მოვკვდები, ხოლო არავითარ შემთხვევაში ლიფტში.

ჩემი კომფორტის ზონიდან ფათერაკებით აღსავსე სამყაროში ვდგამ ფეხს, სადაც ყველაფერი მოქმედია და მოქმედია მხოლოდ და მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიკტის საფუძველზე.

რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ვაკეთებთ თვითგადარჩენის ინსტიქტის საფუძველზე, იქნება ეს კოფეინის მიღება თუ გზაზე გადასვლამდე შუქნიშნის ფერის შემოწმება. ახლა წითელი ფერი ანთია, მაშასადამე, მე გზას უდარდელად განვაგრძობ უახლოეს მეტრო-სადგურამდე, თუმცა არსებობენ ისეთი უვიცი მძღოლები, რომლებიც წითელ ფერსაც კი არ უფრთხიან.

პროცენტულად ძალიან ნაკლებია შანსი იმისა, რომ მე ახლა მანქანამ გამიტანოს. ეს ცხოვრება რომ მართლაც პოკერი იყოს, კონკრეტულად ამ სვლაში, ასი ათასი ჩიპიდან ორმოცდაათი ათასს დავბეთავდი

და დაველოდებოდი ოპონენტის ოლინს, რომ მერე მე ქოლით მეპასუხა. თუმცა პოკერი, - ეს ის თემა ნამდვილად არაა, რაზეც საუბარში ერთ წუთს მაინც დავხარჯავ.

დღესაც ჩავდივარ მეტროში და დღესაც იმავეს ვფიქრობ, რომ აქაურობა ნებისმიერ ლამაზ ადგილს თუ ნებისმიერ ბუნებრივი მოვლენის ყურებას მირჩევნია. მხოლოდ აქ თუ შევიგრძნობ მშვენიერებას და მისტიკის იმ უმაღლეს საფეხურებს, რის გამოც ჩემი დაბადება უაზრო არ ყოფილა.

მხოლოდ ერთი იდეალური წამი... წამი, რაც წონის ათწლეულებში უაზროდ გატარებულ სიცოცხლეს. წამი, რაც წონის მარადისობაში მოგზაურობას.

მარადიულობა მხოლოდ სიკვდილში და იმ წამებშია, რაზეც ახლა ვსაუბრობ.

ჩემი ცხოვრებისეული ღირებულებაც მხოლოდ ესაა.

რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ ახლა, სადაც არ უნდა ვიყოთ და როგორც არ უნდა განვიცდიდეთ, ჩვენი მთელი არსება მაინც იმ ლამაზ წამებს ეკუთვნის...

მე მეტროში ვარ, ყურს ვუგდებ მდუმარების ხმაურს და ჩემი სიგიჟეც სწორად ამ ჩემი ხედვებით იკვებება. არ ვიცი ამის გამო ბედნიერი უნდა ვიყო თუ არა. არ ვიცი რის მომტანია ის, რისი დანახვაც შემიძლია.

აი მაგალითად ავიღოთ პოლეითენის პარკი... ხომ ხედავთ, არა?! რა არის ეს თქვენთვის? არაფერი!.. დიახ, ჩემთვისაც, ხოლო ამ არაფერზე, ასე მგონია, რომ უსასრულოდ ბევრი უსასრულო სივრცეა განლაგებული. ეს რეალობა შენ სხეულამდეც აღწევს.

უდავოდ არსებობს შენს სხეულზე ვინმე უსუსური არსება, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს რა ჯანდაბა ხდება მის თავს. სამყარო, - ეს ერთი დიდი ქაოსია სადაც ყოველი ცოცხალი არსება ერთმანეთს ისე ჰგავს, რომ უცხო თვალი ვერაფერს დაინახავდა გარდა ერთფეროვნებისა.

ყველაფერი ერთფეროვანია რამდენად მრავალფეროვანი აღქმაც არ უნდა გვქონდეს.

რა საინტერესო დამოკიდებულება მაქვს სამყაროს მიმართ, არა? დიახ, მე თქვენგან განსხვავებით ფართოდ ვაზროვნებ, ვცდები დედამიწისა თუ მზის სისტემის საზღვრებს და ყველაფერს ვუშვებ, რაც კი აზრად მომივა, იმასაც კი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ილუზიაა და სხვა არაფერი.

ილუზიებში ცხოვრება იმდენად სჭირდება გონებას, რამდენადაც საკვები თუ სასმელი ორგანიზმს...

მატარებლის კარები იღება და მეც შიგნით შევდივარ. ვცდილობ ჩემთვის საუკეთესო ადგილი დავიკავო კარებთან ახლოს, მაგრამ არაფერი გამომდის. ისევე როგორც გუშინ, დღესაც წარწერა „ნუ მიეყრდნობის“ ვეყრდნობი. ამ და სხვა წარწერებს რა დანიშნულება აქვთ დღემდე არ ვიცი და სიმართლე ვთქვა ამაზე პირველად და უკანასკნელად ვფიქრობ.

როგორც წესი, მატარებელი გვირაბში უფრო ხმაურიანია...

- გამარჯობა. - მესალმება ჩემს გვერდზე მდგარი, ჩემივე რომანის მთავარი პერსონაჟი. გამარჯობა-მეთქი.

- დღეს რაღაც უბედურად ვგრძნობ თავს, რაშია საქმე?

ღმერთივით ვიწყებ საუბარს:

- უბედურებით კმაყოფილება უნდა ისწავლო.

მიახლოვდება, რომ რელსების ხმაურში ჩემი საუბარი უკეთ გაიგოს და უფრო მჭიდროდ ეყრდნობა მატარებლის კარებს.

- ეგ როგორ?

- როგორ და ასეთნაირად: სამი წუთი, მხოლოდ სამ წუთს გამიგრძელდეს ბედნიერება და თანახმა ვარ დარჩენილი დრო ტანჯვაში გავატარო. ბედნიერებაში გატარებული სამი წუთი, ბევრად აღემატება უბედურებაში გატარებულ ათწლეულებს. ამრიგად, ყოველი უბედური წამით კმაყოფილი ვარ, ვინაიდან იყო დრო, იყო წუთები, იყო წამები, როცა ბედნიერებას განვიცდიდი და ვინ ვარ, ან რა ვარ, ცხოვრებისგან უფრო მეტს რომ მოვითხოვდე?

- მე უფრო რაღაც ცხოვრებისეული მაინტერესებს, რაღაც უფრო რეალური, ვიდრე ეს ფილოსოფიური სასწორია. არ შემიძლია ყოველდღიურად ასე ვეთამაშო ცხოვრებას. მიდი, რაიმე უფრო რეალური მითხარი.

წადი სადმე გაერთე და ვინმე გაჟიმე-მეთქი.

- ჯანდაბა!... არ გინდა ჩემი ისტორია გააგრძელო, სადაც ბედნიერი ვარ და მაგრად ვერთობი?!

- რომელი გირჩევნია, იყო ბედნიერი და არაფრით განსხვავდებოდე ხალხისგან, თუ იყო უბედური და ღმერთივით განსხვავებული იყო?

ის ქრება...

ყოველთვის, როცა საინტერესო კითხვას ვუსვამ, ის

ქრება...

მატარებლიდან ჩამოვდივარ და ვცდილობ ერთი გოგონას თმები დავყნოსო ისე, რომ ვერავინ შემამჩნიოს, მაგრამ არაფერი გამომდის...

გასაღებს ვათავსებ საკეტში და ვაღებ მსოფლიოში ყველაზე ცუდ წიგნის მაღაზიას, სადაც გენიალური ნაწარმოებები, მტვერში იკარგება. სამაგიეროდ ჩემი სამუშაო მაგიდა სუფთაა.

ვიხდი ქურთუკს, ვჯდები სამუშაო მაგიდის წინ და ველოდები პირველ კლიენტს, რომელიც სავარაუდოდ დღის მეორე ნახევრამდე არ გამოჩნდება.

ასე ვშოულობ ფულს...

საკმაოდ ახალგაზრდა ბიჭი დროზე ადრე ეხვევა ლიტერატურის მომაკვდინებელ საცეცებში.

რომ ვთქვა, ბევრი წიგნის მაქვს წაკითხული-მეთქი, ვიცრუებ, თუმცა ნებისმიერი ბესტსელერის შინაარსი მაინც ვიცი. (ბესტსელერებს განსაკუთრებულ ფასს ვადებ.)

თუ მაგალითად ტორესა მოსის „შენ ხარ ქრისტე“ ათი ლარი ღირს, მე ამას თხუთმეტად გავყიდი, რაც იმაზე ბევრად ძვირია, ვიდრე რომელიმე სხვა მაღაზიაში. მგონი ამიტომაც განვიცდი კლიენტობის ნაკლებობას.

ვთავსდები ჩემს არაკომფორტულ ხის სკამზე და კომპიუტერს ვრთავ, რის შემდეგაც ელექტრონულ ფოსტას ვამოწმებ. სულ ოთხი წერილია, აქედან პირველი ონლაინ სესხს მთავაზობს, რომლის პროცენტიც სასაცილოდ მეჩვენება და ამაზე გულში ვიცინი კიდეც.

დარჩენილი სამი წერილი სხვა და სხვა გამომცემლობიდანაა. აქედან ორი მატყობინებს, რომ ჩემთან თანამშრომლობა არ სურთს და რომ ჩემი ნაწარმოები არაფრად ვარგა. გამომცემლობა „წიგნები თბილისში“ მწერს, რომ ჩემ ნაწარმოებს საბჭო აუცილებლად განიხილავს და პასუხს მივიღებ ერთი თვის განმავლობაში. მაგრამ მარჯვენა მკლავს ჩამოვდივარ, რომ ეს უკანასკნელი გამომცემლობაც გამიცრუებს იმედს. როგორც ამას ჩემი ეგო იტყოდა, ჯობს დავიკიდო.

ახლა, როცა საქმე აღარაფერი მაქვს, ვრთავ მობის ერთ-ერთ ალბომ „PLAY“-ს. ეს ჩემი საყვარელი ალბომი არ არის. “WAIT FOR ME“-ს ვერაფერი შეედრება, თუმცა ამას სპეციალური გარემო და სპეციალური განწყობა სჭირდება. ხო, ნაღდად, ეს ალბომი ჩემი შთაგონების წყარო არაერთხელ ყოფილა.

ბოლთას ვცემ და ისე გამყავს დრო... ვაკვირდები მტვრის ფენას და კვლავ მინდება, რომ სულ პაწაწინა ვიყო; იმხელა, რომ მტვერი უზარმაზარ ღრუბლად მეჩვენოს. სხვა გარემო, სხვა შეგრძნებები, სხვა სამყარო. ჩემი ზომითა და აღქმის დახმარებით, მინდა რომ ამ სამყაროს ვეღარ ვხედავდე. მანქანების გამაღიზიანებელი ხმაური საშუალებას არ მაძლევს, რომ ვკონცენტრირდე, რათა მოვახდინო ტელეპორტაცია იმ ადგილზე, სადაც თითქმის შეუმჩნეველი მტვრის ფენა, უზარმაზარი ცაა.

პირველი კლიენტი კარს აღებს და მეკითხება:

- გამარჯობათ... თმის შეჭრა რა ღირს?

მინდა კლავიატურა იქამდე ვურტყა ცხვირ-პირში,

სანამ კლავიშები კბილებს შორის არ გაეჭედება და ის ამას ჩემს მზერაში კითხულობს. კარებს ხურავს და ვიმედოვნებ, რომ გვერდზე, საეკლესიო მაღაზიაში არ შევა, თორემ იქ ნაღდად არ დაინდობენ.

გული ამიფრიალდა იმის ფიქრში, რომ პირველი კლიენტი რამდენიმე წიგნს იყიდდა.

ყველანაირ გიჟურ თემაზე ფიქრს ვწყვეტ და სოციალურ ქსელში ვათვალიერებ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანებს. ამჯერად ამით გამყავს დრო. მხოლოდ ამას და სხვა რამდენიმე ქმედებას თუ შეუძლია დამადებილოს და დროებით გონება გამითიშოს. არის პერიოდები, როცა ფიქრს, ჯოჯოხეთის მარადიული ცეცხლი გვირჩევნია.

საბოლოოდ არაფრის კეთებით ვიღლები, თავს კლავიატურაზე ვდებ და მეძინება ისე, რომ დორბლით ვისველებ მთლიან პირს.

სიზმარში რას ვნახულობ კვლავ არ ვიცი, თუმცა მაგარი შეგრძნებებით ვივსები.

- გამარჯობათ. - მესალმება ახალგაზრდა გოგონა, სავარაუდოდ სტუდენტი. - აი, ისეთი წიგნი მინდა, ერთი წამითაც კი რომ არ მოგაწყენს.

მე მას სტივენ კინგის ყველაზე მოსაწყენ რომანს ვურჩევ. რატომღაც ასეთ ხასიათზე ვარ.

სამუშაო საათებს სადღაც ასე, რვა საათზე მოვრჩები. დავკეტავ წიგნის მაღაზიას. საკეტისა და გასაღების ურთიერთობას, კვლავ ინტიმურად ჩავთვლი. შემდეგ მეტროში ჩავალ და ხალხის ყურებით დავკტბები. შევალ იმ ლიფტში, რომელიც ჩამოწყვეტის პირასაა,

მაგრამ არ ჩამოწყდება. ჩემი სახლის ორივე ოთახს, დროის გაყვანის მიზნით დავალაგებ. შუა ღამეს, ჩავალ მაღაზიაში და ვიყიდი რაიმე ტკბილს, ან მეორე დღისთვის ერთ კოლოფ სიგარეტს. ბოლოს, როცა უკვე დავასრულებ მდუმარე ღამით ტკბობას, ჩავაბნელებ სახლს, წამოვწვები ლოგინზე და მოვუსმენ მობის გენიალურ ალბომს. მთელ ერთ საათსა და რამდენიმე წუთს, სრულ ნეტარებაში გავატარებ, დილით კი კვლავ ვიტყვი, რომ ასე ტკბილად არასდროს მძინებია.

. . .

წეს-ჩვეულება არც დღეს ირღვევა და მე ვიღვიძებ. დილის ცხრა საათს, თხუთმეტი წუთი უკლია. მეც მოსაწყენ პროცედურებს მოწყენილი გავდივარ და ამჯერად საერთოდ არაფერზე ვფიქრობ. კიდევ კარგი ადამიანს ხანდახან მაინც ძალუძს, რომ ფიქრი შყვიტოს.

გამოფხიზლების მიზნით, ცივ წყალს ვისხამ, ფანჯრიდან ვიხედები, რომ ცივი სიო შევიგრძნო და კვლავ მიყრილ-მიმოფანტულ მთა-ბორცვებს ვაკვირდები. ამოუცნობი ობიექტები ღამე კაშკაშებენ და მკრთალდებიან, დღე კი მზის სხივებს ირეკლავენ და თვალს მჭრიან.

სულ რაღაც ორი-სამი წუთი და ფანჯარას ვცილდები...

არ ვიცი რა უნდა ვაკეთო, არ ვიცი ვინ ვარ, რა მინდა და რა ჯანდაბას ვაკეთებ აქ, პლანეტა დედამიწაზე, ყოველ დღე ორ სამ-წუთს ჩემი ფანჯრების წინ.

“ეს ყველაფერი შემთხვევითობაა.” - ამბობს ჩემი შინაგანი ხმა და ასე მგონია, რომ ეს ერთი ფრაზაა მთელი ფილოსოფია და სამყაროს მთავარი

საიდუმლოება.

შემთხვევითობა...

შემთხვევითობის საფუძველზე ვაღებ სახლის კარებს და შემთხვევითობის საფუძველზე მივდივარ სამსახურში.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ერთს ვიტყვი, რაიმე მარტივად გასაგებს: ყველაფერი ისე ხდება, როგორც გუშინ და მე წიგნის მაღაზიაში ვზივარ დადებილებული და სადაცაა პირიდან დორბლის დენა დამეწყება.

ზუსტად შუა დღის ორ საათზე პირველი კლიენტი მსტუმრობს, რომელიც წიგნს ეძებს ეშმაკზე.

დიახ, მოსალმების შემდეგ კითხულობს, მაქვს თუ არა წიგნი ეშმაკზე.

- ეშმაკზე?! - მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი კარგად გავიგე.

- დიახ, ეშმაკზე. - მეუბნება ის.

სადღაც ასე, ორმოც წლამდე კაცს ვესაუბრები, რომელსაც ელეგანტურად აცვია და რაღაც უმკაცრესი იერი აქვს. როცა მამაჩემი ოთახში დადიოდა, ვგრძნობდი, რომ ის იმაზე დიდი იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ამავეს ვგრძნობ ამ კაცზეც, ოღონდ ეს უფრო რაღაც შემაძრწუნებელი, მისტიკური და ზღაპრულია.

მაინც როგორ წიგნს ეძებთ ეშმაკზე-მეთქი, ასეთნაირ კითხვას ვუსვამ.

- ბიოგრაფიულს.

- ბიოგრაფიულს?!

- დიახ, ბიოგრაფიულს.

- დარწმუნებული ვარ ასეთი წიგნი არ არსებობს.

- დიახ, მეც მაგას ვამბობ. - მეუბნება სარკაზმით სავსე სიტყვებითა და ხმის ტემბრით. - თქვენ როგორ ფიქრობთ, განა არ უნდა არსებობდეს ასეთი წიგნი?

- არ ვიცი... დიდი სიამოვნებით კი წავიკითხავდი.

- მე კი გეტყვი, რომ ასეთი წიგნის არსებობა კაცობრიობისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მაგალითად მზე და მთვარე.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- იმიტომ, ჩემო მეგობარო, რომ ამჟამინდელი ღმერთი, სულაც არაა ღმერთი.

- უკაცრავად, რას გულისხმობთ? – (გიჟებთან საუბარი ყოველთვის მხიბლავდა.)

- იცი რატომ ქადაგებს ბიბლია სისასტიკესა და ბოროტებას?! იმიტომ, რომ ეშმაკის დაწერილია.

ჩემს წინ, ხის არაკომფორტულ სკამზე თავსდება, ხელებს ერთმანეთზე იწყობს და მიმეორებს:

- ღმერთი, სულაც არაა ღმერთი.

- მეხუმრებით?!

- მისმინე, - მეუბნება მკაცრი ტონით - შანსი გეძლევა ეშმაკზე ბიოგრაფიული წიგნი დაწერო. ყველაფერს მე მოგიყვები.

- თქვენ?.. თქვენ ვინ ბრძანდებით?

- რა ქვია მწერალს, რომელიც მცხობელი გახდა?

- მცხობელი...

- ესე იგი მე ვინ გამოვდივარ?

- ...





ნუციკო მთვარელიშვილი

თავისუფალი თემა

ძალიან მიყვარდა, როცა სკოლაში თავისუფალ თემებს გვაწერინებდნენ. ერთგვარი გამოწვევა და თამაში იყო, მოგეფიქრებინა ამბავი, გადმოგეცა საინტერესოდ და თან საუკეთესო ნიშანიც მიგეღო. სხვებს ეზარებოდათ ამდენი ფიქრი, ჩემთვის კი ნამდვილ აზარტს წარმოადგენდა. ვწერდი და შემეძლო ერთ თემაზე მთელი ამბავი მომეყოლა.

მახსოვს, ერთხელ კლასელმა ჩუმად მკითხა: რომელი წიგნიდან გადაიწერეო? არ დაიჯერა, რომ მართლაც მე ვწერდი. მაშინ გამეღიმა, მაგრამ აღარაფერი მითქვამს. თუმცა წერით სულ ვწერდი, ოღონდ ჩემთვის, დღიურებში, რომელსაც საგულდაგულოდ, ყველასგან ვმალავდი: ხან კარადის თავზე, ხან უჯრაში, ხან ტანსაცმელებში და ზოგჯერ მავიწყდებოდა სამალავის ადგილმდებარეობა.

ერთხელ დღიური მაგიდაზე გადაშლილი დამხვდა. როცა დავბრუნდი, ბებიაჩემი დიდი ინტერესით კითხულობდა. თავზე რომ წამოვადექი, სიტყვის თქმა არ მაცადა, ვაჰ, რა კარგად წერ, შე ოხეროო, ასე მითხრა. მე კი შემრცხვა. დიახ, შემრცხვა იმის, რომ შემაქეს, შემრცხვა კიდევ იმის, რომ ჩემს დღიურში ბავშვური ბჟუტური ბებიაჩემმა წაიკითხა, კიდევ იმის, რომ ახლა იცოდა, ზოგჯერ რომ რაღაცეებს ვწერდი. მოკლედ, თვალს ვერ ვუსწორებდი იმის გამო, რომ ჩემი საიდუმლო მანაც იცოდა.

სხვათა შორის, დეიდაჩემი კარგად წერდა. ჯერ კიდევ ბნელ 90-იანებში ლამფის შუქზე წერდა. თვალწინ მიდგას, დიდხანს ფიქრობდა და მერე დიდხანს წერდა. მე კი ოდნავ შეღებული კარიდან ვაკვირდებოდი, ის ფიზიკურად ოთახში, ხოლო გონებით თავის ნაწერებში იყო ჩაკარგული. საღამოობით წერდა ხოლმე. მერე ვუთხარი კიდეც, დეი, როგორ მიყვარს, რომ წერ ხოლმე და იცი, შენსავით ვერა, მაგრამ ზოგჯერ რაღაცეებს მეც ვწერ-მეთქი. ვაჩვენე და წავაკითხე ჩანახატები. გამიღიმა და შემაქო. ყოველთვის წერეო, გამამხნევა.

ზოგჯერ ჩემი ძმისშვილი, ჩემი მარიტუნა მომეპარება ხოლმე, ხან სათამაშოს მესვრის, ხან მუხლებზე დადებულ ჩემს ლეპტოპს მიაჩოჩებს და თავს ჩამიდებს კალთაში, რომ ყურადღება მივაქციო. მე კი ამ დროს ისევ დღიურებს ვწერ, როგორც ბავშვობაში. მერე პაწუა თითს კლავიატურას ჩაუტკაპუნებს და ამირევს ნაწერს, აბზაცებს მიკეთებს და ცდილობს, მომწყვიტოს წერას. ვხვდები, რომ ვერ დავიხსნი. დროებით ვწყვეტ წერას, მის განკარგულებაში გადავდივარ.

ვთვლი, რომ უნდა წერო და წაიკითხო ბევრჯერ, როცა წერ, ორჯერ კითხულობ და თუ შენ სხვის სათქმელსაც ამბობ, უფრო კაი ტიპი ხდები, რადგან სხვა შეიძლება თავს იკავებდეს, ვერ ამბობდეს, ან არ ამბობდეს, ან უბრალოდ, რცხვენოდეს ისევე, როგორც მაშინ მე, როცა ბებიაჩემს ჩემი დღიური ჩაუვარდა ხელში. ჰოდა, რაც მეტის სათქმელს ამბობ, მკითხველიც მეტი გყავს და მეტი ადამიანის გული ხარობს ამ დროს.

ამას წინათ ერთ სამხრეთ ამერიკულ ქალაქზე ვსაუბრობდით, როცა ერთი ჩამერთო საუბარში. ამ ქალაქში ნამყოფი ხარო? ჯერ არა, თუმცა ვინ იცის, ხვალ სად ვიქნები-მეთქი, დავიტრაბახე. მე კი მოვლილი მაქვს ეგ მხარეო. როგორც აღმოჩნდა, ადრე მეზღვაური ყოფილა. შევაგულიანე ისევე, როგორც თავის დროზე ნანი დეიმ მიბიძგა, მეწერა ჩემსავე დღიურებში. გთხოვ, დაწერე შენი ამბები და პირველი მკითხველი მე ვიქნები-მეთქი, დავპირდი.

ისე, რომ დაფიქრდე, რამდენი კარგი მწერალი და კარგი ამბის მთხრობელია, ვისი ცხოვრება, თავგადასავლები და კიდევ ბევრი ემოცია გამომზეურებას ელოდება, თავის მკითხველს ელის, ეგაა, რომ ადამიანებს ზოგჯერ კარგი წამქეზებელი, შემგულიანებელი გვჭირდება, ერთი კარგი შეჯანჯღარება.

იმედია, ის მეზღვაურიც ოდესმე დაწერს. დაწერს და მისი დღიურების პირველი მკითხველიც მე ვიქნები.

,,გუშინ ტყეში გაწვიმდა. გამოვრბოდი, სველი კაბა ტანზე მეტმასნებოდა, ნაჭრის ფეხსაცმელებიც სულ დამისველდა, მე კი მოვრბოდი თავდახრილი, წვიმას ვერიდებოდი და მაინც წყლის წვეთები მთელ სხეულზე

დარბოდნენ, მეც გავრბოდი.

მიწის, ფოთლების, ბალახის, ხეების სურნელი ტრიალებდა ჰაერში, ამას წვიმის სუნიც ერთვოდა და წვიმას ვერწყმოდი. წვიმის წვეთი ჩემსავე ამბავს ყურთან ახლოს მიყვებოდა, შემდეგ კისერს მოუყვებოდა ქვემოთ და ფეხებისკენ იკვალავდა გზას''.

ბოკო ჭიღლაძე

შექმნილის შურისძიება

საათებიღა დამრჩა.. როგორ გითხრათ... ეს ჩემი უკანასკნელი გაფართხალებაა. იქნებ სადმე შევძვრე, თორემ მოსაბეზრებელია ლოდინი. ახლა 18 საათი და 21 წუთია. ზუსტად თორმეტზე სონი მომაკითხავს და თუ რამეს დავახვედრებ, ყოველივეს აფხეკს და წაიღებს. მე კი იმედიან კაცად ვიქცევი. სწორედ მან მამცნო ამის შესახებ. ამ პატარა ქალაქში იშვიათობაა კონკურსები, ლიტერატურული ღონისძიებები. 26 დეკემბერს გამოაცხადეს პროზაიკოსების დიდი ჭიდილი. მე ახალბედა ვარ ამდენ „ბუმბერაზში“. მოთხრობების კრებული ან რომანი, არჩევანი ჩემზე იყო. ვადა 1 იანვრამდეა. ამ თარიღს 5 საათი და... ნომინაციები უკვე გითხარით. თითო ნომინაციას თითო გამარჯვებული. მოთხრობების გაგზავნას ვაპირებდი, მაგრამ შემეშინდა გამომიჭერდნენ. ფურცელზე გარკვევით ეწერა: “სხვა კონკურსებში გაგზავნილი ნაწერების შემოტანა სასტიკად აკრძალულია” ელოდნენ ახალ, მჩქეფარე სისხლს. მე კიდევ ძველი მოთხრობები, ათი თუ

თერთმეტი წინა თვეში უკვე გავგზავნე. რა თქმა უნდა საპატიო ჯილდო ვერ დავიმსახურე.

დიდი ამოცანის წინაშე ვიდექი. 26-ის ღამე ფიქრში გავათენე. მივხვდი, 5 დღეში მოთხრობებს ვერ დავწერდი. უკეთესი იქნებოდა, ერთ კონკრეტულ თემას შევხებოდი. ბოლოს გამახსენდა, თვეების წინ რომანი მქონდა დაწყებული. არც კი ვიცი რამ გადამავიწყა. აზრი ჩინებული იყო. ალბათ 40 000 სიტყვამდე მეწერა. ამას თავი როგორ დავანებე? სახლი გადავქექე და ის სანუკვარი რვეულებიც ვიპოვე. სონიმ გამაფრთხილა კალიგრაფიას უნდა არჩევდნენო. წარმოიდგინეთ მთელი ორი ღამე, 27 და 28 დეკემბერი გავათენე და გადავწერე. რა თქმა უნდა ყველა გვერდი არა.. სადაც გაურკვევლად ეწერა, თუმცა გამოდის მთელი რომანი გადამიწერია...

დასამთავრებელი იყო. 28-ში როდესაც გადაწერა დავამთავრე, კმაყოფილი ლოგინში ჩავწექი და თამბაქოს გავუკიდე. ვფიქრობდი, რა მოხდებოდა თუ ვერ მოვასწრებდი. ალბათ სათქმელი ნათელი რომ ყოფილიყო, ამისთვის კიდევ 10 000 სიტყვის დამატება მომიწევდა. რომანიც შედგებოდა. იმ ღამით 30 ღერი მოვწიე. ფერფლის გორა ლამბაქზე მთას წააგავდა, „კილიმანჯაროს“ მთას. შუაღამისას მაგიდაზე დადებული ჭურჭელი ვერ შევამჩნიე, ხელი მიმეკრა და ნოხზე ფერფლი მიმოიბნა. თავი შემძულდა. ასეთ წვრილმან საკითხებს შეუძლიათ გამანადგურონ. აღარ დამეძინა და შემდეგ დღეს უხასიათოდ შევხვდი. გუნების გამოკეთება მსურდა და დავლიე კიდეც. მთვრალს წერა მომეწადინა, მაგრამ კალამი რვეულს ავაცილე. მე-10 ცდაზე მივხვდი, რომ არ ღირდა.

წუხანდელი დღე კი კარგი გამოდგა. 6300 – 6800 სიტყვა დავწერე. ასე ზუსტად საიდან ვიცი? მე მათ ვითვლი. არ იცით, თუ რამდენს ნიშნავს თითოეული სიტყვა მწერლისთვის. ისინი კი არ მოფრინავენ ... ნასროლი სიტყვა ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწილი ვერასოდეს იქნება. კულმინაციასთან ცოტათი შორია. 5 საათში ნამდვილად დაიწერება, მაგრამ მუშაობა ჯერ არ დამიწყია. როცა საქმე წერას ეხება, დაგეგმილად არაფერი ხდება. უმეტესწილად ეს უჩვეულო თვისება სასიკეთოა. გათვლილს კი ყოველთვის ხელოვნურის სუნი ასდის...

მინდა აგიხსნათ ეს კონკურსი ჩემი ბოლო ხელჩასაჭიდი რატომაცაა. მანამდე კი უნდა გიამბოთ, თუ როგორ გავთავისუფლდი. ნებაზე მიშვება დიდი ბედნიერება ყოფილა. საკუთარი სახლი. მშობლებისაგან შორს ხარ... ყოველივეს ფასს გებულობ, ყალიბდები და თუ ძლიერი ხარ (სულიერად) ბავშვობის სენტიმენტებიც თავს არ გატკიებს.

გულახდილად რომ ვთქვათ, პირველი დღეები მშობლები მენატრებოდნენ, მაგრამ, როდესაც ბედნიერება სიმარტოვესა და წერაში ვპოვე წარსული ვეღარ მომერია. ისე კი მათზე ყოველთვის ვფიქრობ. მახსენდება, ნებისმიერი საქმიანობისთვის გამიმეტებდნენ, ოღონდ კი მწერლობა არ ამომეჩემებინა. ამაზე ხან ვტიროდი, ხან ვიცინოდი, ხან ნივთებს ვაზიანებდი, ხან სახურავზე ავდიოდი და ცის შემყურე ვფიქრობდი პრობლემებზე. თვრამეტი წლის ასაკში ოჯახის დატოვება უჩვეულო და მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფაქტია დედ-მამას შვილი დამოუკიდებლობისთვის დაენანა. ყოველთვიურად

ფულს მიგზავნიდნენ. ერთ დღესაც არ მესიამოვნა და განვუცხადე, საკუთარ თავზე ვიღებ ყველაფერს-მეთქი. მის მერე ხურდა ფულიც კი არავის მოუცია ჩემთვის. ასე გრძელდება უკვე სამი თვეა. გამიმართლა, ფული გადანახული მქონდა. ხელმომჭირნე გავხდი და ალბათ თავს გავიტან. ამასობაში კი მუშაობასაც დავიწყებ. შეპირებულები არიან.

„ფრანც რასკო, ყველაფერს გაუძლებ.“ - ვუმეორებ თავს და მჯერა ამის. განცხრომაში ვარ, მაგრამ არამგონია ამან დიდხანს გასტანოს. უაზრო ფიქრები შეეპარება ხოლმე გონებას. არ ვიცი ფულზე უარი რატომ ვთქვი. ნუთუ მარტინ იდენობას ვაპირებდი?! სიღარიბე, შიმშილი, წერა და ბოლოს აღიარება?! შესაძლოა. კინო, წიგნი ისე უეცრად შეგიცვლის იდეებს და მიზნებს, ამის გასიგრძეგანებისთვის დროსაც არ დაგიტოვებს. ხშირად პერსონაჟი მოგვეწონება და მზად ვართ სიცოცხლე შევწიროთ, ოღონდ მისი ცხოვრებით ვიცხოვროთ, თუნდაც შიმშილით გვხვდებოდეს სული. უცნაურადაა ადამიანის გონება მოწყობილი. ფილმები ჩემს ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს. მარტო ვარ და კინომატოგრაფიისთვის დრო მრჩება. ერთი დიდი მინუსი აქვს ფილმს. ფანტაზიას გიკლავს, მაგრამ ყველაფერი ისე იდეალურადაა გაკეთებული, ნებდები შენს ფიქრებს და ოცნებების მორევში ეშვები.

1999 წლის ბოლო დღეა. 21-ე საუკუნეს მოვესწრები... წარმოგიდგენიათ? 2 კვირის წინ ერთ ფილმს ვუყურე. ერთი წლის წინაა გადაღებული. ჩემს გარდაც ბევრი შეამჩნევდა, ვიცი. „საშიში სილამაზე“ ჰქვია. ერთ-ერთი როლს ნაომი უოტსი ასრულებს. საოცარია.. 30 წლის გახლავთ, ეს ჩემთვის იდეალური ასაკია. მისი

გამოხედვა მანგრევს. მისი მიმიკები, გაკვირვებული სახე, ღიმილი. ტანში ჟრუანტელი მივლის და ადგილზე ვშეშდები. „ჰოლივუდში“ ეგეთებს რა დალევს? ბოლოს „უნაყოფო ნიადაგი“ (Badlands) ვუყურე. მალიკი ნამდვილი გენიოსია. ის წითური გოგოც შთამბეჭდავად ასრულებს დავალებულ საქმეს. უკვე აღვნიშნე, ხშირად ფილმიც უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენზე, ამიტომ მიზანშეწონილი არაა ყველა „მეოცნებე“ კინოგურმანი გახდეს.

ერთი კვირის წინ საშინელი მკვლელობა მოხდა. თავგადაპარსულმა ბიჭმა ორი გამვლელი მოკლა. თითოს სამ-სამჯერ ესროლა. ჯერ მუხლები დაუხვრიტა, ბოლო ტყვია კი შუბლში დაახალა ტკივილისგან გაწამებულ მსხვერპლებს. ტყვიადახლილები სისხლში დაცურავდნენ. მკვლელს ზუსტად ისეთი იარაღი ჰქონდა, როგორიც დე ნიროს ფილმში „ტაქსის მძღოლი“ (Taxi Driver). დამნაშავემ მაისური გაიხადა და პოლიციამ მის ზურგზე ამოსვირინგებული წარწერა წაიკთხა: „You Talkin’ Me?” . კაცმა არ იცის, მიბაძვა იყო თუ რა?

ჩემს ოთახს ფანჯარა არ უდგება. კარს გააღებ და პატარა მოსახერხებელი ოთახი შეგრჩებათ ხელთ. ხის კარგი მაგიდა თავისი 3 უჯრით. ნახატები, პატარა საწოლი, სკამი და ჩამოკიდებული ფარდა, რომელიც სხვა ოთახისგან მყოფს. ფარდა რომ არა ოთხ ნაბიჯში ფანჯარაა, მაგრამ ზამთარში იძულებული ვარ ნაჭერი ჩამოკიდებული იყოს. სითბოს აკავებს. გამათბობელი არ მიყვარს. მაგიდაზე დახვავებულა თაბახის ქაღალდები. სულ მაინტერესებდა კალამი ფურცელს რა მასით ამძიმებს... საწერ ადგილას საათი მიდგას,

სპილოს გულში ჩასმული საათი. ყოველთვის კარგ გუნებაზე მაყენებს. რიტმული ხმა მამშვიდებს და წერისას ხელს არ მიშლის. სხვა ოდნავმა ხმაურმაც კი შეიძლება ყველაფერი ჩაშალოს. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ თუ დამოუკიდებლობას ირჩევ, თავს რაღაც ზედმეტსაც აკისრებ.

ხომ ვთქვი ეს კონკურსი ბოლო ხელჩასაჭიდია- მეთქი. მანამდე უამრავი უშედეგო ცდა იყო. რამდენ გამომცემლობასთან მივიტანე ნაწერები... ზოგის რის გამო იწუნებდა, ზოგი რის. წარმოდგენა არ მაქვს ამჯერად ბედის ბორბალი როგორ დატრიალდება. მოხდება თუ არა მოსახდენი? არც იმის თაობაზე შემიძლია გესაუბროთ, იმედგაცრუების შემთხვევაში კიდევ დავწერ თუ არა რამეს. პროზაული ნაშრომის დაწერისას ან დანამდვილებით ვიცოდი, რომ შემდეგიც შეიქმნებოდა ან კიდევ ვამბობდი, რომ საბოლოოდ, ყველაფერი მორჩა. ახლა კი ვერც ერთ მხარეს ვერ ვემხრობი. ამიტომ მეშინია და ვგონებ, ეს ჩემი ბოლო ხელჩასაჭიდია. დიდება... დიდება... რა კარგად ჟღერს არა? მაინც როდის მოდის წარმატება, თუ არა მაშინ, როდესაც ხვდები, რომ მათ სხვა გზა აღარ აქვთ. ხალხს ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა მოუსპო. ეს რთული და შრომატევადია, მაგრამ ხომ იცი, აღიარების გარეშე, რიგითად სიკვდილს რასკო, ვერ გადაიტან.

აჰ, რაღაცამ მიკბინა! ზამთარში ნუთუ კიდევ დაფრინავს რამე? ზაფხულში კოღოებმა დამგლიჯეს, ტყავი გამაძვრეს. ნეტავ რა იზიდავთ? ახალი გაკრული შპალერი თუ ჩემი სისხლი? არა, ისინი შპალერს არ ჭამენ, მათ უბრალოდ წებოს სუნი უყვართ, რომლის დახმარებითაც კედლის სიმახინჯეს ვმალავთ. ოთახში

ნახატები მაქვს ჩამოკიდებული. ეს უკვე გითხარით. ერთ-ერთი ზომით საკმაოდ დიდია. ზურგით შებრუნებული კაცი, რომელსაც ერთ ხელში ჟღალი ფერის ბეწვი უჭირავს, მეორეში კი საპონი. 30 წლის იქნება სადღაც. უცნაურ ხასიათზე მაყენებს, მაგრამ მისი მოშორება არასოდეს მიცდია, ვინაიდან მაგონდება, რომ თუ რამე ღირებული შემიქმნია, ეს უჩვეულო გუნებაზე მყოფს გამიკეთებია...

რაც შეეხება სიყვარულს, უპირველეს ყოვლისა ის ქერა მსახიობი მახსენდება. ნაომის ნამდვილად ჰგავს. ნატი ჩემი უფროსი მეგობრის შეყვარებული იყო. ერთ სკოლაში ვსწავლობდით სამივენი. ორივე სამი წლით ჩემზე უფროსები იყვნენ. ნუ მე ასე ვიცოდი. მაჰო მექალთანე აღმოჩნდა. მე კი ამის გული და შესაძლებლობა არასოდეს მქონია. ნატი მალევე მიატოვა და გოგონამაც შეიძულა იგი. მახსოვს 14 წლის ვიყავი, როდესაც უფროსმა მეგობარმა ყვავილები ხელში დამაჭერინა და მითხრა, რომ ნატისთვის უნდა მიმეტანა. თვითონ ამას ვერ ბედავდა. მაშინ ვიხილე ნატი პირველად, 14 წლამდე სხვა სკოლაში ვსწავლობდი. კარი დედამისმა გამიღო. მაღალი და მოხდენილი შესახედაობის გახლდათ. ვუთხარი ეს თაიგული მაჰოსგან თქვენს ქალიშვილს-მეთქი. ნატიმ ალბათ ამას ყური მოკრა და დავინახე ერთ-ერთი ოთახიდან თავი როგორ გამოყო. ოქროსფერი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა. გადავწითლდი, გადავხურდი და თავი შემეცოდა. დედაჩემმა ამ შეხვედრის შესახებ იცოდა. „ხომ იცი ფრანც, მაჰოს დედა შენი ნათლიაა, ასე რომ კარგად გამოგაწყობ. თავი არ შევირცხვინოთ.“ რა მეცვა, ახლაც რომ

მაგონდება, ჭკუიდან ვიშლები. არადა რა საყვარელი ბავშვი ვიყავი. ნატიმ ჯერ ყვავილებს გაუსწორა თვალი, შემდგომ კი მზერა ჩემზე გადმოიტანა. გაოცებული სახით შევცქეროდი მას. ეტყობოდა, დაუმალავად ეტყობოდა, რომ შეყვარებული იყო. მაჰო ჩემი მეზობელიც გახლდათ. აბრასთან ერთად ქუჩაზე ამოივლიდა ხოლმე. მე კვლავ გაფართოებული თვალებით შევსცქეროდი შეყვარებულ წყვილს. სალამს მეტყოდნენ და სიარულს განაგრძნობდნენ. იმავე წელს დაშორდნენ...

ამასობაში წამოვიზარდე. ნატი დიდი ხნის უნახავი მყავდა. ის სხვა ქალაქში გადავიდა. ცხვირის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. შეუდარებელი გახლდათ. ისეთი მოხდენილი იყო... მისი ჩაცმულობა, მზერა და მშვენიერი ტანი გონებას მირევდა. თავდაპირველად ცნობა გამიჭირდა, მან კი დაუხანებლად მიმავალი შემაჩერა და მეც მალევე გავიხსენე იგი. ცოტა ხნით ვისაუბრეთ. მე თუ მკითხავთ ცუდი ცხვირი სულაც არ ჰქონდა. პირიქით, თავისებურ ხიბლს ჰფენდა, სრულყოფდა კიდეც მას. ასეა თუ ისე, ანგელოზი კვლავ ანგელოზად დარჩა. ის ისეთივე განუმეორებელი იყო, როგორც უწინ. სასაუბრო თემა ვერ გამოვნახეთ და ამან ცუდ გუნებაზე დამაყენა. ჩვეული, გაცრეცილი დიალოგით შემოვიფარგლეთ და ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ის ღამე ფიქრში გავატარე და მივხვდი, რომ უნდა მებრძოლა. მაშინ პირველი ლექსი დავუწერე. ერთი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდი ხოლმე. ნატს ქუჩაში ხშირად ვხვდებოდი. საბოლოოდ, სიმპათიები გავუმხილე... როგორც ველოდი, იმედები გამიცრუვდა. მითხრა, რომ მზად არ იყო. ეს უსასოებაში

მაგდებდა, მაგრამ არა ისეთში, ხელი რომ ყველაფერზე ჩამექნია.

ერთი წლის წინ „საშიშ სილამაზეს“ ვუყურე და ნატი უოტსს მივამსგავსე. ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ორი წლის განმავლობაში ისეთი მნიშვნელოვანი და ყურადღებამისაქცევი აღარაფერი მომხდარა. აბრა მზად კვლავ არ იყო. მე კი ახლაც ველი.

ამასობაში ერთი საინტერესო და უჩვეულო რამ გადამხდა თავს. 35 წლის ქალის საყვარელი გავხდი. ახლაც ხშირად მირეკავს ხოლმე. თურმე რამდენი რამის მოსწრება შეიძლება. ეს ამბები ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ დატრიალდა. გაურკვევლობაში რომ არ ჩავარდეთ გეტყვით, ჩემი ოჯახი მშობლიურ ქალაქში დარჩა, მე კი ლოტენში, სადაც ნატი და ის 35 წლის ქალი ცხოვრობს იქ გადმოვედი საცხოვრებლად, რა თქმა უნდა, ქირით.

პენელოპა გაუთხოვარი ქალია წაბლისფერი თმა და ოდნავ ჭორფლიანი სახე ბავშვურს მიუგავს. ასაკი კი ნამდვილად არ ეტყობა. მის მიმართ არაფერს ვგრძნობ. ხშირად შუბლზე წინამო ჩამოუწევია. სიმაღლე საშუალო აქვს. აღარ მინდა ამ თემაზე საუბარი. ახლა არც ვწერ, უბრალოდ ვფიქრობ და მგონია რომ ვინმე მისმენს. ამასობაში საათზე მეტი გავიდა. ჭკუას უნდა მოვუხმო. წერას ვიწყებ. 4 საათში უსიკვდილოდ უნდა მოვათავო. კალამს ხელში ვიღებ. როგორც ყოველთვის სრული სიჩუმეა. ბრძენს უთქვამს: „მუზის მოსასვლელად მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა სიწყნარე. ელოდე სრულ სიჩუმეში და ის მოვა. სამყარო წინ გადაგეშლება, მთავარია ყურადღებით იყო.“

ველოდები და ვგრძნობ, სიტყვების მოზღვავებას.

მოიცა, ეს რა ხმაურია?! “ოხ თქვენი!” - ვჩურჩულებ და სახეზე წამოწითლებული თვალებს ვხუჭავ. სადაცაა ჭერს ჩამოიღებენ. აქამდე ასეთი რამ არასოდეს შემთხვევია. რა დროს ესაა ახალი წლის ღამეს? - ვიძახი, მაგიდაზე ფეხით ვდგები და მუშტებს ჭერს ვურტყამ. ჩემს ზემოთ ნამდვილად ვიცი ცხოვრობენ, მაგრამ რას აკეთებენ?! ეს რა ხმაა?! მიუხედავად ნატკენი ხელისა ჩემსას არ ვიშლი. არც ისინი იშლიან თავისას.

მაგიდიდან ჩამოვედი, სკამზე დავჯექი და ფიქრი დავიწყე. საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი, რომ უმთავრესი მოთმინების უნარი იყო. ხმაურის შეწყვეტისთვის ხუთიოდე წუთს ვაძლევ, მაგრამ მერე რა გავაკეთო? ეს წუთებიც ბევრს წყვეტს. 4 საათზე ოდნავ მეტი დამრჩა. ნეტავ რა უნდათ? სათქმელი 300 ან 500 სიტყვაში ჩავატიო? უეცრად ტელეფონი იწყებს რეკვას. თავდაპირველად გაგონება არ მსურს. საბოლოოდ, ოთახს მაინც ვტოვებ და შემოსასვლელში მდგომ ტელეფონთან მივდივარ. გაგონებამდე სარკეში ვიყურები. ყურმილს ვიღებ. მცირე ხნიანი პაუზის შემდეგ საუბარს უცნობი იწყებს:

- ფრანც, როგორ ხარ? - ვგრძნობ სიტყვის გაგრძელება სურს, მაგრამ არ ვაცლი.

- ნორმალურად, უკეთესადაც შეიძლება, - ვეუბნები და ამავდროულად ვფიქრობ თუ ვინ შეიძლება იყოს.

- როგორ მესაუბრები, რა იყო ვერ მიცანი? სონი ვარ, - სიტყვას მიბრუნებს და ვხვდები, რომ მარტო არ არის. ვიღაცის ქოშინი და ჩურჩული მესმის.

- ვიტელო, არამგონია ეულად იყო. ისევ მაიმუნობ, როგორც ჩანს. კი მაგრამ ასეთ დროს რატომ მირეკავ? ჯერ 4 საათზე მეტი მაქვს დარჩენილი. სარკეში ვიხედები და ჩემი თავით კმაყოფილი ვარ.

- მისმინე, ეგ დრო დაივიწყე. ღამის 12-ზე აუცილებლად მოვალ, მაგრამ მაგაზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა ფრანც. არც კი ვიცი როგორ გითხრა. იქნებ უკეთესი იყოს, ხვალ მოგახსენო ამ ამბის შესახებ. მინდა დღეს წერაზე იყო კონცენტრირებული. ხომ იცი შენგან ბევრს ველი. ასეთ დროს კი ფარ-ხმალს არასოდეს ყრიან. გენიოსი ხარ რასკო, უბრალოდ გენიოსი. ეჭვიც არ მეპარება ეს რომანი ბევრს აალაპარაკებს. მანამდე მთავარია გაიმარჯვო. შენი მოთხრობებიდან თუ ვიმსჯელებთ, ახლა რაზეც მუშაობ იმ სტილს კვლავინდებურად არ ღალატობ, რამაც დიდება უნდა მოგიტანოს. იცი, თავს დამნაშავედ ვთვლი, რომ მეტ დროს ვერ გაძლევ. უბრალოდ კონკურსის ჩამტარებლებმა ისურვეს ასე. როგორ მინდა კიდევ მოგცე საათები, თუმცა ეს შეუძლებელია, - ამბობს და ვგრძნობ, რომ ქალს იშორებს.

- სონი, ამაში დამნაშავე შენ არ ხარ. პირიქით, მადლობელი ვარ რომ მეხმარები. არ ზარდები შუაღამით, ახალი წლის დადგომისას სხვა ქალაქში გადასვლას იმის გამო, რომ ჩემი ნაწერები იქ მიიტანო, სადაც საჭიროა. ახალ ამბავს რაც შეეხება ჯობია მითხრა. უთქმელად უფრო ამაფორიაქებ. ხომ გინდა ნაშრომი კარგი გამოვიდეს? ჰოდა თქვი ვიტელო, - ვპასუხობ და ცივი ოფლი მასხავს.

- ფრანც, უბრალოდ თავს ვალდებულად ვთვლი... ხომ

გესმის? მოკლედ ნატი უცხოეთში წავიდა, თან დიდი დროით. 6 თვე იტალიაში იქნება. ალბათ ივლისისთვის დაბრუნდება. ურთულესია, ვიცი 6 თვე მის გარეშე ყოფნა, მაგრამ ყველაფერს მოვაგვარებთ, ასე რომ დღეს ამაზე ფიქრით გონება არ დაიტანჯო. ხვალიდან საუკეთესო გზის ძებნას უნდა შევუდგეთ, რომელიც ამ რთული ვითარებიდან გამოგიყვანს. ძალიან მიკვირს, მას უბრალოდ დრო სჭირდებოდა და ვგრძნობდი ფრანც, მალე ერთად იქნებოდით. ახლა კი ნახევარი წლით იტალიას მიაშურა. მეტად უცნაურია ყოველივე ეს. გამხნევდი. შეხვედრამე... გავრბივარ...

სისხლი გამეყინა. სიტყვებს ვერ ვძებნიდი.

- ზუსტად როდის წავიდა ? - ვეკითხები და ნათლად ჩანს, საუბრის თავიც აღარ მაქვს.

- გუშინ წასულა, - ნაღვლიანად მიბრუნებს პასუხს.

- 4 საათში გელოდები, - ვემშვიდობები, ყურმილს ვკიდებ და კვლავ სარკეში ვიყურები. მართლაც გასაკვირია ეს ამბავი. ენაჩავარდნილს, შიგნიდან ალი მეკიდება და ვგრძნობ, რომ ბოლო მეღება. 6 თვე? შეტყობინების ღირსადაც არ ჩამთვალა? ახლა სად არის? რას აკეთებს, გონებაში რა უტრიალებს, დარდობს ან ნაღვლობს რაიმეზე? ჩემზე წუთითაც არ დაფიქრებულა... ამდენი დრო, ნახევარი წელი მის გარეშე... ეს რაღაც ახალია. მემგონი ზედმეტად ძლიერი ვგონივარ. ამ ყველაფერს ნატის წასვლაც დაემატა. ახლა რამდენად დაუცველი ვარ, ღმერთმანი ნეტავ ხვდებოდე ჩემო ლამაზო... მისი ხმა სანატრელი გამიხდება. ხილვა საოცნებო. საუბარი არარეალური. თან ასეთ დროს როგორ გამოიჩარხა მსგავსი უბედობა, მსგავსი

უიღბლობა? რაღაც გამოვიდოდა და ჩემს ნატისაც დედოფლად ვაქცევდი. რას არ აკეთებენ, რომ წამშალონ ამ ქვეყნიდან. ოხ, რა ტანჯვის წუთებია. ჭკუასუსტმა სონიმ წერის დროს რაღატომ მიამბო, ეგ მაინც ვიცოდე.

ახლა რას ვგრძნობ? იმედგაცურებას, სიმარტოვეს, მელანქოლიას. მის სახეს რა დამავიწყებს. ეს დროც მალე გაირბენს ფრანც, - ვუმეორებ თავს და რვეულს ვქექავ, სადაც ნატის სურათები მაქვს შენახული. ძლივს ვნახე. ღვთიური, ანგელოზის ღიმილი. მისი თვალები. მზისფერი თმა... საოცარი გრძნობაა. ისე ახლოს მგონია. ნამდვილად ვგრძნობ, ჩემს გვერდით არის. ალბათ ნაბიჯები გვაშორებენ ერთმანეთს. დრო კი არ მპატიობს მსგავს ქმდებას და უკანმოუხედავად გარბის, ალბათ მორიგი იმედგაცრუებისთვის მამზადებს.

- აზრზე უნდა მოხვიდე რასკო, რა დროს ყურების ჩამოყრაა - ვყვირი, საწერ მაგიდაზე ვჯდები და უცილობლად ამ დროისთვის ბედი მიღიმის. ხმაური შეწყდა... ვტირი და წერას განვაგრძობ. რომანში სევდა არ შემპარვია. საიდან იწყება უბედობა? ალბათ, როდესაც გაიფიქრებ, რომ ბედნიერი ხარ...

რომანს „მოჭრილი გზა“ დავარქვი. ამოვარდნილი კალაპოტს მალევე დავუბრუნდი. ხუთასიოდე სიტყვა მქონდა დაწერილი, როდესაც კიდევ ერთხელ დამცინეს. ჭერი ჩამონგრევას იყო. თვალებს ვხუჭავ, თავს დაბლა ვუშვებ და ვიცინი. “ჩარევის გარეშე, თავისთავად არ მოგვარდება“ - ვფიქრობ და მე-3 სართულზე ასასვლელად ვემზადები. ცხოვრობენ, ამას წყალი არ გაუვა, თუმცა... ცოტათი სანერვიულოა, მაგრამ ხელს იმდენად მიშლიან, რომ რაღაც უნდა

ვქნა. სადარბაზოში გავედი და კიბეებზე ასვლამდე თამბაქოს მოწევა გადავწყვიტე. ღრმა ნაფაზი მოვარტყი, უკუნითში კვამლი მაინც შევნიშნე, ღრმად ჩავისუნთქე და ნაბიჯი გადავდგი. ხის კარების იქით ჟრიამული ისმოდა. ზარი სავარაუდოდ გაფუჭებული ჰქონდათ. ხელით ისე ძლიერ დავაკაკუნე, ზედმეტად თავხედურათაც კი გამომივიდა. ვინანე წამით. მალოდინეს. იქნებ მიხვდნენ კიდეც, რომ დაბლა სართულიდან ამოვაკითხე. უცებ ვიგრძენი, რომ უცნობი ჩემკენ დაიძრა. დუმილი ჩამოვარდა. კარი გაიღო. ჩემზე უფროსი გოგო შემრჩა ხელში. 27 წლის ალბათ. გავიფიქრე ნუთუ ეს სუსტი არსება, მსგავს ამბებს ატრიალებს - მეთქი?!

- რა გნებავთ ? - მომახალა მკვახედ და ასეთმა დასაწყისმა თითქოს შანსი არ დამიტოვა. არა, აუცილებლად ვეტყვი სათქმელს - გავიფიქრე და დაუხანებლად პასუხი გავეცი.

- გამარჯობა, მე თქვენს ქვემოთ ვცხოვრობ... მემგონი თქვენი სახლიდან ხმაური ჩამოდის. იმედია გამიგებთ. თან არც წყდება. გრძელდება და გრძელდება. იქნებ გამოსვალი ვიპოვოთ.

გულისცემა ამიჩქარდა. თავს დამნაშავედ ვთვლიდი. გოგონა უცნაურად იქცეოდა. ისეთი წარმოდგენა შემექმნა, თითქოს გამოსავლის ძიებაში ყოფილიყო.

- ლიზა, ტედი, იოჰან, - უეცრად იძახის და ვითარებაში მალევე ვერკვევი. სამი ბავშვი დედის გვერდით დგება. ყველაზე პატარა ალბათ ლიზა გახლდათ. დედის კაბას ამოეფარა და სიცილს ძლივს-ძლიობით იკავებდა.

- დამნაშავეები ჩემი შვილები არიან, - დაიწყო გოგონამ.

ისინი ბევრს ხმაურობენ.

- დამერწმუნეთ, არ შეგაწუხებდით... უბრალოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს ვარ შეჭიდებული. მეუხერხულება მეტად, მაგრამ ხელი მეშლება...

-საჭირო არ არის, - უმალვე მიპასუხა თითქმის ზღურბლზე მდგომმა.

- ჰანა, - მიმართა ტედიმ დედას. თუ არ ვცდები ტედი იყო. ნამცხვარს ვაცხობთ, ახალი წელი დგება და ბატონი... - აქ სიტყვა შეწყვიტა და მივეშველე.

- ფრანცი, ფრანც რასკო,- მშვიდად წარმოვთქვი და ტედის შევაცქერდი. 4-5 წლის იქნებოდა, მაგრამ კარგად ლაპარაკობდა. ბავშვმა საუბარი განაგრძო - ...ფრანცი შინ რატომ არ შემოგვყავს? გაგვისინჯოს ნამცხვარი. მოწყენილი ჩანს. ამის თქმაზე ჰანამ შენიშვნა მისცა და ბიჭიც გაიყურსა.

- მართლაც, რამ დამაბნია... შემობრძანდით თუ შეგიძლიათ,- მთხოვა გოგონამ და პასუხი მალევე დავუბრუნე.

- იცით, იმდენად საჩქარო და საჭირო საქმეა... - ჩემსას არ ვიშლი - ...ბოდიშს მოგახსენებთ. სხვა დროს დიდი სიამოვნებით.

- ნება თქვენზეა, რა გაქვთ საბოდიშო. პირიქით, მენდეთ ხელს აღარ შეგიშლით, - ამბობს ჰანა და სინანული აღბეჭდვია სახეზე.

- უღრმესი მადლობა, - კიდევ რაღაცის დამატება მსურს, მნიშვნელოვანი რამის, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ვუღიმი და ისე ვტოვებ მე-3 სართულს. ჰანა კარს მაშინვე ხურავს და მესმის როგორ ეკითხება ბიჭი

მას: „კი, მაგრამ ასეთი საქმე რა აქვს, ჩვენთან რომ არ შემოვიდა?“ ტედის ხმა აშკარად არ იყო. იოჰანი იქნებოდა უდავოდ. „თქვენი ხმა არ გავიგო. ხომ გაიგონეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმეაო” - თქვა ფრანცმა - “მას უნდა გავუგოთ...“ - პასუხობს გოგონა და მეუცნაურა კიდეც ასეთი რამ. ჩავირბინე კიდეები და ჩემს ოთახს დავუბრუნდი. სიწყნარეა, სრული სიწყნარე. ზუსტად საჩემო და ამის შემხედვარე, ვალდებული ვარ დავწერო. საწერ-კალამს ხელში ვიმარჯვებ და წერაც იწყება.

. . . . . .

გადის დრო. ნატი მახსენდება, მალევე გონიდან ვიგდებ და საქმეს განვაგრძობ. ნამდვილი ჯადოქარი ვარ. სიტყვები უწყვეტად მოდის და მეც ქაღალდზე გადამაქვს ისინი. „მოჭრილი გზა“ ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. საათს შევხედე. 40 წუთში ახალი წელი დგება.

უეცრად გუნება შემეცვალა. ვფიქრობდი, მინდოდა სწორად მიმეგნო მიზეზისთვის და მივხვდი რაშიც ვიყავი დამნაშავე. ამ ღამით სიჩუმე და სიწყნარე... ეს ხომ აფსურდია, დიდი უაზრობა. სისულელე ჩავიდინე! ჩემი გადასაწყვეტი უნდა იყოს სამი ბავშვი იცინებს თუ იტირებს? ახალი წლის ღამეს ბედნიერები იქნებიან თუ უბედურები? ფრანც, ავადმყოფი ხარ. ან ისინი როგორ აკეთებენ ამას? სკამიდან წამოვდექი, სახლიდან გავედი და მე-3-ზე ავირბინე. სრული სიწყნარე. ცოტა ხნის შემდეგ კარებს ლიზა მიღებს. სახელურს ძლივს წვდება. ბავშვს ეცინება.

- ლიზა, იქნებ დედას დაუძახო და ყველანი კართან მოხვიდეთ. შემოსვლით ვერ შემოვდივარ. მალევე ოთხივე ჩემ გვერდით აღმოჩნდა. ისეთი შემზადებულები გახლდნენ, დავიბენი კიდეც. რის თქმას ელოდნენ?!

- იცით, ჰანა, თავს უხერხულად ვგრძნობ. რა დროს სიწყნარეა. თან მე ჩემი საქმე დავამთავრე, და რომც არ დამემთავრებინა, ამას მაინც გეტყოდით. როგორც სურთ ისე მოიქცნენ. მთელი ღამე არ გაჩერდნენ... ეს ჩემი თხოვნაა. ასე რომ, იმხიარულეთ, - სიტყვას ვასრულებ და ბავშვებს თვალს ვავლებ.

- ყველაფერი გასაგებია. მიხარია თუ საქმე მოამთავრეთ, - ისე მპასუხობს ჰანა, თითქოს ტყუილის სუნი იგრძნოო. დაჭერილი ვყავდი. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. გოგონამ კარი ფრთხილად მოიხურა. კიბეებზე ჩავედი. სახლში შევედი. ემოციებით დატვირთული ვიყავი მეტად. სიგარეტი გავაბოლე და გამახსენდა ნატი, ჟღალი წვერი, ნახატი, ნაომი, წებოთი გაჟღენთილი შპალერი. სამზარეულოში გავედი. წყალი დავლიე, პურის ნატეხი ავიღე და საწერ მაგიდას დავუბრუნდი. ოთახში საშუალო ტემპერატურა იყო. წერა განვაგრძე. ხმაურმა უმატა და უმატა. ისე ძლიერ ჯერ რომ არ ყოფილა. ვიცინი და ვხედავ, წერა და ჟრიამული ხამდება ერთმანეთთან. ბავშვების ხმას ჰანას ხმაც უერთდება. ვწერდი, შემდეგ ზოგ რამეს ვშლიდი, ზოგსაც ვტოვებდი. კალიგრაფია გასაგები უნდა ყოფილიყო. ამიტომ დღეს წერის პროცესში არ მიჩქარია. დასასრული წინასწარ მქონდა მოფიქრებული. შტრიხები მივამატე და ნამდვილად კარგი გამოვიდა. ეგეც შენი პირველი რომანი ფრანც.

„მოჭრილი გზა“ - შესანიშნავი სახელია, ღმერთმანი. თორმეტს 4 ან 5 წუთი აკლდა, როდესაც ბოლო სიტყვა დავწერე. ფურცლები თანმიმდევრობით დავალაგე და ველოდებოდი... ახალ წელსაც და სონისაც.

დიდი ხნის წინ მივხვდი, თუ რატომ დარეკა სონიმ და ეს ამბავი მაინც და მაინც დღეს რატომ მიამბო. ყურმილის დაკიდებისთანავე მივხვდი. მიპატიებია. არა, ტყუილს არ ამბობს. ეგ ნამდვილად ვიცი. საქმე სხვა რამეშია. სკამიდან დივანზე გადავინაცვლე. ოთახის ფარდა ბოლომდე გადავწიე. ფანჯარა გამოვაღე და დივანზე მოკალათებული ცას შევაცქერდი. გაიყინა ოთახი, მაგრამ ეს არ მანაღვლებდა. დროც შესრულდა. განათდა ცა და ბედნიერების მორევში ჩაიძირა მთელი მსოფლიო. ღია ფანჯრიდან შემომესმა ბავშვების შეძახილები. ჰანას ხმა არ ისმოდა...

ფიქრებში ვიყავი, როდესაც რეალობას მანქანის სიგნალის ხმამ დამაბრუნა. უცილობლად სონი ვიტელო იყო. ყოველი შემთხვევისთვის ფანჯრიდან გადავიხედე. დიახ სწორედ მისი მანქანა ეყენა დაბლა. ძირს ჩავედი. პირველი წუთები მუდამ ასეთი ხმაურიანია. ცა ათასფრად ნათდება. ვიტელო ხელს მიქნევს. მასთან მივდივარ, ნაწერები მარცხენა ხელში გადამაქვს და ხელს ვართმევ. წუთსაც არ გადააცილა. გული ნამდვილად არ მეთანაბრება. თუნდაც შემფასებლებისთვის საშინელი და უაზრო დასასრული ყოფილიყო, მე ამისთვის მზად ვიყავი. გონებაში ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი მიტრიალებდა.

- მოგისწრია. მჯეროდა კიდეც ფრანც, - საუბარს სონი იწყებს. თავს უმძრახად ვუქნევ. უხერხულად ვარდება

და საუბარს წყვეტს. უცნაური რამ მახასიათებს... როდესაც ვხედავ ვიღაც ჩემს წინაშე დამნაშავეა, გამოსავლის ძიებაში მე თვითონ ვეხმარები. არ ვიცი, მათი დაბნეული სახის ყურებას ვერ ვუძლებ თუ ზოგადად ასეთი ვარ. ამ წუთსაც იგივენაირად მოხდა.

- მოვასწარი ვიტელო. ისე კი წერა უჩვეულო ვითარებაში მომიწია. აქამდე მსგავსი რამ არასოდეს ყოფილა, მაგრამ კმაყოფილი ვარ. უნდა მეცადა კიდეც. ნატი, - განვაგრძე საუბარი. არ მინდოდა ამ თემაზე სიტყვის ჩამოგდება სონის დაესწრო. - უცნაურად მოიქცა, იქნებ მე ვერ გავუგე ჩემს თავს, იქნებ მე ვარ უცნაური?

- ისე ლაპარაკობ თითქოს ბრალი შენ მიგიძღოდეს. ადგა და უბრალოდ გაუფრთხილებლად წავიდა, თითქოს არც გიცნობდა ფრანც. გახსოვს ადრე რა მითხარი გამოგონილ და რეალურ პერსონაჟებზე რასკო? ცოტა ხნით ვფიქრდები და ბოლოს მახსენდება.

- დიახ,- ვპასუხობ და სონი ვიტელო საუბარს განაგრძობს.

- ზუსტად ასე მითხარი: „გამოგონილი პერსონაჟი მრავალფეროვანი, მეტად მრავლისმომცველი. შენ შეგიძლია მისი გონების უკიდურეს კუნჭულებს მიაგნო. შეგიძლია ისეთი ენით აალაპარაკო, რომელიც საფიქრალს არამარტო მკითხველს, არამედ თვითონ მწერალსაც კი გაგიჩენს. გამოგონილი გმირი არსებობს მხოლოდ ჩახლართული სიუჟეტისთვის. მას არ ჭირდება ზედმეტი სიახლოვე. ის იმდენად ცივია. ვფიქრობ, ჭეშმარიტი ხელოვნება, მხოლოდ და მხოლოდ გამოგონილი პერსონაჟის საშუალებით

იქმნება. ერთი ისაა, რომ შენი ნებით მას ვერ წარმართავ. მას უნდა დაუჯერო ის კი გეტყვის : „შენ ხარ ჩემი შემქმნელი (ფრანც)“. ხოლო რაც შეეხება ნამდვილ, რეალურ პერსონაჟს აქ საქმე სხვაგვარადაა. უფლება გაქვს ყოველი კუთხით აჩვენო იგი მკითხველს, მაგრამ მას უარყოფით თვისებებს უმალავ. საკმარისია წარმოიდგინო ახლო, ნაცნობი ადამიანი, რომ უმალ დნები და ქაღალდზეც ყველაფერი დადებითი გადადის. ის არ გემეტება ფიქრთა ტანჯვისთვის, ის გემნელება უბედურებისთვის, ვაებისთვის და ის ყოველთვის ცოცხალი რჩება. ქმნი სრულყოფილს და შენ იქცევი მის მონად.“- ეს შენი სიტყვებია რასკო. აქედან გამომდინარე გავბედავ და გეტყვი, რომ ნატი ის რეალური პერსონაჟია, რომელიც განგრევს. რამდენ მოთხრობაში დაწერე მისი სახელი, რამდენი ლექსი დაუწერე მას? ასი? ათასი? გამოგონილი დაიჯერე. ნატი უნაკლოდ წარმოაჩინე, - დაასრულა სონიმ და რთულად მომეჩვენა პასუხის გაცემა. ბოლოს ამოვილუღლუღე : „ნატი ამ რომანში არაა.“

- კიდევ კარგი ფრანც. ეს უდიდესი წარმატებაა.

- სონი, ქალები წერისთვის არსებობენ. ისინი კრიზისიდან გამოსვლაში მეხმარებიან. ილევა თემა? წარმოიდგენ გრძნობებს და დაწერ. შემდეგ გავიფიქრე, ვკითხავ ნატის წასვლის ამბავი დღეს რატომ შემატყობინე-მეთქი, მაგრამ პასუხი ისედაც ვიცოდი. თავი შევიკავე და შავ თვალებში შევაჩერდი.

- უცნაურად ლაპარაკობ. თითქოს . . . . . არ გყავდეს, - მითხრა სონიმ. ის სიტყვა გამომეპარა, სწორედ მაგ დროს ბავშვებმა რაღაც ააფეთქეს. აღარც მიკითხავს.

საჭიროდ არ ჩავთვალე. ამის მეტი აღარ გვისაუბრია. მადლობა გადავუხადე, მან წარმატება მისურვა ისე, თითქოს ამაში ჩემზე მეტად იყო დარწმუნებული.

მანქანის კარები გააღო, ნაწერები სადღაც შედო და მალევე გაუჩინარდა. ცას ავხედე. ხმაური და ჟრიამული კვლავ არ წყდებოდა. ვიფიქრე სანამ სახლში ავალ, ცოტა ხნით გავისეირნებ-მეთქი. გზაზე მივდიოდი, მანქანები გვერდს მივლიდნენ და სინანულის გრძნობა მომაწვა გულზე. „რატომ არ კითხე ვიტელოს, რატომ? ნეტავ რა თქვა. თითქოს . . . . . არ გყავდესო.“ დასვენება არ მაწყენს ნამდვილად. ქუჩას ვშორდები, სადარბაზოში შევდივარ და სახლის კარებს ვაღებ. სონისთან საუბრისას განა ტყუილი ვთქვი რამე? კარგი გამოდგა ეს წელი. ურიგო ნამდვილად არ ყოფილა. პირველი რომანი... ეს სულ სხვა გრძნობაა. ისღა დამრჩენია, პასუხს დაველოდო...

ნატი ნახევარი წლით. იქნებ ლოდინი სულაც არაა საჭირო. რას გაიგებ. ოთახში ფარდას ვაფარებ, სინათლეს ვაქრობ და საწოლში ვწვები ისე, რომ ტანსაცმელს არ ვიხდი. ასე ვფიქრობ იმ წვრილმანებზე, რომლებიც ხშირად სულს მიფორიაქებენ ხოლმე.

ბავშვების სირბილის ხმა ჭერში აღწევს. გაღიმებული ვარ. იქნებ ფილმი მეყურებინა ან წიგნი წამეკითხა? ახლა არაფრის თავი არ მაქვს. სრულ სიბნელეში თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ. ჩვეულებრივ ასე ვიქცევი, როდესაც ვხვდები, რომ დღის განმავლობაში რაღაც ყურადღებამისაქცევი და სხვისთვის შესამჩნევი გამომეპარა.

უეცრად გონებაში უჩვეულო რამ გიტყამს, და ბოლოს

და ბოლოს მოდის დრო, როდესაც ყველაფერს იაზრებ. მე ხომ შაბლონურ ჩვევებს არ ვარ მიჩვეული. განა ასე არ უნდა იყოს? და მართლაც, გონებაში ფრაგმენტები მიტივტივდება. ჩემი და ჰანას დიალოგი. „დიდი სიამოვნებით შემოვიდოდი, მაგრამ სასიცოცხლოდ საჭირო საქმეს ვარ შეჭიდებული.“ ჰანას მიმართვა ბავშვებს: „ხომ გაიგონეთ ეს საქმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩემთვისო? უნდა გავუგოთ.“ მართლაც რა უცნაურია ყოველივე ეს - ვეუბნები საკუთარ თავს და ანაზდეულად ვშეშდები. ნატი? ნატი და ჰანა... ღმერთო ჩემო. როგორი მსგავსებაა მათ შორის. მათი საუბარი, ჟესტიკულაცია, მიმიკები... განსხვავებას ვერ იპოვი. აი თურმე რა. ლიზა... ტედი... იოჰანი... შეუძლებელია! - ვამბობ ხმამაღლა.

მათი თვალები ზუსტად ჩემი მსგავსია. ღია თაფლისფერი, სწორედ ისეთი, წამიერად რომ გაგცემს. ეს ხომ შეუძლებელია, - ვყვირი და სინათლეს ვანთებ. ახლა რა გავაკეთო? აბაზანაში შევდივარ. სახეზე ყინულივით ცივ წყალს ვისხამ. ისე მართლაც ჩემი თვალებია, - ვეუბნები სარკეში არეკლილ სახეს. ოთახში გავედი. ხმაური შემწყდარია. ჩამიჩუმი არ ისმის. ჩემი ხშირი სუნთქვა ჩამესმის ყურში.

სხვა გზა არ არის. სახლს ვტოვებ და ჰანას სართულზე ავდივარ. ახლა რა გავაკეთო? პასუხიც არ ჩანს. ჰანას კარზე კაკუნს ვერ ვბედავ, უბრალოდ ძალიან ახლოს მივდივარ კართან და ყურს ვადებ მას. თავდაპირველად არაფერი ისმის. უეცრად ჰანას ხმა გავიგონე. ბავშვებს უხმო. დანა-ჩანგლის წამიერი ხმა შემომესმა. ალბათ სუფრას უსხდებიან. ჭრილში გავიხედე. ოთხივე ფეხზეა. სკამზე არც ერთი მათგანი არ ზის. მიკვირს,

ახლა ხომ სუფრის დროა. გულისცემა მიჩქარდება. საუბარი იწყება.

- მოდით , საჭმელი ჭამეთ და მერე უნდა დაიძინოთ ჩემო პატარებო. მაგიდას მიუჯექით,- იმეორებს ჰანა, მას შემდეგ რაც ხედავს, რომ ბავშვები მითითებას არ ასრულებენ. იოჰანი დედას პასუხობს: “კი, მაგრამ არ დაველოდოთ?” ვიბნევი და კარს ვშორდები. სონი ვიტელოს ნათქვამი მახსენდება. ერთ ადგილას ვერ ვჩერდები და მალევე კიბეებზე ვეშვები, მაგრამ დროებით. დავფიქრდები და ვიცი, დაბრუნება მიწერია.



გურამ ხარშილაძე

ჩემი ალუბლის ხე

იაპონელი სამურაების ღირსეული შთამომავალი იყო ტაკერუ. მართალია, იაპონია არასდროს ენახა, მაგრამ ისეთი გატაცებით მიყვებოდა ალუბლის ყვავილობისა თუ სამურაების საგმირო საქმეებს, რომ კარგა ხანს მჯეროდა, მთელი თავისი ცხოვრება კიუსიუზე ჰქონდა გატარებული.

წარმოდგენა არ მაქვს როგორ მოხვდა ტაკერუ ჩვენს მიყრუებულ ქალაქში. ლეგენდებს თუ დავუჯერებთ, მამამისი ცნობილი სამურაი ყოფილა, დედამისი - იაპონელი მკერავი. მეორე ლეგენდის თანახმად, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო სარწმუნო უნდა იყოს, ტაკერუს დედა ქართველი სტუდენტი ყოფილა, რომელმაც ტაკერუს მამა უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნო. სხვა ლეგენდის თანახმად ტაკერუ სულაც არ იყო ტაკერუ, მას ერქვა ვახტანგი, მაგრამ ქართველობას

უკადრისობდა და საკუთარ თავს გამოგონილ სახელს ეძახდა, ამ ლეგენდის მიხედვით ტაკერუს ფართო, ჭკვიანი თვალები ჰქონდა, მაგრამ თავის მოსაკატუნებლად არასდროს ახელდა ბოლომდე.

ლეგენდა ლეგენდად რჩებოდა, რეალურად კი არავინ იცოდა საიდან მოვიდა ეს "საეჭვო გარეგნობის მამაკაცი". მართალია, ხანდახან გამოჩნდებოდა ხალხი, ვინც ტაკერუს ვახტანგობის დასამტკიცებლად დაიფიცებდა, რომ ტაკერუ ფართოდ თვალგახელილი ენახათ.

მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ყველაფრის მჯეროდა, რასაც უფროსები მეტყოდნენ. როცა უფროსები იძახდნენ ტაკერუ ტაკერუ არააო, მეც მჯეროდა, რომ ტაკერუ ტაკერუ არ იყო. როცა იტყოდნენ, ტაკერუ იაპონელი სამურაის შთამომავალიაო, მეც მჯეროდა, რომ ტაკერუ იაპონელი სამურაის შთამომავალი იყო.

ახლა რომ მკითხოთ, ვერაფერსაც ვერ გეტყვით მის წარმომავლობაზე და ალბათ არცაა საჭირო ვიცოდეთ, რას აკეთებდნენ მისი მშობლები ტაკერუმდე, ან ტაკერუს შემდეგ. მთავარი მაინც ისაა, რომ ტაკერუ ჩემი სკოლის ძველ, მიტოვებულ შენობაში ცხოვრობდა და, ერთი შეხედვით, არც არაფერს აკეთებდა. მოგვიანებით დირექციამ ტაკერუ სკოლის დარაჯადაც დანიშნა, მაგრამ ამით ჩვენთვის არაფერი შეცვლილა.

ახალის შეცნობის გაშმაგებულმა სურვილმა მთელი კლასი აიტანა, როცა ტაკერუ პირველად შევნიშნეთ სკოლის ახლოს. წვრილთვალებიანი მამაკაცის დანახვა ჩვენთვის ნამდვილი სასწაული იყო. მართალია, ერთი

კლასელი კი ამტკიცებდა წვრილთვალიანი მამაკაცი ტელევიზორში მინახავსო, მაგრამ მისი არ გვჯეროდა, რადგან იმ დროს ჩვენს ქალაქში ელექტროენერგიის არსებობა ისეთივე წარმოუდგენელი იყო, როგორიც - წვრილთვალებიანი მამაკაცისა. მოკლედ, იმ დღის შემდეგ ტაკერუს ჩვენგან მოსვენება აღარ ეღირსა. მართალია, თავიდან თავს გვარიდებდა და გვემალებოდა, მაგრამ მისი პოვნა არც ისე რთული იყო და რაც მთავარია, მისი დევნა მშვენიერი გასართობი იყო ჩვენთვის.

ტაკერუ მალე მიხვდა, რომ ჩვენგან დამალვას აზრი არ ჰქონდა, რადგან წვრილთვალებიანი მამაკაცის სანახავად მთელს ქალაქს გადავჩხრეკდით და აუცილებლად ვიპოვნიდით. ტაკერუ, რომ არ გვემალებოდა თავიდან გაგვიხარდა კიდეც, მაგრამ წვრილი თვალების ცქერა მოსაბეზრებელი გამოდგა. უყურებ და ვერ ხვდები რა უნდა, რას უყურებს, რა აოცებს ან ახარებს. მხოლოდ ეჭვს თუ ამოიკითხავ ასეთ თვალებში. როგორც ყველაფერს ახალს, წვრილ თვალებსაც შევეჩვიეთ და სულ მალე ის მოსაბეზრებელი ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. ასე იქცა ტაკერუ დიდი საოცრებიდან “უინტერესო მამაკაცად”.

მოგვიანებით მე ხელმეორედ აღმოვაჩინე ტაკერუ.

იმ დღესაც არ ვიცოდი გაკვეთილი. მასწავლებელმა კლასში ჩამკეტა და დამპირდა, სანამ არ ისწავლი ვერსად წახვალო. ერთი საათი მარტო ტირილზე დავხარჯე, როცა მივხვდი, რომ ტირილი საქმეს ვერ უშველიდა წიგნიც გადავშალე, მაგრამ ვერაფრით

ვისწავლე. ერთი საათის შემდეგ უკვე იმიტომ ვტიროდი, რომ მეგონა, მთელ ღამეს იმ ოთახში გავატარებდი. მასწავლებლის სკლეროზმა თუ ბოროტებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ თვითონ სახლში წავიდა მე კი კლასში დამტოვა.

დაბინდებისას, ჩემი ტირილის ხმაზე ტაკერუმ შემოანგრია კარი. ტირილი შევწყვიტე და წყლიანი თვალებით ტაკერუს შევხედე. ხელში ხმალი ეჭირა, როგორც შემდეგ ამიხსნა მამამისის. ხმალი ქარქაშში იყო ჩაგებული. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ქარქაშიდან ცოცხალი თავით არ ამოიღო, იძახდა: "სადაც სამურაი ხმალს ამოიღებს, იქ სისხლიც უნდა დაიღვაროსო". მე ისე მინდოდა ნამდვილი სამურაის ხმალი მენახა იმ წუთას სისხლის დაღვრის კი არა აპოკალიფსის მომხრე ვიყავი, მაგრამ ტაკერუ ნებას არ მრთავდა. ტაკერუმ არც იმის ნება დამრთო, რომ მარტო წავსულიყავი სახლში, თვითონ სკოლას ვერ ტოვებდა, ჩემს მშობლებს კი სკოლაში მოსვლა არ შეეძლოთ. გადაწყვეტილი იყო - იმ ღამეს დარაჯთან ერთად გავათენებდი სკოლაში.

მე სიხარულს ვერ ვმალავდი. მართალია, ტაკერუსგან უარი მივიღე სამურაის მახვილის გამოყენებაზე, მაგრამ მეგონა რომ დაიძინებდა ჩუმად მოვიპარავდი მის იარაღს, ქარქაშს გავაძრობდი, მერე ეზოში გავიდოდი და ბნელ ღამეს ავჩეხდი. ტაკერუმ იმედები გამიცრუა. ხმალი ისეთ სიმაღლაზე დადო, რომ ვერასდროს მივწვდებოდი. ყველა იმედი რომ გადამეწურა გადავწყვიტე მისთვის დამემტკიცებინა, რომ მასზე ნაკლები ვაჟკაცი არ ვიყავი და სამურაის ხმალის ხელში დაჭერის ღირსი გახლდით. გავიფიქრე, მანამ არ დავიძინებ, სანამ თვითონ არ მოერევა ძილი-მეთქი.

გავიფიქრე და მერე პრინციპის საქმე იყო, რასაც იტყვი უნდა შეასრულო, სამურაებისთვისაც ასეა ალბათ.

საათები ისე გავიდა, ხმა არ გამიცია ტაკერუსთვის. ის არ იძინებდა. მე თვალები მეხუჭებოდა. ტაკერუს დანაოჭებულ თვალებს შევხედე და ვიფიქრე, გამარჯვებასთან ახლოს ვარ-მეთქი, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რომ მას ყოველთვის ნახევრად დახუჭული ჰქონდა თვალები და მივხდი, ტაქტიკა უნდა შემეცვალა.

- რა გქვია? - წამოვიწყე საუბარი ბრაზიანი ხმით.

- ტაკერუ!

- ტაკემუ?

- ტაკერუ, რრრ!

- რა საშინელებაა?!

- შენ რა გქვია?

- როგორი სახელია ტაკერუ?!

- იაპონური სახელია, მებრძოლს ნიშნავს.

- მებრძოლს?

- ჰო

- ესეიგი მებრძოლი ხარ?

- ჰო, მე იაპონელი სამურაების შთამომავალი ვარ. მამაჩემი სამურაი იყო, დედაჩემი - მკერავი. ის ხმალი მამაჩემისაა.

- დედაჩემიც მკერავია.

- მართლა?! რა კარგია?!

- მამაშენს რომ ვთხოვო იმ ხმალს არ მათხოვებს?

- მამაჩემი იაპონიაშია.

- შორსაა იაპონია?

- ძალიან შორს.

- მაინც?

- დედამიწა რომ მრგვალია ხომ იცი?

- ვიცი, მასწავლებელმა მითხრა.

- იაპონიამდე რომ მიხვიდე ნახევარი დედამიწა უნდა შემოიარო. დედამიწის ერთ მხარეს ჩვენ ვართ, მეორე მხარეს იაპონია. ახლა, აქ რომ დაღამდა, იქ - გათენდა.

- შორს ყოფილა.

- ჰო, ახლა დაიძინე!

- შენ ნამყოფი ხარ იაპონიაში?

- არა.

- კი მაგრამ... შენი მშობლები ხომ იაპონელები არიან?

- კი, იაპონელები არიან.

- აბა, აქ რა გინდა?

- ეგ მეც არ ვიცი.

მივხვდი, ისეთი კითხვა დავსვი, რომელიც არ უნდა დამესვა და ცოტა ხნით გავჩუმდი.

- ალბათ მშობლებს ენატრები!

- დედას ვენატრები, ვიცი.

- მამას?

- მამაჩემი მკვდარია.

- მართლა?

- ჰო, თავი მოიკლა.

- თავი მოიკლა?

- ჰო, ღირსება შეულახეს და თავი მოიკლა.

- რატომ?

- ვერ გაიგებ, ღირსება საიმურაებისთვის ყველაფერია.

სიჩუმე.

- გძინავს?

- არა.

- რატომ?

- ვერ ვიძინებ. ისეთ ამბებს მომიყევი, რომ მეშინია.

- მაპატიე, არ მინდოდა.

- თუ დედაშენი იაპონიაშია და ენატრები, თუ მამაშენიც იქაა, რატომ არ წახვალ სახლში?

- წავალ!

- როგორია შენი სახლი?

- ჩემი სახლი?!... ჩემი სახლი აყვავებულ აალუბლებს შორის დგას. იქ არც ცივა, არც ცხელა, არც ქარია, არც წვიმს, არც თოვს, სულ მზე ანათებს. შენ იცი იაპონიას რას ეძახიან? - თავი გავაქნიე - ამომავალი მზის ქვეყანას. მთელს დედამიწაზე პირველად იაპონიაში ამოდის მზე. უნდა ნახო რა ლამაზად ბზინავს ალუბლის ყვავილები ამომავალი მზის ვარდისფერ სხივებზე. საოცრებაა!

- აბა არასდროს ვყოფილვარ სახლშიო?

- მართლა არასდროს ვყოფილვარ.

- აბა ეგ საიდან იცი?

- ვიცი.

- საიდან?

- გინდა მოგიყვე როგორ დაამარცხა ბაბუაჩემმა ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი?

- მინდა - ვუპასუხე მე და დაიწყო ჯადოსნური ისტორიები, სადაც ტაკერუს ბაბუ ცეცხლისმფრქვეველ დრაკონს ამარცხებდა. ამას მოჰყვა კიდევ მრავალი ჯადოსნური ამბავი. ასე გავატარეთ ის ღამე. დილით სკოლაში წასასვლელად ადრე არ დამჭირდა ადგომა - მე ხომ უკვე ისედაც სკოლაში ვიყავი!

ამ დღის შემდეგ ჩემი და ტაკერუს მეგობრობა უფრო და უფრო გამყარდა. სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში ტაკერუზე უკეთესი მეგობარი არ მყავდა. ბოლო დღეს, სკოლა რომ დამთავრდა, ტაკერუ ჩემთან მოვიდა და მითხრა:

- უნდა დაგემშვიდობო, მივდივარ.

- სად მიდიხარ?

- იაპონიაში. მთელი წელი ვაგროვებდი ფულს და ახლა უნდა წავიდე.

- როდის ჩამოხვალ?

- არასდროს!

- რატომ? გეხვეწები რა ტაკერუ, ჩამოდი რა!

- არა, უნდა წავიდე!

ავტირდი. ტაკერუ ჩემთან მოვიდა, მამშვიდებდა, მაგრამ არ ვცხრებოდი. ბოლოს დამპირდა, რომ დაბრუნდებოდა. მე დავწყნარდი, და ტაკერუს მშვიდობიანი მგზავრობა ვუსურვე.

შემოდგომაზე, როცა სწავლა დაიწყო, ტაკერუ ისევ ვნახე სკოლაში. დიდი ყუთით რაღაც მომაწოდა. იაპონიიდან ჩამოგიტანეო - მითხრა. გავხსენი და სასკოლო ჩანთა იყო. უზომოდ ბედნიერი ვიყავი. კლასში ჩემზე კარგი ჩანთა არავის ჰქონდა - ასე მეგონა და თავი დიდ ვინმედ მომქონდა. ამ ამბამდე ზუსტად ასეთი ჩანთა ჩემს ქალაქშიც ვნახე და როცა ტაკერუმ მსგავსი მაჩუქა მივხვდი, იაპონია არ უნდა ყოფილიყო შორს. როცა ტაკერუს ვკითხე, როგორი იყო იაპონია, მან მიპასუხა, რომ უკეთესს ელოდა.

ტაკერუ ნაცემი იყო. პირველივე შეხვედრისას შევატყვე, რომ სახეს მარიდებდა და მარჯვენა თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, ყვრიმალი - გასიებული. შემდეგ და შემდეგ უფრო მეტად შეეტყო სილურჯე, ისე რომ ვერ დამალავდა.

სახლში ახალი ჩანთით რომ დავბრუნდი, მშობლებმა მკითხეს, საიდან მქონდა ეს ჩანთა. მეც ვუპასუხე, რომ ტაკერუმ ჩამომიტანა იაპონიიდან.

მამას გაეცინა და მითხრა:

- იაპონიაში არ ყოფილა! შენ მართლა დაიჯერე?! ჰაჰაჰა, ხედავ, მართლა ჯეროდა თურმე, რომ ტაკერუ იაპონიაში იყო. ეგ ჩანთა ბაზრობაზე იყიდა, აქვე! ჰაჰა, როგორ გაგაცურა?! ბილეთის ფული მაგ ჩანთაზე დახარჯა, დანარჩენი მძარცველებმა წაართვეს! მაგრე მოუხდება, ხომ დაუსიეს დაწვრილებული თვალები?!

ჯერ სადაა?!

მეტის მოსმენა ვეღარ შევძელი, ავდექი და სკოლისკენ გავიქეცი. სკოლა ჩემი სახლიდან შორს იყო, მაგრამ ისე ვიყავი გაბრაზებული, რომ დიდი დისტანცია სწრაფად დავფარე. ტაკერუ სკოლაში იყო. მივედი და კარზე ვაბრახუნე. ტაკერუმ კარი გამიღო. ჩანთა მოვიხსენი, დავკუჭე და ფეხებში მივუგდე, თან ვუთხარი:

- მომატყუე! შენ იაპონიაში არ ყოფილხარ. ჩანთა ბაზრობაზე მიყიდე, ბილეთის ფულით. შენ არც სამურაის შვილი არ ხარ. შენი მშობლები იაპონელებიც არ არიან ალბათ. ბაბუაშენს ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი არ მოუკლავს! არც ეგ შენი სათამაშოა სამურაის ხმალი. ქარქაშიდან იმიტომ არ იღებ, რომ შიგნით ჩაჟანგებული დამდნარი დანა დევს. ყველაფერი რასაც სამურაიებზე მიყვებოდი ტყუილი იყო. სამურაის ღირსებაზე არაფერი იცი. მძულხარ, მეზიზღები! ეგ ხმალი ნამდვილი, რომ ყოფილიყო მძარცველები ვერაფერს დაგაკლებდნენ. არ მჭირდება შენი ჩანთა, შენთვის დაიტოვე.

ტაკერუს სახეზე ფერი აღარ ედო.

- იცი, მე კიდევ გიყიდე რაღაც - მითხრა მთრთოლვარე ხმით. შემდეგ ოთახში შევიდა და იქედან პატარა ქოთანი გამოიტანა. - გთხოვ მოუარე და ნუ გადააგდებ, ალუბლის ხეა, ვარდისფრად ყვავის!

მე ქოთანი წამოვიღე და სახლში წამოვედი. ახლა ეს ალუბლის ხე ჩემს ეზოში დგას და იქ არც ცივა, არც ცხელა, არც ქარია, არც წვიმს, არც თოვს, სულ მზე ანათებს. ყოველ დილით ვხედავ როგორ ბზინავენ ალუბლის ვარდისფერი ყვავილები ამომავალი მზის

სხივებზე - ეს საოცრებაა.

მეორე დილით, სკოლის შესასვლელში სისხლის გუბე იდგა. ალუბლის ყვავილისებურად შეფერადებულიყო ტაკერუს ხელები. ხარაკირი საკუთარი მახვილით გაეკეთებინა. დიახ, ტაკერუ იაპონელი სამურაების ღირსეული შთამომავალი იყო.





მოკლე ტექსტური შეტყობინება

Sheidzleba dges cavidet gemis sanaxavad. Lotkinze dev-sezoshi

---

Yle gamovdeqi ra

Sxvatashoris sheni bralia tu vinmes brali rame sheidzleba iyos

---

Kai vkitxav kata da delpini ram gayo

Au dedamotynuli mokle kaba acvia gamchvirvale da fanja-raze gaiara cegan da churis formam gaielva

---

I wonna squiz your pussy gogoa imenna

ჟოლოზე ვიყავი ჩასული

The faster you come the deepest I try)

Svanetshi mivdivar 20 cutshi

Xval tavani chambardes bomborashi an zooparkshi polni komplekti Mankanebi tirebi virtualuri realoba simon

---

Shegvizlia mament nigbebi gaviketot da webcamebis saitze ucxo adamianebs velaparakot nikaraguadan, cimbiridan, tokyodan, daje tbilisidan, roca xodze iknebi.kulturuli shoki mivigot

---

Rustaveli gadaketilia da arabebi da turistebi dadian aket iket, damoukideblobis dgea xo dges?

Shigaqvs bijo amas, sam cutshi saxe gaazro ****-as da tviton ari camocolili laskavi maivit

---

Nu ti daiosh gamlet. Gamochndi ra

Rame nishani mogveci rom kargad xar:))

Au Mariam ese shercxva verbalurad gajgereba da erti 20 an 30 laramde Tu geknebat ****-as gamoatanet chemtvis, komunalurebi unda davfaro tore chamabneleben bozebi. Madloba. Azerbaijan and samachablo and california is Georgia

---

Au saocari ca ak. dzalian gviyvarxar da gvinda rom ak iko. magrad unda iyo chveni varskvlavi xar *

Sadme gaiare kolmeurneobaze an sadme da gogos yvavilebi uyide meti fantazia tu ar gyofnis

---

Sad xart asociaciobanas tamashs vapirebt

Rassshvebit garet x ar xart? Argindat molas galobis mosmena? Jibis alahi gvakvs me da ***-as, ogond dasatenia

---

Sheni tuchi minda

Kvantur mdgomareobashi karebtan gelodebit

Cynetshi ubnis inspektorma gvitxra tkveni mezobeli galaktionis mdzgoli iyoo.

Me axla kazinoshi vfikrob xmxmagla da shen ra xodze xar

Manipestis monaxazi hom ar dagisrulebia ?

ტექნოევანგელისტემმბა შამანები ჭეშმარიტი რწმენისკენ მოაბრუნეს

Gadaido repeticia, amas mezobeli moukvda da musikas ver vrtavo:D

Magis mezobeli xvalac mkvdari ikneba? Gavida ukve 8 dge

Chveni brati chamovida sirieli erevnidan naxvas vapireb ert or saatshi da dagireko gamoxval?beirutel mutlebs gagacnob

---

ყველასთან ერთდროულად რო მესიჯობ პროსტა!!!

Es chveni william sheqspiri yofila pirveli uzenaesi sabchos cevri...Zviadi xisti ujmuri kaci iyoo… Ashkarad ragaca yleo-bebi aqvs naketebi.. Osetshic ibrzoda biji

---

- Rogor xar lomebis mefe?

- თითებს ვერ ვამოძრავებ

- dandzreva ro mogindes gagichirdeba?

1992 წელს შტორმის დროს წყნარ ოკეანეში გემმიდან გადაიყარა 30000 რეზინის იხვი.ზოგიერთი დღემდე მოგზაურობს.რაღაცით ხომ არ ვგავართ ჩვენც ამ იხვებს?

Komunikatoridan unda gamaxsendes rogori xar?

Axalgazrda mufasa, impulsebi gamovushvi da rogorc chans ar mougceviat shenamde

---

Gexvecebi sheaxsene maxsas plusze ar daavickdes uteleponot var da tkvila ar viaro isedac tkvila vcxovrob

---

Xasiatis gamosasworebeli xom ar geguleba?

Oqros adamiano, tvins gitynav - vici - magram ar minda sxvam gaaketos is rac shen gtxove

---

- რო მოხვალ მოიწერე

- saxlshi vaar

- ყოოჩაღ

- მიყვარხარ ******

- <3 <3

- taxi mosulia! manqanis marka Renault logan, nomeri AF40*FA

- magari yle mdzgoli iyo

- ***, ხოარ მოგვივიდა წერილი ჩვენ გაშვების?

- ჯერ არა, მაგრამ მოვაო, ამბობენ : (

- შენ როგორ ხარ?!

- ვაახ გასკდა გული

- მე კი ვარ საოცრად

- მაგრამ რომ მახსენდება ცუდად ვხდები ეგრევე))))

- ჰოო ძაან დაიძაბა გარემოც

ბუფეტში ვერ ვჯდები

დროც რო მქონდეს,

გული მერევა : (

- ემზარ ბოლო სერია ნახე?

- კი, ვიტირე

)))

- ჰანა არენდტის ფოტო გავადიდეთ ნორას სურათად

ახლა რომ მოგისამძიმროთ, მანდ ხარ?

- დაკიდე ეხლა ყურმილი ცოტახანი,

მეც უნდა მოგილოცო

- <3 <3 <3 <3

- საოცარი პიროვნება ხარ

- shen xar saocari

- რა კარგია რო იუმორიც გადმოგეცა ჩემგან გენეტიკით
და არა მარტო ღვთაებრივი სილამაზე

- ara amjerad namdvilad mogcere

mara ise xo :))

- <3 <3 <3 <3

- xili rame

- chipsi

- mza rame salati tu ikneba

Stafilo

De sadxar?

---

somexi gagijda..tengos wers ro shen elodebi garet..) vigacas isev chaujva)

Iqita otaxshi dzilis samepoa, wvanan taxtze, tan sashihsia gahvidzeba, me gamodzinebuli vwevar periodualdvdgebi chem shemwvar kartofils vcham da vwvebi

---

30s ver damideb da am dgeebshi chagiricxav, dizelze da camlebze damchirda

codoa ise, da mouare, sheidzleba gagichedos xolme da gautare

---

hey

ui exla mivxvdi xidze ufro 16 clis gogoebi dadian goth hipstera

da bassianze ex baberi agulavebule ex babulika gogoebi

- სად მოწიე ~~~

- არ მომიწევია ჯასთ სტიკერები გადმოვწერე

ჩავტვირთე ტელეფონში :)

- ras shvebi

- ეხა ჩამოვედი

კიდევ კაი არ წამოხვედი

თითონ ბაქო კაია მაგრამ მანამდე მძღნერში მოდიხარ 10 საათი

ოღონდ მართლა

აი ბათუმი ორჯერ რო გაამრავლო

- რამე გეწყინა?

- Ho, sxvebi ro dagenana da chemi bekeka ro gaimete tilod meckina :)

- მორჩა, გამოვდივართ :)

- Mec gamovdivar :)

- Lezhiko dadga amcutas erti 15 cuti movusmen da gamoval :)

- Sadxar? :) sad dafushfusheb <3

- Movdivar :)

- Modemi budgusavit ikceva isev

- Mdaa moval male da shevashineb xarazulasavit ravkna... :)

მერე გიოშა გაიღვიძებს

სახლში ნათიას კომპ აქვს

ნათია არაა თბილისში

600 ლარად ჩავაბარებთ

წავალთ რედისონში წავაგებთ

ერთ-ორ კოლოფს წამოვიღებ სიგარეტს

და ეგაა

ეგებ მეტი კოლოფი წამოვიღო

ეს გოგო პახოდუ რაღაცის პიარ მენეჯერი ყოფილა

- Logolaaqal

Logolaaqal

Logolaaqal

:)

Me movedi

Raxdeba maqet

- *** rogor xar. Finaluri ver vwere normalurad da iqneb kide

gadaxedo raa 4 qula iqneb ramenairad momimato ro

gadabarebaze gavide

- ****** გამარჯობა. ვწუხვარ, რომ სათანადოდ არ მოემზადე, მითუმეტეს რომ ეგეთი სიტუაცია გქონია.

ამ ეტაპზე ვერ მოვუმატებ ვერაფერს, ვფიქრობ, რომ რაც

შემეძლო დავწერე. გაასაჩივრე, და იქნებ კომისიამ მოგიმატოს.

მივედით დილის 7:30-ზე გაცრეცილი 50 ლარიანით აჭარაბეთის მიწურში აპარატებზე. ხოდა ზუსტად 1 წუთი მოიცადეთ ინკასაციაა და ახლავე შეგიშვებთო

რასქვია დაიცადეთო ****მ და კინაღამ მაგარი ცემა აიწია, მოვიდა დაცვის უფროსი

ეს ყვირის ვერ დავიცდიო

კაი ბიჭი ვარ ვაკელი ვინმეში არ აგერიო აი მართლა ეგეთი ჩხუბი იყო

ამასობაში გავიდა 1 წუთი და შეგვიშვეს

და ზუსტად 3 წუთში ჩუმად გამოვიპარეთ

:)))))

---

vuaime dzaan merideba magram dzaan davineni amgamic-daze da tan ro damagvianda su ameria yvelaferi sami qulis

momatebis shansi tu aris 55 maqvs magram 17 finalurze : (

: (tu arada meore kursze gavaumjibeseb shedegeb isev

tventan

Dedas geficebi martla tavidan davibadet

****, rom dafrindebi momcere

---

arada megona ro 20 mivigebdi mainc kvelafristvis didi madloba kargi leqtori iyavit chemi bralia ro ver chavabare : (yvelafristvis didi madloba <3 <3 <3

---

am kontrolis doneebze ra xteba eg ver vnaxe machavarianshi

tu shezleb rom damexmaro

tu gezareba araushavs :)

an

ტანენბაუმისა და შმიტის „ლიდერობის კონტინიუმის

კონცეფცია“

esec ver vnaxe machavarianshi

- komp lombardshi maqvs 100 larad da trampi mecodeba, yle ara var?

- ahaha chamovtvalo reebi maqvs lombardshi?

- da trampi gvecodeba, shig ara gvaqvs? mara magra shemecoda butqusha : (supra undoda da milocva

- au kai ra martla

- xo ra : (

- martla magrad mecodeba, shesces ra.

---

ragac minda gtxovot tu ratkmaunda shesadzlebeli iqneba

1 qula momimatot rom gadabarebis qula mqondes

gamocdis dzalian meshinia : (

შენ ხო იცი მთავარი ჰორმონი არის სეროტონინი - რომელსაც ქვია ბედნიერების ჰორმონი

თუ სწორად იკვებები და ორგანიზმში სერატონინი გამომუშავდება - მარტივად ბედნიერი ხარ

- ***** dzalian didi bodishi

magram mxolod 20 qula mchirdeba da shegizlia rom momato

- გამარჯობა *****.

შეგიძლია გაასაჩივრო ქულა. მე მაქსიმალური დაგიწერე იმ „ნაწერში“. ვწუხვარ, რომ საერთოდ არ

მოემზადე გამოცდისთვის

- xoo nu gasachivrebis merec tqven unda gaasworot da gtx-ovt rom momimatot qula tu shedzlebt ra tkma unda imito

rom 9 kreditiania da arc ise cota ar girs da tu shedzlebt-dzalian gamexardeba ise ki tu qula ver avige namdviladaa chemi brali ubralod txovnit var tkventan

---

<3 ugrmesi madloba im grdznobistvi romelic meored

ganmacdevinet :) martla.. erti dedachemi da mamachemi rom chamovida saberdznetidan 3 wlis mere meore tkven :)

ogond ai ugulwrfelesad vambob amas. Ai martla. Dzalian

gamaxaret. Sityvebi armyofnis :) :) <3 <3 <3

Me Djstan var shig, Djm shemikvanaaa!!!. tqven rato zix-art????!!! Levi minda dzaan kevi, sxvisi piridanac, davichame grdzilebi. : (((

Dude so much going on tn mind pirates and my coworkers throwing a party, im buying a bottle of mescalin wana join? u down?

Im going to a cool exhibition party around 9 near hermanplatz wana join? Lots of ppl from the fetish scene.

Yo i havent showered for like few days and im goin in to meet ppl at vice is it ok if im a lil dirty/grunge?

---

were going to own the art world

- ** გეხვეწები ის კარგი წიგნი რომ გექნება მეც გაგახსენდე რა. ძალიან მთხოვა ****მ და ****მ წაკითხვა

- gadaiwvan kitxvit))) exla nolze var magram gagitvaliscineb))

- Gagaxseno xolme? :)

- mainc shemaxsene xolme tore shens tavs vficavar *****-*****s imdeni klienti ar kavs, rac me xalxi mirekavs ganatlebas mockurebuli

---

Mainc ro icode ra. Cavaget aq aparatebi daxures da 50 larit ajarabetis slotebshi vart

მოკლე ტექსტური შეტყობინებების ავტორები:

ლევან ასათიანი, მარი ბოლქვაძე, გიგი გულედანი, ნინო დარასელი, ქეთი დევდარიანი, ნინო დვალი, თემურ ეზუგბაია, ანი ვაშაგაშვილი, პავლე კუბლაშვილი, თეა კუჭუხიძე, გიორგი ნებიერიძე, გუკა რჩეულიშვილი, თიკო სირაძე, ზურა ჯიშკარიანი, ანა ხარიბეგაშვილი

და რამდენიმე ნიჭიერი, მაგრამ ინკოგნიტოდ დარჩენილი კარგი ადამიანი.